პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№021 (12 091)

27 იანვარი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


## გუშინდელი მატჩის ერთნაირი შემადგენლობა

## გამოცხადდა

## ფიფამ ჩიფიებისგან გრიგოლ ჩანტურიას მიმოწერით შემოთავაზებული დავის

## ფასიანი თამაშები

## ფეხბურთელთა სათურქეთო შემადგენლობა დაასახელა

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** (რუბინი, რუსეთი), **გიორგი ლომაია** (უკლუბოდ), **გრიგოლ ჭანტურია** (ზესტაფონი);

მცველები: **კახა კალაძე** (მილანი, იტალია), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **ლაშა სალუქვაძე** (რუბინი, რუსეთი), **დავით კვირკველია** (მეტალურგი ზაპოროჟიე, უკრაინა), **გიორგი შაშიაშვილი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ზაალ ელიავა** (სკონტო, ლატვია);

ნახევარმცველები: **ლევან კობიაშვილი** (შალკე, გერმანია), **ლევან ცქიტიშვილი** (პანიონიოსი, საბერძნეთი), **ლადო ბურდული** (კრივბასი, უკრაინა), **ზურაბ მენთეშაშვილი** (უკლუბოდ), **გოგიტა გოგუა** (უკლუბოდ), **დავით მუჯირი** (კრილია სოვეტოვი, რუსეთი);

თავდამსხმელები: **შოთა არველაძე** (ალკმაარი, ჰოლანდია), **გიორგი დემეტრაძე** (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), **ოთარ მარცვალაძე** (დინამო, უკრაინა), **დავით სირაძე** (აუე, გერმანია), **მიხეილ აშვეთია** (კარლ ცაისი, გერმანია).

**გუშინ** ცნობილი გახდა საქართველოს მეორე ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 6 თებერვალს თურქეთის B გუნდს შეხვდება...

ვრცლად 4

## გადაწყდა: საქართველოს მაქლიში უმასპინძლებს

სამლიანი კონტრაქტი ორშაბათს

4



ელენე გედევანიშვილი ვარშავის ყინულზე

# გენაცვალე, ელენე!

## პირველი დღის შემდეგ გედევანიშვილი მესამე ადგილზეა. რუსი კომენტატორები ბოღმისგან კინაღამ გასკდნენ...

ზვიად შათირიშვილი

ევროპის ჩემპიონატზე, ვარშავაში, მოკლე პროგრამის შემდეგ **ელენე გედევანიშვილი** მესამე ადგილზეა! ძველი დრო რომ იყოს, ამ წარმატებისთვის 17 წლის ქართველი მოციგურავე მცირე ბრინჯაოს მედალსაც მიიღებდა, მაგრამ ახლა მედლები მხოლოდ ორი სახეობის, მოკლე და თავისუფალი პროგრამის ჯამში რიგდება. თავისუფალი სრიალი კი დღესაა.

ელენე ზუსტად ერთი წლის წინ, ლიონში, სწორედ ევროპის ჩემპიონატზე შეიჭრა მოციგურავე ქალთა ელიტაში და ყველა გვარიანად გააკვირვა. რა დასამალია და - ქართველებიც. პირველი დღის შემდეგ მეოთხე ადგილზე იყო, საბოლოოდ კი მეხუთეზე გავიდა. 16 წლის გოგონასგან სასწაულებს ვერ მოვითხოვდით და ასეც მოხდა - გედევანიშვილი ოლიმპიადაზე მეათეზე, მსოფლიო ჩემპიონატზე კი მეთოთხმეტეზე ადგილზე გავიდა, თუმცა ესეც დიდი წარმატება იყო.

უფრო მეტს წლეულს ველოდით, მაგრამ რუსეთთან გართულებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ელენე და მისი ოჯახის წევრები იძულებული გახადა, მოსკოვიდან გამოხიზნულიყვნენ. ჩვენთან კი, მოგეხსენებათ, სტანდარტული ზომის არც დარბაზია და არც ყინულის ხარისხია უმაღლესი. სამწუხაროდ, ახალ მწვრთნელ გალინა ზმიევსკაიასთან ელენე მხოლოდ დეკემბრის ბოლოს გაემგზავრა, ოციოდ დღეში კი ვარშავაში გამოსვლა გადაწყვიტა. ევროპის ჩემპიონატი ელენეს პირველი ტურნირია ახალ სეზონში - მას ხომ გრან პრის ყველა შეჯიბრი გაუცდა!

ცხადი იყო, გოგონა საუკეთესო სპორტულ ფორმაში ვერ იქნებოდა და ეს ორმაგად ამძაფრებდა მოლოდინს. საბედნიეროდ, გამოჩნდა, რომ ელენეს პრობლემების დაძლევა შეუძლია - პირველი დღის შემდეგ მის წინ მხოლოდ აღიარებული ფავორიტები, შვეიცარიელი **სარა მაიერი** და იტალიელი **კაროლინა კოსტნერი** არიან...

13

# ანრი ბრონკარი, ვერნონ კოტერი თუ...

## ვინ იქნება ბორჯღალოსანთა კონსულტანტი?



ამ ინფორმაციას წუხელ გადავაწყდით რუმინეთის რაგბის ფედერაციის ვებ-გვერდზე. იქ შავით თეთრზე ეწერა, რომ საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბის, "ოშის" თავკაცი **ანრი ბრონკარი** (ფოტოზე) საქართველოს მორაგბეთა ნაკრების კონსულტანტად ინიშნება. ამავე ცნობას ადასტურებდა "მიდი ოლიმპიკი", საფრანგეთის საუკეთესო სარაგბო საიტი. არადა, პრესკონფერენციაზე, რომელიც გუშინ რაგბის კავშირში გაიმართა, ამის შესახებ არაფერი თქმულა.

მოკლედ, "მიდი ოლიმპიკი" იუწყება: **"მეორე დივიზიონის "ოშის" მთავარი მწვრთნელი ანრი ბრონკარი მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების კონსულტანტი იქნება. "ოში" საქართველოს ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე თამაშობს, სწორედ მისი შუამავლობით, უახლოეს ხანებში ბრონკარი საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტს უნდა შეხვდეს. - ჩემი მომავალი როლი საქართველოს ნაკრებში სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ დაზუსტდება. საუბარია კონსულტანტობაზე, თუმცა მე კვლავაც "ოშის" მწვრთნელი ვიქნები" - ამბობს ბრონკარი.**

ნაშუაღამევს დავუკავშირდით რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტს კოკა ლაზიშვილს. აი, რა გვითხრა მან: **"ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია. მიმდინარეობს მოლაპარაკება არა მარტო ბრონკართან, არამედ "კლერმონის" მწვრთნელ ვერნონ კოტერთანაც, რომელსაც ჩვენთვის ჯერ არ უთქვამს საბოლოო უარი, ასევე იტალიის ნაკრების შერკინების მწვრთნელთან. უკვე 24 მარტისთვის, ანუ რუსეთთან მატჩისთვის, ამ სამეულიდან ერთ-ერთი საქართველოს ნაკრების კონსულტანტი იქნება".**

ნიკოლოზ ნეფარიძე,
პაატა თოთაძე



# გოგუამ პარტსის ფორმა მოირგო

ვალდას ივანაუსკასი: თქვენ არ იცით, რა არის რუსეთი...

5

# პლატინი: ახალი ბოსი, ახალი სისხლი





კონგრესის შემდეგ
**ნოდარ ახალკაცი:**

პლატინის არჩევით ქართული ფეხბურთისთვის ახალი ერა იწყება

2-3







რევოლუცია მოვიდა: ახალი ბოსი, ახალი სისხლი

# მიშელ პლატინი უეფას პრეზიდენტია

**დოსიე**

## მიშელ პლატინი

მიშელ პლატინი დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს, საფრანგეთის ქალაქ ჟოფში. ფეხბურთელის კარიერა დაიწყო მშობლიური ქალაქის ამავე სახელწოდების კლუბში, სადაც ექვსი წლის (1966-1972) განმავლობაში თამაშობდა. შემდეგ იყო "ნანსი" (1972-1979), "სენტ ეტიენი" (1979-19823) და "იუვენტუსი" (1982-1987). 72 მატჩი ჩაატარა საფრანგეთის ნაკრების მაისურით (41 გოლი). იყო საფრანგეთის თასის მფლობელი (1978), საფრანგეთის ჩემპიონი (1981), იტალიის ჩემპიონი (1983), ევროპის ჩემპიონი (1984), თასების თასის მფლობელი (1984), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1984), ჩემპიონთა თასის მფლობელი (1985), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1985). რაც შეეხება პერსონალურ ჯილდოებს. ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ზედიზედ სამჯერ (1983, 1984, 1985) მოიგო "ფრანს ფუტბოლის" მიერ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული "ოქროს ბურთი". კარიერის განმავლობაში ჩაატარა 649 მატჩი, გაიტანა 353 გოლი. იყო საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი (1990-92), მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ფიფასა და უეფას აღმასრულებელი კომიტეტების წევრი, ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის პირადი თანაშემწე 1998-2002 წლებში.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გუშინ, დიუსელდორფის კონგრესზე უეფას პრეზიდენტად **მიშელ პლატინი** აირჩიეს. 27 ხმა 23-ის წინააღმდეგ - ასეთია კენჭისყრის შედეგები. ბოლო ოთხი ხმის დათვლამდე ანგარიში 23:23 იყო, და სწორედ ამ ოთხმა ხმამ გადაწყვიტა კიდეც არჩევნების ბედი (ორი ხმა გაუქმდა). ამასთან, პლატინი ავტომატურად ფიფას ვიცე-პრეზიდენტიც გახდა. ამით დასრულდა 77 წლის **ლენარტ იოჰანსონის** 16-წლიანი ეპოქა, რომელმაც ევროფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია მძლავრ, ფინანსურად წელში გამართულ სტრუქტურად აქცია. ამას დღეს მისი მოწინააღმდეგეებიც აღიარებენ. მიუხედავად დაპირისპირებისა თუ განხეთქილების მცდელობისა, იოჰანსონმა შეძლო უეფას ერთიან ოჯახად შენარჩუნება. მდიდარმა კლუბებმა (G 14), ჯერჯერობით, ფრთა ვერ შეასხეს ევროლიგის აკვიატებულ იდეას და იძულებულნი გახდნენ, შვედი ჩინოსნის მიერ შეთავაზებულ თამაშის წესებზე დათანხმებულიყვნენ. თუმცა იოჰანსონს მაინც უხდებოდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა, იმავე ლიგის ფორმატის კორექტირების კუთხით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მართვის სადავეები მას ერთი წუთითაც არ გაუშვია ხელიდან. ორი წლის წინ, ის თითქოს თავს იკავებდა კანდიდატურის ხელახლა წამოყენებისგან, ამის მიზეზი იყო ავადმყოფობაც და, შეიძლება, კიდევ სხვაც, რაც ზედაპირზე არ ჩანდა... მაგრამ მან მაინც გადაწყვიტა კიდევ ერთ წრეზე წასვლა, გადაწყვიტა და დამარცხდა... თუმცა დამარცხება არ არის მაინცდამაინც ტრაგედია (როგორც ეს საქართველოში ჰგონიათ), მუდმივი ხომ არაფერია ამ ქვეყნად. როგორც ჩანს, რაღაც ცვლილებები მართლა მომწიფდა და პლატინის არჩევაც ამით უნდა იყოს ნაკარნახები...




მაშ ასე, გუშინ 51 წლის მიშელ პლატინის ერა დაიწყო. მის პროგრამას ექსპერტებმა რევოლუციური უწოდეს. სხვა საკითხია, რამდენად შეძლებს პლატინი ამ იდეების ხორცშესხმას. მაგალითად, ის აპირებს საკლუბო ფეხბურთიდან პრიორიტეტების გადატანას სანაკრებო ფრონტზე. გეგმაში აქვს აგრეთვე წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების წარმომადგენლობის შეკვეცა ჩემპიონთა ლიგაში, იმათ ხარჯზე, რომელთაც დაბალგანვითარებულ რეგიონებს ვუწოდებთ. ასეთთა შორის, პირველ რიგში, სკანდინავიისა და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები ითვლებიან. სწორედ ამ ელექტორატზე იმუშავა პლატინიმ არჩევნების წინ და მათ შორის იყო საქართველოც.

საინტერესოა ასევე მისი მოსაზრება ევროკავშირის წეს-კანონებთან მიმართებაშიც. მიშელი ფიქრობს, რომ უეფას სამიგრაციო და სამართლებრივი ნორმები ევროკავშირისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. ეს პირდაპირ პასუხობს აღმოსავლეთევროპელთა ინტერესებს. ესეც არ იყოს, ამ ქვეყნების ეროვნულ ასოციაციათა სათავეში მოვიდა ხალხი, რომელთანაც ფრანგს ახლო ურთიერთობა აქვს, წარსულიდან გამომდინარე. პლატინის გამარჯვებაში არამეორეხარისხოვანი როლი ითამაშა თვით ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერის** მხარდაჭერამაც. მაგრამ გულუბრყვილობა იქნება, ვიფიქროთ, რომ ეს მხარდაჭერა მარტო პიროვნებისადმი სიმპათიით იყო განპირობებული. ყველაფერთან ერთად, არ დაგვავიწყდეს, რომ "რკინის ზეპსა" და შვედს შორის დიდი ხანია არსებობდა დაპირისპირება, ხან ფარული, ხან საკმაოდ აშკარაც. იოჰანსონმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა უეფა ფიფასგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი ყოფილიყო. ფინანსური თვალსაზრისით, მოხუცმა ლენარტმა მართლაც მიაღწია საწადელს. რაც შეეხება "პოლიტიკურ" დამოუკიდებლობას, პრინციპში, ეს არც იყო მთავარი და ვერც იქნებოდა, რადგან უეფა ფიფას სტრუქტურულად ექვემდებარება. დღეს ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ბლატერის მხარდაჭერამ, შეიძლება, პლატინის მხრიდან გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოითხოვოს, და პირველ რიგში, სწორედ ფინანსური კუთხით. ნიშანდობლივია, რომ ზეპი სანაკრებო ფეხბურთის რეანიმაციას ცდილობს (ასეც უნდა იყოს, რადგან ფიფას შემოსავლის ძირითადი წყარო მსოფლიო ჩემპიონატებია), ისევე, როგორც მისი ახალგაზრდა ევროპელი კოლეგის პროგრამაშია ჩაწერილი. ამავე დროს, პლატინი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ევროპულ ფეხბურთში რეფორმების დაწყება მოწინავე ასოციაციების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას გამოიწვევს. სხვათა შორის, მოსალოდნელ დაპირისპირებაზე, არჩევნებამდე, ის იოჰანსონმაც გააფრთხილა...

*"უზომოდ ბედნიერი ვარ, - თქვა პლატინიმ არჩევის შემდეგ, - დიახ, უდიდესი ბედნიერებაა, წარმოადგენდე ევროპულ ფეხბურთს. ეს მართლაც დიდი გამარჯვებაა, მაგრამ ამავე დროს, ეს მხოლოდ დიდი გზის დასაწყისია. კარგა ხანია, პრეზიდენტობისთვის ვემზადებოდი და გარწმუნებთ, მუშაობისთვის მზად ვარ. მაგრამ არ შეიძლება, დავივიწყოთ ის, რაც ლენარტ იოჰანსონმა უეფასთვის გააკეთა. მე აღფრთოვანებული ვარ მისით და წინადადება შემომაქვს, უეფას საპატიო პრეზიდენტად ავირჩიოთ".*




ან უკვე პენსიონერი იოჰანსონის მოკლე კომენტარი კი ასეთი იყო: *"მიშელს გამარჯვებას ვულოცავ და ვთხოვ, არ შეცვალოს ჩემპიონთა ლიგის ფორმატი. ეს არნახულად მომგებიანი პროექტია, განსაკუთრებით ტელერეპორტაჟების მხრივ. სპორტის ბევრი სახეობა ცდილობს, ამ საქმეში მოგვბაძოს... ახლა მომავალი პლატინისაა, მაგრამ მან ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს და გამოცდილება დააგროვოს. ის ძალიან რთულ გზას შეეჭიდა და წარმატებებს ვუსურვებ".*

გამარჯვებულს სიტყვა ბლატერმაც შეაწია: *"ეს ჩემთვის სიურპრიზი არ არის. ბედნიერი ვარ, რომ მუშაობა მიწევს ადამიანთან, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა და საერთო იდეები მაკავშირებს".*

### გუშინვე, კონგრესზე: ბეკენბაუერი, სურკისი, ჩერნოგორია და 24 გუნდი

დიუსელდორფის ფორუმზე, უეფას პრეზიდენტის არჩევნების გარდა, სხვა საკითხებიც იდგა დღის წესრიგში. ევროპამ ფიფას აღმასკომში ახალი წევრები მიავლინა. მათგან, პირველ რიგში **ფრანც ბეკენბაუერს** გამოვყოფთ. კაიზერის გარდა, აღმასკომში მოხვდნენ: **სენეშ ერზიქი** (თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი), **ანხელ მარია ვილიარ ლიონა** (ესპანეთი) და **ჯოზეფ მიფსუდი** (მალტა), რომლებიც ამ ორგანოში ხელახლა აირჩიეს, ხოლო **მირჩა სანდუ** (რუმინეთი), **ჟილბერტო მადაილი** (პორტუგალია) და **გრიგორი სურკისი** (უკრაინა) აღმასკომის ახალი წევრები გახდნენ.

კონგრესმა მხარი დაუჭირა აგრეთვე უეფას 53-ე წევრად სერბეთისგან გამოყოფილი ჩერნოგორიის (მონტენეგრო) ფეხბურთის ფედერაციის მიღებას, თუმცა ანალოგიურ განაცხადზე უარი უთხრა გიბრალტარის საფეხბურთო ასოციაციას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო საკითხი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე მონაწილეთა რაოდენობის 16-დან 24-მდე გაზრდას ეხება. უეფაში ეს წინადადება შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ შეიტანა. მას მხარს უჭერენ ირლანდიის, შვედეთისა და ლატვიის ორგანიზაციებიც. გადაწყდა: უეფას სპეციალური კომისია უახლოეს ხანებში დაიწყებს საკითხის შესწავლას და დიდია ალბათობა, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის დასკვნით სტადიაზე 24-მა ნაკრებმა ითამაშოს.

| უეფას პრეზიდენტები | | |
|---|---|---|
| ებე შვარცი | დანია | 1954-1962 |
| გუსტავ ვიდერკეერი | შვეიცარია | 1962-1972 |
| არტემიო ფრანკი | იტალია | 1972-1983 |
| ჟაკ ჟორჟი | საფრანგეთი | 1983-1990 |
| ლენარტ იოჰანსონი | შვედეთი | 1990-2007 |
| მიშელ პლატინი | საფრანგეთი | 2007 წლიდან |

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ



ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# ჩვენს ფეხბურთში ახალი ერა იწყება

გუშინ დიუსელდორფში კიდევ ერთი "ფინალი" - უეფას საპრეზიდენტო არჩევნები - ქართველებისთვის სასარგებლო შედეგით დასრულდა.

ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო პირველი გახლდათ, რომელმაც საჯაროდ დააფიქსირა, რომ უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში მიშელ პლატინის კანდიდატურას დაუჭერდა მხარს. ამას გარდა, გუშინწინ დიუსელდორფში ცენტრალურ და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა შეხვედრას, სწორედ ჩვენი ფეხბურთის პირველკაცი ხელმძღვანელობდა. თუ რატომაა ქართველებისთვის სასარგებლო პლატინის გამარჯვება, ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან ინტერვიუში შეიტყობთ.

- ვთვლი, რომ ქართული ფეხბურთისთვის, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჩვენი ფედერაცია პირველი იყო, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ პლატინის კანდიდატურას დაუჭერდა მხარს. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში მიშელ პლატინის გამარჯვებით ჩვენს ფეხბურთში ახალი ერა დაიწყო. ფედერაციის სათავეში ჩემი მოსვლის დღიდან ჩვენი მიზანია ქართული ფეხბურთი ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად ვაქციოთ. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადავდგით და კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. პლატინის გამარჯვება ჩვენთვის ამ მხრივაც მნიშვნელოვანია.

**- პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მიშელ პლატინისთან ცალკე თუ გქონდათ საუბარი?**

- კი, რა თქმა უნდა, მქონდა. თუმცა, დროის სიმცირის გამო მოკლე საუბარი გამოგვივიდა.

**- როგორც გავიგეთ, პლატინის საარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყავით ჩართული და 25 იანვარს გამართულ სხდომასაც თავმჯდომარეობდით...**

- დიახ, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა პრეზიდენტების სხდომის თავმჯდომარეობის პატივი სწორედ მე მერგო. 27 ქვეყნის ფეხბურთის თავკაცმა ვითათბირეთ და პლატინიმ სწორედ ამდენი ხმა მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ უეფაში გარკვეული ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ერთი მიზანი, ინტერესები და პრობლემა აერთიანებთ. 25 იანვრის შეხვედრით, ფაქტობრივად საფუძველი ჩავუყარეთ ამ ჯგუფის შექმნას. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ აღმასკომში ამ, ასე ვთქვათ, კოალიციის 3 წევრი გავიდა - უკრაინის, თურქეთისა და რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციათა თავკაცები.

**- არჩევნებში 2 ხმა იქნა ანულირებული. რატომ, რა მოხდა?**

- საქმე ის გახლავთ, რომ ორი კანდიდატისთვის თითო გრაფა იყო, რომელშიც უნდა აღგვენიშნათ თუ რომელ კანდიდატს აძლევდით ხმას. ბიულეტენები არასწორად იყო შევსებული და შესაბამისად ორივე გაუქმდა.

**- იქნებ დაგვისახელოთ ის ქვეყნები, რომელთაც პლატინის არ მისცეს ხმა...**

- ხმის მიცემა ფარული იყო და ეს საიდუმლოდ დარჩა.

**- ევროპის ჩემპიონატის ფორმატის შეცვლისა და ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდების რაოდენობის 16 დან 24-მდე გაზრდის თაობაზე პროექტი არ ჩავარდა და განსახილველად აღმასკომს გადაეცა. ამაზე რას გვეტყოდით?**

- ეს საკითხი შესასწავლად და ანალიზის გასაკეთებლად უეფას აღმასკომს გადაეგზავნა. აქ მხოლოდ ფორმატის შეცვლა არაა, გასაანალიზებელია ამას რა მოჰყვება, დასათვლელია შემოსავლებიც და სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც. ასე რომ, ამ საკითხს აღმასკომი შეისწავლის, სრულყოფილად გააანალიზებს და მერე მსჯელობა შედგება.

**- ბევრი უკვე აღნიშნავს, რომ პლატინის დიდი ბრძოლა მოუწევს ე.წ. ბობოლა ქვეყნების ფეხბურთის თავკაცებთან...**

- უეფას პრეზიდენტია და ექნება თუ არა წინააღმდეგობა, მჯერა, რომ იმ პრინციპებს გაატარებს, რომელსაც მისი პროგრამა მოიცავს.

**- პლატინის პროგრამა კი ჩვენნაირი ქვეყნებისთვის სრულიად მისაღებია...**

- მიშელ პლატინის პროგრამა და სხვა კიდევ არაერთი ფაქტორი გახლდათ გადამწყვეტი, რომ მის კანდიდატურას დავუჭირეთ მხარი.

**- ალბათ, ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერთანაც გქონდათ შეხვედრა...**

- დიახ, ბლატერსაც ვესაუბრე. მან ჩვენზე საჯაროდ აღნიშნა - იშვიათია, როცა საკუთარ პოზიციას საჯაროდ აფიქსირებენ და პოზიციას არ იცვლიან, ასეთი მხარდაჭერა დასაფასებელი და გამორჩეულიაო. ბლატერმა მადლობა გადაგვიხადა.

ერთი სიტყვით, უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში მიშელ პლატინის გამარჯვებით ქართული ფეხბურთისთვის ახალი ერა დაიწყო, რომელიც დიდ სარგებლობას მოგვიტანს. პლატინი ჯერ კიდევ არჩევნებამდე დაგვპირდა, რომ მას პირველი სამუშაო ვიზიტი საქართველოში ექნება. ასე რომ, მის ჩამოსვლას თბილისში მალე უნდა ველოდოთ.

**დავით ცაბაძე**

---

**უეფას პრეზიდენტად მიშელ პლატინის არჩევაზე კომენტარი ჩამოვართვით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ გენერალურ მდივნებს დავით კვინიკაძეს და ვალერი ჩოლარიას.**

### დავით კვინიკაძე:

# გერმანული ბანაკის მარცხი გამიკვირდა!



- სიმართლე გითხრათ, მე იოჰანსონის, ანუ გერმანული ფრთის გამარჯვებას ველოდი. ჩვენს ინტერესებშიც მათი წარმატება წარმომედგინა, რადგან გერმანიის საფეხბურთო ასოციაციასთან ურთიერთობა გვაკავშირებს. ამავე დროს, ანგარიშს ვუწევდი იმ ფაქტს, რომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელი გერმანელია.

ამის გამო, თავდაპირველად, ნოდარ ახალკაცის მიერ პლატინის მხარდაჭერა გამიკვირდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პლატინი ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისთვის მისაღებ პროექტებს გვთავაზობს. ალბათ, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის პოზიციაზე ამან გავლენა იქონია.

**- თქვენი აზრით, პლატინი რეალობაში მოახერხებს ჩემპიონთა ლიგის გარდაქმნას, ანუ ბობოლებისა და ღარიბების გათანაბრება შესაძლებელია?**

- ვფიქრობ, ეს პროექტი არ გამოვა. გამართლებულად მიმაჩნია, რეიტინგის მიხედვით გუნდების ამა თუ იმ ეტაპის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაშვება.

**- თქვენი აზრით, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი ფორმატის შენარჩუნებით ბევრია დაინტერესებული?**

- რა თქმა უნდა! გრანდებსაც სჭირდებათ დღევანდელი ფორმატი. პლატინის პროექტით, ლიგაში თამაშების რაოდენობის შემცირებაა გათვალისწინებული. ამით ლიგის სპორტული დონეც დაეცემა და ხარისხიც. თუკი "რეალი", "ბარსელონა", "მილანი", "ინტერი", "იუვენტუსი", "ჩელსი", "არსენალი", "მანჩესტერი" ან "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებენ, ესეც უკიდურესობაა, ისევე როგორც ბეკენბაურის ჩანაფიქრი, რომ ევროპა "ა" და "ბ" ზონებად გაყოს. ასეთი რომ ყოფილიყო ფიფას პრინციპი, აზიასა და აფრიკაში ფეხბურთი ვერ განვითარდებოდა.

**- მოკლედ, როგორც ვხვდები, პლატინის არჩევით დიდად აღფრთოვანებული არ ბრძანდებით.**

- სიახლე საჭიროა, მაგრამ უეფა რომ აწყობილი სტრუქტურაა და მას რადიკალური ცვლილება არ სჭირდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

მე ამის საშიშროებას ვხედავ. თავის დროზე ჟოაო აველანჟმა თქვა, მიხარია, რომ ფეხბურთი კი არ მიდის საფინანსო ბირჟებთან, თავად ისინი შემოვიდნენ ფეხბურთშიო. მე იმის მეშინია, საფინანსო ბირჟებმა დღეს არსებული ბალანსი სპორტულის საზარალოდ არ დაარღვიონ. ეს უნდა იყოს პლატინის მთავარი ამოცანა.

**მერაბ მამულაშვილი**



- ადრეც ვთქვი, რომ უეფას საპრეზიდენტო არჩევნებზე პლატინისა და იოჰანსონს თითქმის თანაბარი შანსები ჰქონდათ. არჩევნების შედეგებს ინტერნეტით გავეცანი, ჯერ კიდევ არ ვიცი რატომ იყო ანულირებული ის ორი ხმა.

### ვალერი ჩოლარია:

# პლატინის გამარჯვება ჩვენთვის კარგია

თუმცა თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ უეფას არჩევნებში მიშელ პლატინის გამარჯვება ევროპული და მათ შორის ქართული ფეხბურთისთვის ძალიან კარგია.

**- ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

- პლატინის პიროვნება და მისი პროგრამა, რომელსაც მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც ვიცნობ. სხვათა შორის, ფიფას პროგრამა "გოლი 2-ს" სწორედ პლატინი ხელმძღვანელობდა. თუ გახსოვთ, ფედერაციიდან რომ წამოვედი ამ პროგრამიდან გამოყოფილი 500 ათასი დოლარი არ მოგვცეს. რამდენიმე თვეში ისევ რომ დავბრუნდი ფედერაციაში ის თანხა მაინც მივიღეთ და მაშინ პლატინიმ დიდი დახმარება გაგვიწია.

პლატინის მე და მერაბ ჟორდანია ჯერ კიდევ მაშინ ვუჭერდით მხარს, როცა ის აღმასკომის წევრობაზე იყრიდა კენჭს. ვესაუბრეთ და თანადგომა აღვუთქვით. ამ ცოტა ხნის წინ კი ფედერაციის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ საჯაროდ დაუჭირა მხარი მიშელ პლატინის კანდიდატურას, რაც, რაღა თქმა უნდა, კარგია. ერთი სიტყვით, პლატინის გამარჯვება ჩვენი ფეხბურთისთვის სასარგებლო იქნება. მერაბ ჟორდანია დღესაც პლატინის მეგობარია და ბუნებრივია მის გუნდშია.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



კლაუს ტოპმიოლერი

ეროვნული ნაკრები

## ტოპოცეული

გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კლაუს ტოპმიოლერმა** 7 თებერვალს თურქეთის ნაკრებთან გასამართი მატჩისთვის ჩვენი გუნდის შემადგენლობა დაასახელა.

გამოძახებულთა შორის სამი მეკარეა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სიაში არ არიან, "ფრაიბურგის" მცველი **ოთარ ხიზანეიშვილი** და ფორვარდი **ალექსანდრე იაშვილი**. პაუზის შემდეგ, კლაუს ტოპმიოლერმა კვლავ უხმო "სკონტოს" მცველ **ზაალ ელიავას**. ალსანიშნავია ისიც, რომ ნაკრებში ისევ უხმეს **ლადო ბურდულს, დავით სირაძესა** და **ლაშა სალუქვაძეს**.

გამოძახებულთა შორისაა "ალკმაარის" ფორვარდი **შოთა არველაძე**. ნაკრების მეგოლემ შარშან ნოემბერში ღიად განაცხადა ის, რაც თავადვე უთხრა კლაუს ტოპმიოლერს - ქრონიკული ტრავმების გამო ამხანაგურ მატჩებში ნაკრებიდან გამათავისუფლეთო. ამ ცოტა ხნის წინათ, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და შოთას უფროსმა ძმამ, **რევაზ არველაძემ** "ლელოსთან" საუბარში განაცხადა, რომ შოთა ეროვნულის თავკაცს ამ საკითხზე კიდევ დაელაპარაკებოდა. როგორც ჩანს შოთა არველაძესა და კლაუს ტოპმიოლერს საუბარი კიდევ ექნებათ ამ საკითხთან დაკავშირებით და სწორედ მაშინ გაირკვევა ითამაშებს თუ არა შოთა 7 თებერვალს თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ.

საამმატჩოდ ნაკრები მოსამზადებელ შეკრებას 5 თებერვალს ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" დაიწყებს.

**დავით ცაბაძე**

მეტოქე. შოტლანდია

## გადაწყდა: მაკლიში სამი წლით

ესეცასე, შოტლანდიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. 24 მარტს, გლაზგოს "ჰემპდენ პარკზე", ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ეროვნულ გუნდს **ალექს მაკლიშის** მიერ დამოძღვრილი ნაკრები დაუპირისპირდება. 48 წლის სპეციალისტმა ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციასთან უკვე შეათანხმა 3-წლიანი კონტრაქტი, რომელსაც ხელს ორშაბათს მოაწერენ. ასე რომ, დარჩა მხოლოდ საქმის ფორმალური მხარე. მაკლიშის ამოცანაა, "მამაცმა გულებმა" ევროპისა (2008) და მსოფლიო (2010) ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ითამაშონ...

გუშინ, საფეხბურთო ასოციაციამ გაავრცელა ოფიციალური ცნობა, რომ ახალ მწვრთნელს ორშაბათ დილით, "ჰემპდენ პარკზე" დანიშნულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე წარადგენენ. მართალია, მწვრთნელის ვინაობა არ დაკონკრეტებულა, მაგრამ თავად მაკლიშთან და ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორ **დევიდ ტეილორთან** დაახლოებული წყაროები ადასტურებენ, რომ კონტრაქტის ყველა დეტალი უკვე შეთანხმებულია...

თავიდან, მაკლიში არ იყო დარწმუნებული, რომ ტეილორი მის კანდიდატურას მიემხრობოდა და უცხოეთშიც კი აპირებდა წასვლას, ვითომდაც საკლუბო ფეხბურთში დასაბრუნებლად. მაგრამ პირველი მოლაპარაკების დროს, მისტერ ალექსს განუმარტეს, რომ სწორედ ის კაცია, ვინც დღეს შოტლანდიას სჭირდება და ვისაც **უოლტერ სმიტის** მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება შეუძლია. მას მისცეს 24 საათი იმისთვის, რომ ან თანხმობა ეთქვა, ან უარი. მეორე მოლაპარაკება გაცილებით ხანმოკლე და უკვე დამაგვირგვინებელი იყო. სწორედ ამის შემდეგ დაადასტურა მაკლიშმა, რომ მწვრთნელობის რეალური კანდიდატია...

ნაკრებთან პირველი შეხება მას 4 თებერვალს ექნება, თუმცა ეს არ იქნება ქვეყნის პირველი გუნდი. ამ დღეს იკრიბება შოტლანდიის B ნაკრები, რომელიც 7 თებერვალს, "რაგბი პარკზე", ამავე რანგის ფინურ კრებულს გაეჯიბრება. ამ თამაშს, როგორმე, საქართველოს ნაკრების მესვეურებმაც უნდა მიაქციონ ყურადღება. საქმე ისაა, რომ შოტლანდიის ძირითად გუნდს, დისკვალიფიკაციების გამო, საქართველოსთან ოთხი წამყვანი მოთამაშე დააკლდება, შესაბამისად, ახალი დამრიგებელი ფინეთთან სწორედ მათ სავარაუდო შემცვლელებს გამოცდის. ასე რომ, **კლაუს ტოპმიოლერი** საქმის კურსში უნდა იყოს. მაკლიშსა და მის საფეხბურთო პრინციპებზე კი მწვრთნელს გარკვეულ ინფორმაციას მიაწვდიან **შოთა არველაძე** და **ზურაბ ხიზანიშვილი**, რომლებიც ამ კაცის ხელმძღვანელობით "რეინჯერსში" თამაშობდნენ.



ალექს მაკლიში

რაც შეეხება მაკლიშის სამწვრთნელო შტაბს. როგორც ადრე ვწერდით, ასისტენტად, ალბათ, **ენდი უოტსონი** იმუშავებს. მათ ხანგრძლივი მეგობრობა და თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება აკავშირებთ. ისინი ერთად იყვნენ "მოზერველში", "ჰიბერნიანსსა" და "რეინჯერსში". არაა გამორიცხული, შტაბში ვიხილოთ ნაკრების ყოფილი კაპიტანი **გარი მაკალისტერიც**, რომელიც ერთ-ერთი კანდიდატი იყო, ასევე, შოტლანდიური ფეხბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავი **ალი მაკკოისტი**.

თურქეთთან მატჩის წინ

## ეს ხომ ახალგაზრდულია?!

7 თებერვალს ეროვნული ნაკრებების მატჩამდე თურქი და ქართველი 21 წლამდელების თამაში გაიმართება. არადა, როგორც მანამდე იყო ნათქვამი, თურქ ახალგაზრდებს საქართველოს მეორე ნაკრები უნდა შეხვედროდა. გუშინ **რალფ მინგემ** ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები: **რევაზ თევდორაძე (დილა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი მაკარიძე (დინამო).**

მცველები: **დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია (ორივე ამერი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), აკაკი ხუბუტია (კაუნასი, ლიტვა), ვალტერ ხორგუაშვილი (შერიფი, მოლდოვა).**

ნახევარმცველები: **ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა), ბექა ჟღენტი (ტორპედო, რუსეთი), შოთა გრიგალაშვილი, გიორგი მერებაშვილი, სანდრო კობახიძე (ყველა დინამო) ალექსი ბენაშვილი, მირზა ბჟალავა (ორივე ზესტაფონი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი).**

თავდამსხმელები: **გიორგი ჭელიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი).**

როგორც ხედავთ, მინგეს რჩეულთა შორის რამდენიმე ახალი სახეა. კერძოდ, **კვასხვაძე, მაკარიძე, დვალიშვილი, ხორგუაშვილი, ჭელიძე**. მოულოდნელი იყო ეროვნული გუნდის წევრების, **ჯაბა კანკავასა** და **მათე ღვინიანიძის** გამოჩენაც. შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრებთან საშინაო შეხვედრაში გაძევების გამო, კანკავა შოტლანდიასთან 24 მარტის მატჩს გამოტოვებს. **კლაუს ტოპმიოლერს** კი, როგორც ჩანს, სურს, თურქთა წინააღმდეგ ის შემადგენლობა ათამაშოს, რომელსაც სავარაუდოდ შოტლანდიაში ათამაშებს.

ნაკრები 5 თებერვალს სასტუმრო "პრესტიჟში" დაიწყებს მოსამზადებელ შეკრებას. რალფ მინგეს გუნდი თურქეთის ნაკრებს 7 თებერვალს 13 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**



**შოთა არველაძის გვარს სანაკრებო სიაში ფეხბურთელის შარშანდელი განცხადების გამო არ ველოდით. მაშინ არველაძემ ტოპმიოლერს სთხოვა, ამხანაგურ მატჩებში არ გამოეძახებინა, რასაც მწვრთნელი დათანხმდა. ამდენად ახლა მისი გამოძახება მოულოდნელი იყო. შესაძლოა ამაზე იმოქმედა არველაძის გამოჯანმრთელების ამბავმა, რომელიც "ალკმაარის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გვამცნო. ამაზე და შოტლანდიის ნაკრების ახალ მწვრთნელზე სასაუბროდ გუშინ არველაძეს ჰოლანდიაში შევეხმიანეთ.**

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

## მაკლიში ხასიათის კაცია

### არ ვიცი, ნაკრებში რატომ გამომიძახეს

**- შოთა, უკვე გამოჯანმრთელდი?**

- კი, მწყობრში ვარ და ხვალ "სპარტას" წინააღმდეგაც ვითამაშებ.

**- თურქეთთან მატჩშიც ითამაშებ?**

- ვერა, ყველამ იცის ფეხი რა დღეშიც მაქვს. დიდი დატვირთვა და უმალ ტკივილები მეწყება. ხვალის გარდა, 3, 7, 10 და 14 თებერვალს აქვს "ალკმაარს" თამაშები. თუკი მოვახერხე, შესაძლოა, ამ ყველა შეხვედრაში არც ვითამაშო. ბუნებრივია ნაკრებში თამაში ჩემთვის მეორეხარისხოვანი სულაც არაა, მაგრამ ეროვნულ გუნდს ოფიციალურ მატჩებში ვჭირდები და მინდა შოტლანდიასთან თამაშისთვის ჯანმრთელი ვიყო. კლაუს ტოპმიოლერს შარშან, ნოემბერში ვესაუბრე ამაზე და გამიგო.

**- ურუგვაისთან თამაშისთვის სანაკრებო სიაში არ იყავი. თურქეთთან მატჩისთვის კი ტოპმიოლერის ოცეულში შენი გვარიცაა დასახელებული...**

- არ ვიცი, რატომ გამომიძახეს. ამხანაგურ მატჩებში ახალგაზრდების გამოცდა უფრო წაადგება ნაკრებს. ოფიციალურ შეხვედრებში თამაშზე კი უარს არასდროს ვამბობ.

**- ნაკრების მწვრთნელთან თუ გქონდა საუბარი?**

- არა, ჩემმა ძმამ, რეზომ იცის, ნოდარ ახალკაცსაც ვესაუბრე და ვითარება მასაც ავუხსენი. ამ დღეებში კლაუს ტოპმიოლერსაც დავურეკავ და მჯერა, გამიგებს.

**- შოტლანდიის ნაკრების თავკაცად, "რეინჯერსში" შენი ყოფილი მწვრთნელი ალექს მაკლიში დაინიშნა. მას როგორ დაახასიათებდი?**

- მაკლიში ხასიათის მწვრთნელია. გუნდში კარგ ატმოსფეროს ქმნის და ტაქტიკების მარაგიც აქვს. გუნდს იმ სქემით ათამაშებს, რა კონტინგენტიც ჰყავს, თუმცა უმეტესად მაინც კლასიკურ 4-4-2 ტაქტიკას ირჩევს.

**- მაკლიში შენ და ხიზანიშვილს კარგად გიცნობთ...**

- 4 წლის განმავლობაში ვმუშაობდი მაკლიშთან და როგორ ვთქვა, ჩემი შესაძლებლობები არ იცის-თქო. თუმცა მისი გუნდის წინააღმდეგ ჩვეული ჟინითა და მონდომებით შევეცდები გოლის გატანას.

**- რა შანსი გვაქვს მაკლიშის შოტლანდიასთან?**

- შანსი, რა თქმა უნდა, გვაქვს. შოტლანდიამ საფრანგეთი დაამარცხა, ჯგუფში მეორე ადგილზე განმტკიცების შანსი გაუჩნდა და ბუნებრივია მოტივაციაც საკმაო აქვს. რალა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ, მაკლიშის გუნდი გლაზგოში მოგებისთვის იბრძოლებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრების ფან კლუბი. პრესკონფერენცია

## მოიგეთ და გაემგზავრეთ ლიტვაში

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ნაკრების ფან კლუბის პრესკონფერენცია შედგა. ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძემ**, მასმედიას ფან კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **გიორგი ხაჩიძე** წარუდგინა. პრესკონფერენციაზე ხაჩიძემ ფან კლუბის მინი-ფეხბურთის მომავალ ტურნირზე ისაუბრა, რომელიც ერთობ მასშტაბურია, ის 1 მარტს დაიწყება, მატჩები კი თბილისსა და ბათუმში გაიმართება.

*"ტურნირი მინი-ფეხბურთში ფან-კლუბის წევრთა შორის 1 მარტს თბილისსა და ბათუმში დაიწყება. ის მასშტაბურია და მასში ფან კლუბის ყველა წევრს შეეძლება მონაწილეობის მიღება უფასოდ. თუმცა თამაშის უფლება არ აქვს მოქმედ ფეხბურთელსა და ფუტსალის მოთამაშეს. მსურველებმა განაცხადით, ფან კლუბს 20 თებერვლამდე უნდა მიმართონ*

*ტურნირში გამარჯვებული გუნდი (8 მოთამაშის შემადგენლობით) უფასოდ გაემგზავრება 2 ივნისს ლიტვაში ჩვენი ნაკრების გასვლით მატჩზე დასასწრებად.*

*ამის გარდა ტურნირის ბომბარდირი ან საუკეთესო მოთამაშე უფასოდ გაემგზავრება შოტლანდია-საქართველოს 24 მარტის თამაშზე დასასწრებად.*

*ჩვენ სხვა საჩუქარიც გვაქვს. კერძოდ, 7 თებერვლის საქართველო-თურქეთის ეროვნული ნაკრებების მატჩზე, ფან კლუბის წევრთათვის ერთი სექტორი იქნება გამოყოფილი და ისინი (დაახლოებით 400 წევრი) უფასოდ დაესწრებიან თამაშს. ეს თამაში 19 საათზე იწყება, იმ დროისათვის სიცივე იქნება და მათ საშუალება ექნებათ ცხელი სასმელი (ჩაი, ყავა) მიირთვან"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე გიორგი ხაჩიძემ.

**დავით ცაბაძე**

ყაზბეგი
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# გოგუა 700 ათასად

## ჰართსი ქართველის გამოსყიდვას ცდილობს

31 იანვარი ის ზღვარია, როდესაც ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა იხურება. მანამდე უნდა მოესწროს **გოგიტა გოგუას** ტრანსფერიც.

გუშინ ფეხბურთელს ვესაუბრეთ და ბოლო სიახლეები შევიტყვეთ. ჩვენი ინფორმაციით, **ჩერვიჩენკოსთან** დამატებითი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, "ჰართსმა" 700 ათას ევროდ გოგიტას სრულად გამოსყიდვა გადაწყვიტა. ინფორმაცია თავად გოგუამ დაგვიდასტურა:

*"დიახ, ეს ვარიანტი განიხილება. თუკი "ჰართსმა" ჩერვიჩენკო ამაზე არ დაითანხმა, მაშინ იჯარის თანხას მაინც გადაიხდის. ჯერ ვერაფერს გეტყვით, ისევ მიმდინარეობს მოლაპარაკება და ველოდებით ჩერვიჩენკოს პასუხს. პირადად მე "ჰართსის" სასარგებლოდ გადავწყვიტე საკითხი. აქ ისეთი გულშემატკივრობაა, სხვაგან ვერსად ვერ ნახავთ. არა მარტო თამაშებს, ვარჯიშებსაც უამრავი ადამიანი ესწრება. დღეს ფოტოებიც გადამიღეს, ვვარჯიშობ გუნდთან და მომწონს მთლიანობაში "ჰართსიც" და შოტლანდიაც. ძალიან მინდა დარჩენა, მაგრამ საბოლოო თანხმობამდე, ჩერვიჩენკოს თავზე ვერ გადავახტები. ცალკე პრობლემაა ისიც, რომ ფიფას რეიტინგში 70-ე ადგილზე დაბლა მყოფი ქვეყნიდან მოთამაშეს ბრიტანეთის შრომის სამინისტროსგან სამუშაო ვიზის აღება ურთულდება.*

*ახლა გუნდი შაბათის მატჩის სამზადისზეა გადართული და ალბათ, ორშაბათს ან სამშაბათს ჩემი საკითხი საბოლოოდ გადაწყდება."*

**მერაბ მამულაშვილი**

# NOT DONE YET

"დაიმახსოვრეთ, რომ heartsfc.co.uk იანვრის თვის განმავლობაში გულდაგულ მოგაწვდით კლუბის ყველა სატრანსფერო სიახლეს. თუ თქვენ რომელიმე ამბის შესახებ აქ არ კითხულობთ, ესე იგი ის ჯერ არ მომხდარა", - ასეთი განცხადება ახლავს თან ედინბურგული კლუბის ოფიციალური საიტს. მართლაც, ამ საიტზე წუხანდლამდე გოგიტა გოგუა ნახსენები საერთოდ არ იყო. გოგუას ტრანსფერის განხორციელების შესახებ ჯერ სკანდალურად ცნობილმა საიტებმა გვამცნეს (როგორიც "თრაიბალ ფუტბოლია"), შემდეგ "ჰართსის" ფან-საიტებიც აყვნენ მათ, ბოლოს კი მედიის ისეთ სოლიდური წარმომადგენლებიც მოტყუვდენ, როგორიც შოტლანდიაში "ივნინგ ნიუსი" და "სკოტსმენია". ჩვენც მოუთმენლად ველით გოგუას ტრანსფერის წარმატებით დასრულებას, მაგრამ, რა გვექნა, პირველწყაროდან ვიცოდით, რომ ჯერ საქმე ბოლომდე მიყვანილი არ იყო. და აი, წუხელ "ჰართსის" საიტმა დუმილი დაარღვია და გვამცნო ის, რასაც "ლელო" წერდა ამ დღეებში. ინებეთ სტატიის სათაური - "ჯერ არ გაფორმებულა".

ოფიციალურ საიტს კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ვალდას ივანაუსკასმა განუცხადა, რომ ლარი კინგსტონის და გოგიტა გოგუას საქმეში კითხვები რჩება, თუმცა ქართველისა და განელის დაბევება მოსალოდნელია. "ჯერ 100 პროცენტით დადებითად არ გადაწყვეტილა, რომ გოგუა და კინგსტონი "ჰართსელები" გახდებიან, რადგან მცირე პრობლემებია სხვადასხვა კლუბებთან მიმართებაში. სამუშაო ვიზა ერთი პრობლემაა, მათი მფლობელი კლუბები - მეორე. ჩვენ ტრანსფერების განხორციელებასთან ახლოს ვართ, მაგრამ ჯერ საქმე ბოლომდე მისული არაა. ამისთვის კლუბის მენეჯმენტი მუშაობს. იცით რაშია პრობლემა, რუსეთი ევროპა არაა - ის სულ სხვა ქვეყანაა, თავისებური და მე მას კარგად ვიცნობ. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო საათებში ან დღეებში ეს საკითხი ჩვენთვის დადებითად გადაწყდება".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გოგიტა გოგუა

მეორე წრის წინ

# უგრინმა გარკუშა და სირბილაძე წაიყვანა

დღეს გამთენიისას თბილისის "დინამო" თურქეთს გაემგზავრა - 27 იანვრიდან 7 თებერვლამდე **დუშან უგრინის** გუნდი მოსამზადებელ შეკრებას გაივლის ანთალიაში. უგრინმა თურქეთში 24 მოთამაშე იახლა:

მეკარეები: **სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე.**

მცველები: **შოთა კაშია, გურამ კაშია, ლაშა ნოზაძე, გულვერდ თომაშვილი, რომან გარკუშა, ლევან აკობია.**

ნახევარმცველები: **დავით დილმელაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი ლევან ხმალაძე, დავით ოდიკაძე, სანდრო კობახიძე, ირაკლი ჩირიკაშვილი, გიორგი მერებაშვილი, მიხეილ ხუციშვილი.**

თავდამსხმელები: **სანდრო იაშვილი, ჯაბა დვალი, ზამირ ჯანაშია, მათე ვაწაძე, ირაკლი სირბილაძე.**

**სირბილაძის** გამოჩენა "დინამოში" საკმაოდ მოულოდნელი იყო. მოლოდინისამებრს თურქეთში გაემგზავრნენ **ფეიქრიშვილი** და **გარკუშა**, რომელთა გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხიც შეკრების მერე გადაწყდება. **ზელიჩი** და **კრშკო** კი როგორც ვწერდით, იქ შეუერთდებიან "დინამოს".

ანთალიაში თბილისის "დინამო" რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს - 29 იანვარს მარიუპოლის "ილიჩევეცს" დაუპირისპირდება, 31-ში პოლტავის "ვორსკლას", 2 თებერვალს ლვოვის "კარპატის", 4-ში უზბეკეთის მეოთხეადგილოსან "მაშალს", 6 თებერვალს კი სამხრეთი კორეის მეორეადგილოსან "პუანგს".

**დავით ცაბაძე**


თურქეთში გამგზავრების წინ დინამომ შაჰდაგს მოუგო

# მეგობრული მეზობლობა

| ოლიმპი-სიმურგი | 1:1 |
|---|---|

0:1 მაზერი (35), 1:1 გოცირიძე (85)

**ოლიმპი: მერლანი - ბერუაშვილი, მახვილაძე, ხუბუა - სეთურიძე, ჩხარტიშვილი, ქებაძე, არზიანი - დვალიშვილი, გოცირიძე, აფციაური**

**რეზო ძოძუაშვილმა** ტრადიციას არ უღალატა და თამაშის დროს არაერთხელ შეცვალა შემადგენლობა. მოსკოვის ტურნირიდან დაბრუნებული ხუთეული **(სეთურიძე, ონიანი, ქებაძე, აფციაური, კახელიშვილი)** ხშირად იცვლებოდა, რადგან "ოლიმპის" მწვრთნელს მათი გადატვირთვა არ სურდა.

აზერბაიჯანელებმა საკმაოდ ძლიერი გუნდი ჩამოიყვანეს. მათი რიგები ზამთარში ექვსი უკრაინელი ლეგიონერით გაძლიერდა და აშკარაა, მათთან სპარინგი ქართულ გუნდებს წაადგებათ.

ანგარიში ზაქათალელებმა გახსნეს. მერე "ოლიმპმა" შეუტია, მაგრამ გოცირიძემ მხოლოდ მეორე ტაიმის მიწურულს მოახერხა ანგარიშის გათანაბრება.

მეორე ტაიმში რუსთაველებს წინ გასვლაც შეეძლოთ, მაგრამ დვალიშვილმა პენალტი ვერ გამოიყენა.

## კვირკველია: ჯერ თურქეთი, მერე თბილისი

გუშინ ზაპოროჟიეს "მეტალურგი" ჩარტერული რეისით ანთალიაში მეორე შეკრებაზე გაფრინდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი იაშჩენკომ** თან 22 ფეხბურთელი იახლა, გუნდთან ერთად არ არის თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძე**, რომელიც ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის კურსს გადის. სხვათა შორის, იაშჩენკომ აღნიშნა, რომ "მეტალურგი" თავდასხმის ხაზში გაძლიერებას საჭიროებს და რომ კლუბი ახალ ფორვარდს ეძებს. ანთალიაში ჩვენებურთაგან მხოლოდ **დავით კვირკველია** მიფრინავს და ისიც შეკრების ბოლომდე (10 თებერვალი) ვერ დარჩება გუნდთან ერთად, რადგან ქართველმა მცველმა ნაკრებში გამოძახების ფურცელი მიიღო. "მეტალურგი" ანთალიაში ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავს. დავით კვირკველია, სავარაუდოდ, მხოლოდ პირველ ორში ითამაშებს და შემდეგ თბილისში დაბრუნდება.

## ბობოხიძემ სპარტაკი დაამარცხა

თურქულ შეკრებაზე მორიგი მატჩი გამართა ლუგანსკის "ზარიამ", უკრაინული კლუბი ნალჩიკის "სპარტაკს" შეხვდა და 2:0 დაამარცხა. "სპარტაკი" ქართველებისგან დაიცალა (**გოგუა** "ჰართსში" გადადის, **გვაზავა** "კრილიაში" ისინჯება, რუსეთის მოქალაქე **ჩიხრაძე** კი "ლუჩშია"), ასე რომ ჩრდილოკავკასიური კლუბი ნაკლებად გვაინტერესებს, ლუგანსკელთა რიგებში კი "დინამოს" ფორვარდი **მიხეილ ბობოხიძე** ცდილობს დამკვიდრებას. ბობოხიძემ ამ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, მან 68-ე წუთზე პოკლონსკი შეცვალა.


ირაკლი გემეზაშვილი

# გახსოვთ?

დიდი ხანია არაფერი გვსმენია ქართველ ნახევარმცველ **ირაკლი გემეზაშვილზე**, რომელიც 8-10 წლის წინათ თბილისის "დინამოს" ღირსებას იცავდა. სიმართლე გითხრათ, ასაკის მიუხედავად (გემეზაშვილი მხოლოდ 29 წლისაა) გვეგონა, რომ მან ფეხბურთს თავი დაანება, თუმცა სრულიად შემთხვევით მას გერმანულ ობერლიგაში წავაწყდით. გემეზაშვილი ობერლიგის კლუბ "მოიზერვიტცის" ღირსებას იცავს და ამ აღმოსავლეთგერმანული გუნდის 22-ნომრიანი მაისურით ასპარეზობს. "დინამოდან" წასვლის შემდეგ გემეზაშვილი რუსეთში, ელისტის "ურალანში" თამაშობდა, შემდეგ კი გერმანიაში წასულა. 2000-2003 წლები მან "პლაუენში" გაატარა, 2004-2006 - "ჰალეშერში", ახალი სეზონიდან კი ქართველი "მოიზერვიტცის" წევრია. "მოიზერვიტცი" 16 თამაშის შემდეგ 30 ქულით მეოთხეა, ამ ლიგიდან მხოლოდ ერთი კლუბი გადადის რეგიონალლიგაში. გემეზაშვილის კლუბი სულ 5 ქულით ჩამორჩება კოტბუსის "ენერგის" მეორე გუნდს (ლიდერს), ასე რომ ზეასვლის შანსს ინარჩუნებს. "მოიზერვიტცი" მეორე წრისთვის ჰალეში ემზადებოდა, სადაც მინი-ფეხბურთის ტურნირი მოიგო. ტურნირში ერთი გოლი (ნახევარფინალში) ირაკლი გემეზაშვილმაც გაიტანა.

# თარხნიშვილის გამოეთიშა

გუშინ მოსკოვში თანამეგობრობის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. ჩვენს უფრო დიდ ინტერესს პირველი შეხვედრა იწვევდა, სადაც ერთმანეთს მოლდოვური "შერიფი" და უზბეკური "ფახთაქორი" დაუპირისპირდნენ. შეგახსენებთ, ტირასპოლელთა კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი** ერთადერთი ქართველი იყო რომელიც ტურნირს გუშინდელ დღემდე შემორჩენოდა.

შეხვედრა უკომპრომისო ორთაბრძოლაში წარიმართა და "ფახთაქორის" მინიმალური გამარჯვებით დასრულდა. შუააზიელებმა გამარჯვების გოლი მე-40 წუთზე გაიტანეს. თარხნიშვილმა ტრადიციულად, სრულად ითამაშა, სპეციალისტებმა ეს მატჩი ნაადრევ ფინალად მონათლეს.

გამარჯვებულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო ქართული წარმოშობის ახალგაზრდა ნახევარმცველი **დავით კოპაძე**.

ლატვიური "ვენტსპილსისა" და რუსული ცსკა-ს დაპირისპირების ბედი კი მსაჯის საფინალო სასტვენამდე 9 წუთით ადრე გადაწყდა. მოსკოვის არმიელთა დუბლშემადგენლობამ ბალტიისპირელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მეტოქის კარის დალაშქვრა ვერ შეძლო.

სპორტკომპლექს "ოლიმპიისკიზე" ფინალი ხვალ, თბილისის დროით 14 საათზე გაიმართება. საერთო მოსაზრებით, "ფახთაქორსა" და "ვენტსპილსს" გამარჯვების დაახლოებით თანაბარი შანსები აქვთ.

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. პირველი წრის შეჯამება

## ოლიმპი

მონაცემები

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | საგოლე პასი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ალავიძე (მეკ.) | 13 | 13 | -5 | - | - | - |
| რ. ონიანი | 13 | 13 | - | 2 | - | - |
| დვალიშვილი | 13 | 13 | 4 | 3 | 1 | - |
| ხუბუა | 13 | 13 | 1 | - | 3 | - |
| აფციაური | 12 | 12 | 2 | 4 | 1 | - |
| ქებაძე | 12 | 12 | 4 | - | 5 | - |
| სეთურიძე | 12 | 12 | - | 1 | - | - |
| კახელიშვილი | 12 | 11 | 4 | 2 | 2 | - |
| მახვილაძე | 11 | 11 | 2 | - | 3 | 1 |
| სირბილაძე | 11 | 11 | 4 | 1 | - | - |
| მიმინოშვილი | 8 | 5 | - | - | - | - |
| გეწაძე | 8 | 4 | 3 | 2 | - | - |
| გ. ონიანი | 7 | 6 | 2 | - | 1 | - |
| ხოხონიშვილი | 7 | 3 | - | - | 1 | - |
| ხოჯავა | 7 | 2 | 1 | - | 1 | - |
| გ. თოდუა | 7 | 2 | 2 | 1 | - | - |
| ვ. კვარაცხელია | 7 | - | 3 | 1 | - | - |
| მიძიაშვილი | 1 | - | - | - | - | - |
| კაკაბაძე | 1 | - | - | - | - | - |



ერთადერთი მატჩი ოლიმპმა დინამოსთან წააგო

რუსთავის "ოლიმპი" პირველი წრის მშვენება იყო. სახელდახელოდ შეკრებილი გუნდის ბედი ჩემპიონატის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე გაირკვა. მანამდე იყო ხელისუფლებასთან დაკავშირებული გაურკვევლობები და ბოლოს ამასაც მოევლო.

თუმცა პრობლემები მაინც არ ილეოდა. სტარტამდე ხუთი დღით ადრე "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია თბილისის "დინამოს" დუბლებში გადავიდა და რუსთაველებმა ცაიტნოტში, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ყველაზე მართებული გადაწყვეტილება მიიღეს. აკობიას ასისტენტი გიორგი კიკნაძე დატოვეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მან თავისნაირი გამოუცდელი ზაზა ზამთარაძე ასისტენტად მიიწვია და ყველასთვის გასაოცრად, ამ ახალგაზრდა სპეციალისტების დუეტმა სენსაცია მოახდინა - "ოლიმპმა" პირველი წრე ლიდერის სტატუსით დაასრულა.

შედეგიც არის და შედეგიც - რუსთაველებმა ლაღი და შემტევი ფეხბურთით გულშემატკივრების სიყვარული სულ რაღაც ოთხ თვეში მოიპოვეს.




## გიორგი კიკნაძე
### მთავარი მწვრთნელი პირველ წრეში

პირველი წრის შესაფასებლად შედეგი გამოდგება. ყველაზე მეტი ბურთი გავიტანეთ და გამორჩეულად საიმედო დაცვა გვყავდა. რაღა შევაფასო, როდესაც ყველა მონაცემებით პირველ ადგილზე ვიყავით.

ვერც წარმოვიდგენდი, რომ ლიდერი გუნდის მწვრთნელს მომხსნიდნენ. ფეხბურთში შეფასების კრიტერიუმი შედეგია, რაც ჩემი და ზაზა ზამთარაძის შრომის შედეგად მიღწეულია. სხვა გარემოებები მეორეხარისხოვანია. ჩვენ შედეგი არ დაგვიფასეს.

### საუკეთესო მატჩი

რა თქმა უნდა, ასეთი "ვიტ ჯორჯიასთან" 4:0 მოგება იყო. არის შემთხვევები, როდესაც გუნდს თამაში გამოსდის და საგოლე მომენტებს ასი პროცენტით იყენებს. ეს სწორედ მსგავსი იშვიათი შემთხვევაა. სხვა თამაშების გახსენებაც შეიძლება, რომელშიც ძალიან ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენეთ, მაგრამ მომენტები ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ.

### ყველაზე ცუდი მატჩი

პირველ წრეში მხოლოდ "დინამოსთან" წავაგეთ (0:1) და ბუნებრივია, ეს იყო ყველაზე ცუდი მატჩი.

### პლუსი

"ოლიმპი" შემტევ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა და ეს ჩვენი დიდი პლუსი იყო.

### მინუსი

"ოლიმპს" ამბიციური გუნდის შესაბამისი პირობები არ გააჩნდა. ვგულისხმობ ინფრასტრუქტურას. ევროპული სტანდარტების შესაბამისი კი არა, "ამერის", "დინამოს", "ზესტაფონის" მსგავსი პირობებიც არ იყო. ელემენტარულად, ნორმალური ფორმებიც არ გვეცვა.

### პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი

თავდაპირველად სამეულში მოხვედრა დაგვისახეს მიზნად და ეს იყო პროგრამა-მინიმუმი. თუმცა მაქსიმალურ შედეგს მივაღწიეთ და პროგრამა შესრულდა.

### საკადრო პოლიტიკა

ჩვენ საკადრო პოლიტიკის წარმოების დიდი შესაძლებლობა არ გვქონდა, რადგან მწვრთნელად ჩემპიონატის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე დამნიშნეს. აქედან გამომდინარე, ვინც გუნდში იყო, იმათ დავეყრდენით. დროც აღარ გვრჩებოდა საკადრო პოლიტიკის გასატარებლად. თუმცა ძალიან კარგი მოთამაშეები დაგვხვდნენ და მათთან მუშაობით კმაყოფილი ვარ.

### პირველი წრის რჩეულნი

პირველ წრეში გამორჩეულად დამამახსოვდა ამირან მუჯირის თამაში. იგი ძალიან კარგი მოთამაშეა.

"ოლიმპიდან" კი არავის არ გამოვყოფდი, რადგან ეს იყო ერთიანი, მეგობრული გუნდი, სადაც ყველა თავის დავალებას მშვენივრად ასრულებდა. ამის გამო გავედით პირველ ადგილზე.

### ფინანსური მდგომარეობა

ზემოთ ვთქვი, რომ სხვა ლიდერების მსგავსი მოსამზადებელი პირობები არ გვქონდა. თუმცა ხელფას-პრემიას დროულად ვიღებდით და შემიძლია ვთქვა, რომ ამ კუთხით, სტაბილური მდგომარეობა გვქონდა.

### ოლიმპი და ქომაგი

თავდაპირველად, ჩვენს თამაშებზე მცირერიცხოვანი მაყურებელი დადიოდა. მერე და მერე, თამაში თამაშზე მოვიმატეთ და 3-5 ათასი მაყურებელი იკრიბებოდა. ძალიან ბევრს ნიშნავდა მათი თანადგომა. უმაყურებლოდ ფეხბურთი ელფერს კარგავს, 3-5 ათასი მაყურებელი კი საქართველოსთვის დიდი რიცხვია.



გიორგი კიკნაძე

### ჩემპიონატის ახალი ფორმატი

საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის უფრო მისაღები ათგუნდიანი ჩემპიონატია. ამ რაოდენობის გუნდებს მეტ-ნაკლებად აქვთ ფინანსური გარანტიები და გამართული ინფრასტრუქტურა. ჩვენთვის 16 გუნდი ბევრია. იყო დრო, შვეიცარიაში 8 გუნდი თამაშობდა.

აქედან გამომდინარე, მონაწილეთა 14-მდე შემცირება გამართლებულად მიმაჩნია.

### თასის ახალი ფორმატი

ეს ძალიან მომეწონა, სიახლეა ჯგუფური ეტაპებით თასის ჩატარება და ყველანაირად მისაღები. მეტი თამაშია და მწვრთნელებს მოთამაშეთა გამოცდის მეტი საშუალება გვეძლეოდა.

### კოლეგები

აუცილებლად გამოვარჩევ წარმატებულ მწვრთნელებს, ამერელ გიორგი ჩიხრაძეს, "სიონის" ხელმძღვანელ კახა ცხადაძეს, "ვიტ ჯორჯია" ძალიან კარგად რომ თამაშობს, რამაზ მუმლაძის დამსახურებაა. იმავეს ვიტყვი თემურ მახარაძეზეც.

### მსაჯობა

მთლიანობაში მსაჯობა გამოსწორდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც მათი მოქმედება ჩემთვის გაუგებარი დარჩა, მაგალითად "დინამოსთან" მატჩი.

### გარიგებული მატჩები

ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ, რომ მე თამაშების გარიგებაზე ვერავინ დამელაპარაკება. ისე, ბევრი ცუდი რამ ხდება და ამას ვერავინ უარყოფს.

მერაბ მამულაშვილი




| | | |
|---|---|---|
| **I ტური** | | |
| 24.08 | ს | სიონი 1:0 |
| აფციაური (ტური გადადებული იყო) | | |
| **II ტური** | | |
| 05.08 | შ | კახეთი 7:0 |
| დვალიშვილი (2), სირბილაძე (2), მახვილაძე, გ. თოდუა, კვარაცხელია | | |
| **III ტური** | | |
| 20.08 | ს | ზესტაფონი 0:0 |
| **IV ტური** | | |
| 27.08 | შ | ლოკომოტ. 1:0 |
| კახელიშვილი | | |
| **V ტური** | | |
| 09.09 | ს | მერანი 1:0 |
| დვალიშვილი | | |
| **VI ტური** | | |
| 17.09 | ს | ბორჯომი 4:0 |
| ხუბუა, დვალიშვილი, გეწაძე, აფციაური | | |
| **VII ტური** | | |
| 23.09 | შ | ვიტ ჯორჯ. 4:0 |
| ქებაძე (2), კახელიშვილი, სირბილაძე | | |
| **VIII ტური** | | |
| 14.10 | ს | ჩიხურა 4:0 |
| კვარაცხელია (2), მახვილაძე, სირბილაძე | | |
| **IX ტური** | | |
| 21.10 | შ | ბათუმი 0:1 |
| ქებაძე, ხოჯავა | | |
| **X ტური** | | |
| 29.10. | ს | დინამო 0:1 |
| **XI ტური** | | |
| 05.11 | შ | დილა 5:1 |
| გეწაძე (3), გ. ონიანი, გ. თოდუა | | |
| **XII ტური** | | |
| 18.11 | ს | ამერი 2:2 |
| გ. ონიანი, კახელიშვილი | | |
| **XIII ტური** | | |
| 26.11 | შ | ტორპედო 1:0 |
| კახელიშვილი | | |
| სულ 10 მოგება, 2 ფრე 1 წაგება. ბურთების შეფარდება 32 – 5. 32 ქულა | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტურის წინ

# ჰაინკესის მე-500 მატჩი

**გუშინ**

**ბორუსია (დ)-ბაიერნი** *იხ. მე-15 გვერდზე*

**დღეს**

**არმინია-ჰამბურგი**
**აინტრახტი-შალკე**
**ნიურნბერგი-შტუტგარტი**
**კოტბუსი-ბორუსია (მ)**
**ბოხუმი-მაინცი**
**ჰერტა-ვოლფსბურგი**

**ხვალ**

**ალემანია-ლევერკუზენი**
**ვერდერი-ჰანოვერი**

ბუნდესლიგის მეორე წრე გუშინ, დორტმუნდის "ბორუსიისა" და "ბაიერნის" მატჩით დაიწყო და ამ შეხვედრის დეტალურ მიმოხილვას ორშაბათის ნომერში გაეცნობით. ტურის ცენტრალური მატჩიც ეს იყო. დღევანდელი თამაშებიდან ყველაზე დიდ ინტერესს "აინტრახტისა" და "შალკეს" დაპირისპირება იწვევს. აბსოლუტურად ყველა მიმომხილველი და ექსპერტი იმაზე საუბრობდა, რომ გელზენკირხენული კლუბი მეორე წრისთვის ძალიან კარგად მოემზადა და მზადაა, გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. **ლევან კობიაშვილს,** და მის თანაგუნდელებს პირველი გამოცდის ჩაბარება ფრანკფურტში მოუწევთ, საიდანაც ბოლო დროს ხელცარიელები ძალიან იშვიათად ბრუნდებიან. თავად განსაჯეთ, ბოლო 9 საშინაო მატჩიდან (ბუნდესლიგის ეგიდით), "აინტრახტმა" "ხუმარები" მხოლოდ ერთხელ დაამარცხა. თუმცა ყველამ იცის, რომ **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდი კერკეტი კაკალია და გრანდებისთვის ქულების ართმევა შეუძლია. "კიკერი" ვარაუდობს, რომ **მირკო სლომკა** "შალკეს" 4-4-2 ტაქტიკით ათამაშებს, სადაც კობი მემარცხენე ნახევარმცველი იქნება. ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება **ლინკოლნიც**, რომელზეც ჩვენი გერმანელი კოლეგები ამბობენ, ზამთრის არდადეგები შესანიშნავად გამოიყენა და ჩინებულ ფორმაშიაო. ფუნკელს საკადრო პრობლემები არ აქვს, სლომკას კი, შესაძლოა, კაპიტანი **მარსელო ბორდონი** გამოაკლდეს და თუ ეს ასე მოხდება, დაცვის ცენტრში **კრსტაიჩს როდრიგესი** შეუწყვილდება.

"შტუტგარტი", რომლის მეოთხე ადგილზე ყოფნა ყველამ სენსაციად აღიქვა, "ნიურნბერგს" ესტუმრება. პირველ რიგში საინტერესოა, გამოყვათ თუ არა ფრანკებს პირველი წრიდან ფრეების სიყვარული ("ნიურნბერგმა" 17 თამაშიდან 11 ფრედ დაასრულა). აღსანიშნავია, რომ ფრანკების მეკარე **რაფაელ შეფერი** მომავალი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს - ზაფხულიდან ის ხომ შტუტგარტელი გახდება. "ჰერტა" დედაქალაქში "ვოლფსბურგს" უმასპინძლებს და ამ თამაშის ერთ-ერთი უმთავრესი ინტრიგა **მარსელინიოა**, ფეხბურთელი, რომელიც 5 წლის განმავლობაში "ჰერტას" ღირსებას იცავდა, ახლა კი "მგლების" ბანაკშია. ბრაზილიელს შურისძიება უნდა - ზაფხულში ის ბერლინიდან კუდამოძუებული გაუშვეს.

"ჰამბურგი" თავისი მისიის (ელიტაში ადგილის შენარჩუნება) შესრულებას ბილეფელდიდან იწყებს. ახლა HSV-ს ტრაგედიებზე საუბარს აღარ მოვყვებით, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ჩრდილოელთათვის ამიერიდან თითოეული ქულა ყოფნა-არყოფნის ტოლფასია - "ჰამბურგს" 17 ფინალი ელის. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ HSV-ს მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** "არმინიის" დამრიგებლის, **თომას ფონ ჰეეზენის** ახლო მეგობარია. ზამთრის არდადეგებმა "ჰამბურგს" საკადრო პრობლემები მხოლოდ ნაწილობრივ მოუგვარა - ლაზარეთიდან დაბრუნდნენ **დემელი, სორინი, დე იონგი, იაროლიმი, კლინგბაილი, ვიკი** და **ბენჯამინი**. ჯერ კიდევ დაშავებულები არიან **ატუბა, გერერო, ტროხოვსკი** და **კომპანი**. **რაფაელ ვან დერ ვაარტი** კი დისკვალიფიცირებულია. აქვე გეტყვით, რომ HSV-ს რიგებში დებიუტი ექნება ექსშალკელ მეკარე **ფრანკ როსტს.**

"კოტბუსისა" და მიონხენგლადბახის "ბორუსიის" სახით ერთმანეთს გასავარდნი ზონის გზაგასაყარზე მყოფი გუნდები დაუპირისპირდებიან - "გლადბახი" ქვემოთაა, "ენერგი" კი ზემოთ.



დღეს იუპ ჰაინკესს იუბილე აქვს: მე-500 მატჩი ბუნდესლიგაში

აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა "ბორუსიის" თავკაც **იუპ ჰაინკესისთვის**, სამწვრთნელო კარიერიაში, ბუნდესლიგის ეგიდით რიგით მე-500 მატჩია! 499 მატჩიდან, რომელშიც "დონ იუპმა" გერმანული კლუბები დამოძღვრა, მას 230 აქვს მოგებული და თუ მე-500 თამაშში 231-ეს ვერ მოიგებს, დიდი შანსია, რომ იუბილე ტრაგედიად ექცეს და თანამდებობიდან გაათავისუფლონ. პირველი წრის დასრულების შემდეგ ჰაინკესმა პოსტი ისედაც ძლივსძლიობით შეინარჩუნა. დღესვე, მე-14 ადგილზე მყოფი "ბოხუმი" თავის "რურშტადიონზე" აუტსაიდერ "მაინცს" მიიღებს, რომელიც ცოტა ხნის წინათ **მოჰამედ ზიდანით** გაძლიერდა.

პირველი წრის გამარჯვებული "ვერდერი" ხვალ თამაშობს - "მუსიკოსები" "ჰანოვერს" მასპინძლობენ. ცოტა ხნის წინათ "კიკერმა" გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც 20 ათასმა ფანმა მიიღო მონაწილეობა - 55 პროცენტის აზრით, გერმანიის ჩემპიონი ბრემენული გუნდი გახდება. ავანსების გამართლება "ვერდერმა" "ჰანოვერთან" გამარჯვებით უნდა დაიწყოს. ხვალვე, აახენის "ალემანია" "ლევერკუზენის" მასპინძელი იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვერდერი | 17 | 11 | 3 | 3 | 47-22 | 36 |
| 2. შალკე | 17 | 11 | 3 | 3 | 29-17 | 36 |
| 3. ბაიერნი | 17 | 10 | 3 | 4 | 30-19 | 33 |
| 4. შტუტგარტი | 17 | 9 | 5 | 3 | 28-19 | 32 |
| 5. ჰერტა | 17 | 7 | 6 | 4 | 28-24 | 27 |
| 6. ლევერკუზენი | 17 | 7 | 4 | 6 | 28-24 | 25 |
| 7. ნიურნბერგი | 17 | 4 | 11 | 2 | 21-16 | 23 |
| 8. არმინია | 17 | 5 | 7 | 5 | 23-19 | 22 |
| 9. ბორუსია (დ) | 17 | 5 | 7 | 5 | 21-21 | 22 |
| 10. აინტრახტი | 17 | 4 | 8 | 5 | 22-28 | 20 |
| 11. ჰანოვერი | 17 | 5 | 5 | 7 | 16-26 | 20 |
| 12. ვოლფსბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 12-16 | 19 |
| 13. ალემანია | 17 | 5 | 4 | 8 | 28-33 | 19 |
| 14. ბოხუმი | 17 | 5 | 3 | 9 | 22-30 | 18 |
| 15. კოტბუსი | 17 | 4 | 5 | 8 | 18-24 | 17 |
| 16. ბორუსია (მ) | 17 | 4 | 3 | 10 | 13-23 | 15 |
| 17. ჰამბურგი | 17 | 1 | 10 | 6 | 16-22 | 13 |
| 18. მაინცი | 17 | 1 | 8 | 8 | 11-30 | 11 |

ცინცხალი ტრანსფერი

# როზენბერგი ბრემენელია

## კონტრაქტი 2011 წლამდე, ფასი სამიდან ოთხნახევარ მილიონამდე...

ბრემენის "ვერდერმა" მიზანს მაინც მიაღწია და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 5 დღით ადრე თავდამსხმელი იყიდა. **ჯონ კარუს** ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ, რომელმაც "ასტონ ვილას" მიაშურა, "მუსიკოსებმა" აქცენტი აიაქსელ **მარკუს როზენბერგზე** გადაიტანეს და ხუთშაბათს საღამოს ტრანსფერი სრულყვეს. მართალია, ინფორმაცია გუშინ გახმაურდა, მაგრამ ცნობილია, რომ "ვერდერისა" და "აიაქსის" ხელმძღვანელებმა შეთანხმებას ხუთშაბათს, საღამოს მიაღწიეს. 24 წლის ფორვარდმა ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე გააფორმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გარიგებით, "ვერდერის" საკადრო პრობლემები მოგვარებულია. როგორც იცით, **მოჰამედ ზიდანის** წასვლისა ("მაინცში" გადავიდა) და **ივან კლასნიჩის** ოპერაციის შემდეგ, გერმანიის ჩემპიონობის მაძიებლებს თავდამსხმელი სასწრაფოდ სჭირდებოდათ.

თანხა, რომელიც გერმანულმა კლუბმა ჰოლანდიურ გრანდს გადაურიცხა, არ სახელდება. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ეს ამსტერდამელთა სურვილი იყო. თუმცა ვარაუდობენ, რომ "ვერდერს" როზენბერგის შეძენა 3 მილიონიდან, 4.5 მილიონი ევროს ფარგლებში დაუჯდა. 24 წლის ფორვარდი უკვე სრულფასოვანი ბრემენელია და მას შეუძლია, ახალი გუნდის მაისურა ხვალვე, "ჰანოვერთან" მატჩში მოირგოს. აქვე გეტყვით, რომ როზენბერგს "აიაქსის" რიგებში 63 შეხვედრა აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 20 გოლია.

დაბოლოს: რაკი როზენბერგმა "აიაქსის" მაისურით უეფას თასზე უკვე ითამაშა, ბრემენელები მას ამ ევროტურნირზე ვეღარ გამოიყენებენ. საინტერესოა ის, რომ "ვერდერი" უეფას თასის მომდევნო რაუნდში სწორედ ამსტერდამულ კლუბს ხვდება...

## პირსი ახალგაზრდულ ნაკრებში

"მანჩესტერ სიტის" თავკაც **სტუარტ პირსს** ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნა შესთავაზეს. გუნდის დღევანდელმა დამრიგებელმა **პიტერ ტეილორმა** საკლუბო ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა. ინგლისელ ჭაბუკებს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის მომზადება სჭირდებათ. ტურნირი აგვისტოს მიწურულს ჰოლანდიაში უნდა გაიმართოს.

საფეხბურთო ასოციაცია პირსს ორი თანამდებობის შეთავსებას სთავაზობს. "სიტის" ხელმძღვანელობა კი მწვრთნელისგან საკლუბო სამუშაოზე კონცენტრაციას ითხოვს. ნაკრები კონტინენტის პირველობისთვის მზადებას 7 თებერვალს, ესპანეთთან ამხანაგური მატჩით დაიწყებს. ფინალურ ტურნირში მისი მეტოქეები ჩეხეთი, იტალია და სერბეთი იქნებიან. პირსის გარდა, განიხილება "ბოლტონის" მეორე მწვრთნელის, **სემი ლისა** და "უოტფორდის" თავკაცის, **ადრიან ბუთროიდის** კანდიდატურები.

## ამელია სპარტაკში არ ითამაშებს

იტალიის ნაკრების მეკარე **მარკო ამელია** მოსკოვის "სპარტაკში" არ ითამაშებს. ფეხბურთელს რუსებთან კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეთანხმებული ჰქონდა. მას წლიურად 1.6 მილიონ ევროს აღუთქვამდნენ, მაგრამ "სპარტაკს" ფეხბურთელის შესაძენად საჭირო 9 მილიონი ევრო არ აღმოაჩნდა და საკითხიც ავტომატურად მოიხსნა დღის წესრიგიდან.

მოსალოდნელი დანიშვნა

# მანჩინი, ჩელსის მომავალი მწვრთნელი?

## თუ მოურინიო ლონდონიდან წავა, აბრამოვიჩმა უკვე იცის, ვინ დანიშნოს...



რობერტო მანჩინი

**რობერტო მანჩინის** სურს, "ჩელსის" მომდევნო მწვრთნელი გახდეს. "ინტერის" ბოსი **რომან აბრამოვიჩის** უმთავრესი სამიზნეა. თუ **ჟოზე მოურინიო** თანამდებობას დატოვებს, რუსი ოლიგარქი მასთან კონტრაქტის გაფორმებას შეეცდება, იუწყება "სანი". მანჩინიმ თქვა: *"პრემიერლიგაში სიამოვნებით ვიმუშავებდი. "ჩელსი"? ფანტასტიკური იქნებოდა."* მანჩინის მილანურ კონტრაქტში ექვსი თვეა დარჩენილი. თუ შეთანხმებას არ გაუგრძელებენ, ის უცხოეთში წავა.

"სამპდორიის", "ლაციოსა" და იტალიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ინგლისს 2001 წელს მიაშურა და ერთი თვე "ლესტერში" გაატარა. მას "ინტერთან" კონტრაქტი გასულ კვირაში უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. აბრამოვიჩი დარწმუნებულია, რომ ზაფხულში მწვრთნელს ოთხწლიან ხელშეკრულებაზე დაითანხმებს - მანჩინის წლიურად 6 მილიონ გირვანქას გადაუხდიან.

იტალიელ მწვრთნელთან დაახლოებული წყარო ამბობს: *"მან (რობერტომ) იცის "ჩელსის" დაინტერესების შესახებ, მაგრამ "ინტერიდან" ისე არ წავა, თუ ყველაფერს საგულდაგულოდ არ აწონ-დაწონის. მისი აბარგების შანსი 50/50-ზეა."*

"სანისთვის" ცნობილია, რომ მოურინიოს ასისტენტებისთვის ახალი კონტრაქტები არ შეუთავაზებიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მოურინიოს ლონდონში დარჩენა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ჟოზეს მარჯვენა ხელი **სტივ კლარკი** რამდენიმე ფეხბურთელს გამოუტყდა, რომ ზაფხულში სამსახურის შეცვლას აპირებს. ე.ი. სავარაუდოდ, სამსახურს შეიცვლის მოურინიოც. პორტუგალიელმა მწვრთნელმა კლარკი კბილებით დაიცვა, როცა აბრამოვიჩმა მის ადგილზე "პორტსმუთის" მეორე მწვრთნელის, **აბრაამ გრანტის** მიყვანა სცადა. ჟოზე არ მალავს, რომ თუ მისი შტაბის დაკომპლექტებაში ჩაერევიან, დაუყოვნებლივ დატოვებს პოსტს.

კლარკი, მეორე მწვრთნელი **ბალტემარ ბრიტო**, მეკარეთა მწვრთნელი **სილვინო ლაურო**, ფიზმომზადების მწვრთნელი **რუი ფარია** და სკაუტი **ანდრე ვილიას ბოასი** ახალ კონტრაქტებს ელოდებიან. უცნაური ისაა, რომ გასულ ოთხშაბათს კლარკი საგანგებო მედლით დააჯილდოვეს. მისტერ სტივს "ჩელსიში" მოღვაწეობის 20 წელი შეუსრულდა. ის გუნდში 23 წლისა, შოტლანდიური "სენტ მირენიდან" ფეხბურთელის რანგში მივიდა და მას მერე ერთგულად ემსახურება ლონდონურ კლუბს. დაჯილდოების შემდეგ კლარკმა თქვა: *"მე მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთან და საუკეთესო სამწვრთნელო შტაბთან ვმუშაობ. ვამაყობ, რომ "ჩელსის" ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატებების მონაწილე ვარ."*

უმუშევარი მწვრთნელი

# კლინსმანი სამსახურს ეძებს

## იურგენი ესპანურს ეუფლება და გული სამხრეთ ამერიკისკენ მიუწევს...

დეკემბერში **იურგენ კლინსმანმა** აშშ-ის ნაკრების გაწვრთნა იუარა. როგორც თვითონ ამბობს, ამერიკელებთან ძალიან ნაყოფიერ მოლაპარაკებებს აწარმოებდა და თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მათ გუნდს ჩაიბარებდა, მაგრამ გარკვეული დეტალების გამო, რომლის დასახელებაც გერმანელს არ უნდა, საბოლოოდ უარი თქვა. თუმცა გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იქვე ამატებს, ამერიკელებისთვის სამუდამო უარი არ მითქვამს და მზად ვარ, სურვილის შემთხვევაში, მოლაპარაკებები მომავალში განვაახლოო. ერთი სიტყვით, კლინსი უსაქმურობით დაიღალა და სასწრაფოდ მუშაობის დაწყება უნდა.

*"რაც მალე დავიწყებ მუშაობას, მით უკეთესი. ახალ სამსახურზე სერიოზულად ვფიქრობ. მზად ვარ, წინადადებები მივიღო და განვიხილო. გამორიცხული არაფერია - არც ის, რომ რომელიმე კლუბი ან ნაკრები ორი თვის შემდეგ ჩავიბარო და არც ის, რომ მწვრთნელად მუშაობა ორი წლის შემდეგ განვაახლო,"* - აცხადებს 42 წლის სპეციალისტი, რომელმაც გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გაიყვანა და მიუხედავად გერმანელი ხალხის დიდი ხვეწნა-მუდარისა, ბუნდესგუნდი მუნდიალის დასრულებისთანავე დატოვა.

როგორც ირკვევა, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონს ყველაზე მეტად სამხრეთ ამერიკა აინტერესებს. კლინსი ამას თვითონვე ადასტურებს და იქვე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აგერ უკვე ორი თვეა, რაც ესპანურს სწავლობს. *"ბეჯითად ვმეცადინეობ, ესპანურად უკვე კარგად ვლაპარაკობ და ცოდნას დღითიდღე ვიუმჯობესებ. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ სადაც დავინიშნები, იქაური ენა აუცილებლად უნდა ვიცოდე. ფეხბურთელებთან პირდაპირი კომუნიკაცია უნდა მქონდეს, თარჯიმნის დახმარებით მე ვერ ვიმუშავებ. ფეხბურთელების მენტალიტეტი კარგად უნდა მქონდეს გათავისებული და ენის ცოდნა ამაშიც დამეხმარება,"* - ფიქრობს იურგენი.

აშშ-ს საფეხბურთო ასოციაციასთან ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ კლინსმანის გვარს მექსიკის ნაკრებთან მიმართებაში ახსენებდნენ, თუმცა ეს ჭორი აღმოჩნდა. თვითონ კლინსი ამბობს, რომ სიამოვნებით იმუშავებდა არგენტინაში, ინგლისში ან იტალიაში. ამ ორ ქვეყანაში ხომ თვითონ თამაშობდა და ენის პრობლემა არა აქვს. მაგრამ ყველაზე რეალური ის არის, რომ იურგენი სამხრეთ ამერიკაში ვიხილოთ. *"კარგად დავისვენე. ასე რომ, მინდა, მუშაობა, რაც შეიძლება სწრაფად დავიწყო,"* - ამბობს კლინსი. ვნახოთ, წესით, უახლოეს მომავალში იურგენს მთხოვნელები უნდა გამოუჩნდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# რონალდო კაშივითაა



სამედიცინო შემოწმების წინ

მილანში ჩასულმა **რონალდომ** გუშინ "აპიანო ჯენტილეში" სამედიცინო შემოწმება გაიარა. **ფაბიო კაპელოს** მიერ ათვალწუნებული "ფენომენი" სრულიად ჯანმრთელია - ასეთია კლუბის ექიმის **ჟან-პიერ მეერსემანის** დასკვნა, რაშიც ეჭვი არც არავის ეპარებოდა, მაგრამ წესი წესია. შემდეგ, რონალდომ მარანელოს მიაშურა, სადაც მისი ახალი სახლი, "მილანის" სანვრთნელი ცენტრია გაშენებული. იქ მას **კარლო ანჩელოტი** ელოდა. მომავალ მწვრთნელთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ, "რონიმ" ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა:

*"ცენტრში პირველი მალდინი შემხვდა. ის ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ნამდვილი ჩემპიონია. გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ მათ შორის, ვის წინააღმდეგაც მითამაშია, მარადონას შემდეგ პაოლო უდიდესი ფიგურაა... სამედიცინო ტესტი? ყველაფერი კარგადაა. "რეალი"? ისე, ჯერ "რეალის" ფეხბურთელი ვარ (იცინის)... მადრიდი ჩემთვის ჯოჯოხეთად იქცა, კაპელოსთან მუშაობა კი ნამდვილი კოშმარი იყო. იმედი მაქვს, რომ "მილანში" ყველაფერი რადიკალურად განსხვავებული იქნება. აქაურობა სამოთხეს ჰგავს. ამიტომაც მჯერა, რომ პოტენციალის სრულად გამოვლენას შევძლებ. მორატის სიტყვები? და მან თქვა, რომ ჩემმა ტრანსფერმა ძალიან გაანაწყენა? უცნაურია... მაგრამ აქ ამაზე მსჯელობის ადგილი არის. მოვა დრო, როცა ჩვენ დავსხდებით ამ საკითხზე ვიკამათებთ".*

ორშაბათს **ადრიანო გალიანი** მადრიდში იქნება. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა საბოლოოდ უნდა შეათანხმოს ტრანსფერის (6 მილიონი ევრო) დეტალები, რის შემდეგაც რონალდო ახალ "როსონეროდ" უკვე ოფიციალურად გამოცხადდება.

**დღეს**

ტორინო-უდინეზე
პალერმო-ლაციო

**ხვალ**

ატალანტა-კატანია
კალიარი-რეჯინა
კიევო-ემპოლი
მესინა-ასკოლი
მილანი-პარმა
რომა-სიენა
ფიორენტინა-ლივორნო
სამპდორია-ინტერი

იტალია. სერია A. XXI ტურის წინ

# შეაჩერებს სამპი ინტერს?

## რომაელებს კაპიტანი დააკლდებათ: ტოტი ისვენებს...

სერია A-ს 21-ე ტური დღეს „ტორინო"-„უდინეზეს" შეხვედრით დაიწყება. „ტორინოს" ბოლო ხანს საქმე ცუდად მისდის. **ძაკერონის** გუნდმა უკანასკნელ ოთხ ტურში მხოლოდ ერთი ქულა აიღო (სტუმრად „ლივორნოსთან" 1:1), „უდინეზეზე" კი მწვრთნელის შეცვლამ კარგად იმოქმედა: გუნდს ზედიზედ ორი შეხვედრა ჰქონდა წაგებული, მაგრამ **მალეზანის** ხელში მაშინვე მოიგო (1:0 „მესინასთან"). მოგვიანებით „პალერმო" „ლაციოს" უმასპინძლებს. სიცილიელებს ზედიზედ ექვსი საშინაო თამაში აქვთ მოგებული, აქედან ბოლო სამი ისე, რომ ერთი გოლიც არ გაუშვიათ (4:0 „ასკოლისთან", 3:0 „ლივორნოსთან", 2:0 „უდინეზესთან"), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრად 29 ოქტომბრის შემდეგ ველარ იგებენ. მოკლედ, „პალერმო" წელს ნამდვილ „სახლის გუნდად" იქცა. „ლაციომ" ბოლო ორი შეხვედრა რომში ჩაატარა და ორივე ფრედ დაასრულა („სიენა" 1:1, „მილანი" 0:0). საკადრო პრობლემებს რაც შეეხება, **გუიდოლინის** გუნდის ყველაზე დიდი დანაკლისი დაშავებული ბრაზილიელი ფორვარდის **ამაურის** არყოფნაა. „ლაციოს" ყველა მოთამაშე მწყობრში ჰყავს, თუმცა გუნდის კაპიტნის **მასიმო ოდოს** „მილანში" გადასვლით რომაელებს ამიერიდან დიდი ძალა დააკლდებათ. ამ გუნდების შარშანდელი დაპირისპირება პალერმოში მასპინძლების გამარჯვებით 3:1 დასრულდა და პირველი წრის შეხვედრაშიც გამარჯვებული სიცილიური გუნდი გამოვიდა (2:1).

ტურის მთავარი მოვლენები კვირას განვითარდება. ზედიზედ ორი გასვლითი ფრის შემდეგ, „რომას" ქულების დაკარგვის უფლება უბრალოდ აღარ აქვს. დისკვალიფიკაციის გამო მასპინძლებს **ფრანჩესკო ტოტი** არ ეყოლებათ. კაპიტნის ადგილს სავარაუდოდ იანვარში „ვალენსიიდან" წამოყვანილი ფორვარდი **ფრანჩესკო ტავანო** დაიკავებს. ხუთშაბათს იტალიის თასის პირველ ნახევარფინალში „რომამ" „მილანთან" სტუმრად 2:2 ითამაშა. ზედიზედ ათი მოუგებელი შეხვედრის შემდეგ „სიენამ" წინა ტურში შინ „კიევოს" 2:1 სძლია, თუმცა ტოსკანური გუნდი სტუმრად ძალიან სუსტად თამაშობს და ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლო ხუთ გასვლით მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო. შარშანდელი დაპირისპირება რომში სეინელთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა, თუმცა რომაელებმა რევანში პირველ წრეში აიღეს და სიენაში 3:1 მოიგეს. ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ „მილანი" გასულ კვირას შეფერხდა, როცა „ლაციოს" მოედანზე 0:0 ითამაშა. „როსონერის" ამ კვირაში **მასიმო ოდო** შეუერთდა, თუმცა უცნობი რჩება, ითამაშებს თუ არა ხვალ ექსლაციოელი. **ჯილარდინოს** ტრავმის გამო, შეტევაში სავარაუდოდ **ინძაგი** გამოვა, თუმცა თუ **ანჩელოტიმ ბროკიზე** უარი თქვა და 4-4-2 ტაქტიკას დაუბრუნდა, მაშინ **ოლივეირას** გამოჩენაც მოსალოდნელია. ხანგრძლივი წარუმატებელი პერიოდის შემდეგ „პარმამ" წინა ტურში შინ „ტორინოს" 1:0 მოუგო. გამარჯვების გოლი „მანჩესტერ იუნაიტედისგან" იჯარით იანვარში ნათხოვარმა 19 წლის ფორვარდმა **ჯუზეპე როსიმ** გაიტანა. ამ კვირაში „პარმის" ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: კლუბს როგორც იქნა გამოუჩნდა ახალი მეპატრონე, რომელიც შემადგენლობის გაძლიერებაზე იანვრიდანვე იზრუნებს. შარშან „მილანმა" „პარმას" „სან სიროზე" 4:3 მოუგო, პირველ წრეში კი 2:0. ტურს ღამით „სამპდორია"-„ინტერი" დაასრულებს. ეს გუნდები ერთმანეთს ოთხშაბათსაც შეხვდნენ იტალიის თასის პირველ ნახევარფინალში (გენუაში) და რა გასაკვირია, რომ ისიც „ინტერის" გამარჯვებით, 3:0 დასრულდა. **მანჩინის** გუნდისთვის ეს იყო მე-20 გამარჯვება სეზონის ბოლო 21 შეხვედრაში. სერია A-ში დაუმარცხებელ „ნერაძურის" ზედიზედ 13 შეხვედრა აქვს მოგებული, თუმცა „სამპდორია" იყო ერთ-ერთი გუნდი იმ სამიდან, ვისი დამარცხებაც მილანელებმა წლევანდელ ჩემპიონატში ვერ შეძლეს. ის შეხვედრა „სან სიროზე" 1:1 დასრულდა. ამასობაში „ინტერს" **კორდობა, სამუელი, გროსო** და **კრუსი** გამოუჯანმრთელდნენ, თუმცა ძირითადში მათგან მხოლოდ გროსოს გამოჩენაა მოსალოდნელი. „სამპდორიამ" ორი უკანასკნელი გასვლითი შეხვედრა წააგო, შინ კი ბოლოს „ფიორენტინას" 0:0-ზე დაუზავდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 20 | 17 | 3 | 0 | 44-17 | 54 |
| 2. რომა | 20 | 13 | 4 | 3 | 42-17 | 43 |
| 3. პალერმო | 20 | 12 | 3 | 5 | 37-23 | 39 |
| 4. კატანია | 20 | 8 | 5 | 7 | 28-35 | 29 |
| 5. ემპოლი | 20 | 7 | 7 | 6 | 19-19 | 28 |
| 6. ლაციო | 20 | 8 | 6 | 6 | 30-18 | 27 |
| 7. ატალანტა | 20 | 7 | 6 | 7 | 35-31 | 27 |
| 8. უდინეზე | 20 | 7 | 5 | 8 | 20-23 | 26 |
| 9. მილანი | 20 | 8 | 8 | 4 | 25-17 | 24 |
| 10. სამპდორია | 20 | 6 | 6 | 8 | 28-28 | 24 |
| 11. სიენა | 20 | 5 | 10 | 5 | 18-21 | 24 |
| 12. ლივორნო | 20 | 5 | 8 | 7 | 20-30 | 23 |
| 13. კალიარი | 20 | 4 | 10 | 6 | 16-21 | 22 |
| 14. ტორინო | 20 | 5 | 7 | 8 | 15-24 | 22 |
| 15. ფიორენტინა | 20 | 10 | 4 | 6 | 31-20 | 19 |
| 16. კიევო | 20 | 4 | 5 | 11 | 21-30 | 17 |
| 17. მესინა | 20 | 3 | 7 | 10 | 20-34 | 16 |
| 18. პარმა | 20 | 3 | 6 | 11 | 17-35 | 15 |
| 19. რეჯინა | 20 | 6 | 6 | 8 | 24-28 | 13 |
| 20. ასკოლი | 20 | 1 | 6 | 13 | 14-32 | 9 |

ბარსელონა

# რონალდინიო: ბარსას გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია

## ამ ერთგულების მიუხედავად, ტაბლოიდები ბრაზილიელის ამერიკაში წასვლაზე ალაპარაკდნენ

**ბოლო ათ შეხვედრაში ხუთი გამარჯვება და უსახური თამაში - ასეთია კატალონიელთა მონაგარი. მას შემდეგ, რაც "ბარსელონამ" იაპონიაში საკლუბო მუნდიალზე იასპარეზა, გუნდის საქმეები დაღმავალი გზით წარიმართა. მართალია, ფრანკ რიიკაარდის ბიჭები პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერები არიან, მაგრამ მათი მისამართით კრიტიკა მაინც არ მცირდება.**

გასულ ოთხშაბათს სევილიაში "ბეტისთან" გამართულმა მატჩმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ესპანურმა მედიამ "ბარსა" დაუნდობლად გალანძღა. ყველაზე დიდი დარტყმა კი **რონალდინიოს** მიადგა. ბრაზილიელმა სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უსახური შეხვედრა ჩაატარა. ობიექტურობა მას არასოდეს ღალატობდა. გაუჩომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან გულწრფელად ისაუბრა. აი, რა განაცხადა მან: *"ვფიქრობ, ნორმალურია, როცა ცუდად თამაშობ და გაკრიტიკებენ. კლუბიც არასახარბიელოდ გამოიყურება. ჩვენი გულშემატკივრები უკმაყოფილოები არიან. "ბარსას" ინჩადა ექსტრაორდინალურ ფეხბურთს ითხოვს. როცა ამ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს, პროტესტს ხმამაღლა გამოთქვამს. რაც არ უნდა გამიჭირდეს და რთული ბარიერების წინაშე აღმოვჩნდე, ფარ-ხმალს მაინც არასოდეს დავყრი. სამწუხაროდ, საუკეთესო კონდიციებს ჯერ ვერ მივაღწიე, მაგრამ ვერც იმას დამწამებენ, რომ სრულიად მოუმზადებელი ვარ. მომავალ ტურში გაცილებით უკეთ ვითამაშებ და ხალხს გავახარებ. ამით მეც ბედნიერი ვიქნები. ჩემი თავი "კამპ ნოუს" მიღმა ვერ წარმომიდგენია. ეს ოცნების გუნდია, ოცნების ქალაქი და საოცნებო გულშემატკივრები. ყველას ვთხოვ, ცოტა დრო მომცენ. პრობლემებს გადავლახავ და უწინდებურად ავთამაშდები."*

**ფრანკ რიიკაარდი** სწორედ ასე ფიქრობს. ბატონმა ფრანკმა კატალონიური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რონალდინიოსთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი სიმშვიდე და დროა: *"რონალდინიოს ნიჭი და უნარები არსად გამქრალა. დღესავით ნათელია, რომ გაუჩოს მცირე დრო სჭირდება. მან ცოტა უნდა ამოისუნთქოს და ძალები აღიდგინოს. ზოგჯერ ენერგია მთლიანად ეცლება, მაგრამ საკუთარ თავში ვაჟკაცობას პოულობს და ბოლომდე იბრძვის. ის გენიალური ადამიანი და ფეხბურთელია."*

რონალდინიოს უფერულმა ასპარეზობამ ჭორების დიდი ტალღა ააგორა. კატალონიურ ტაბლოიდებში ბრაზილიელი ვარსკვლავის ამერიკის შეერთებული შტატების საფეხბურთო ლიგაში შესაძლო წასვლის შესახებ დაიწერა. ბულვარული პრესა გვარწმუნებს, რომ სამხრეთამერიკელი **დევიდ ბექჰემის** გზას გაუყვება. ერთ-ერთ გაზეთში რონალდინიოს ძმის მცირე განცხადება გამოქვეყნდა. ბევრს მიაჩნია, რომ **რობერტო დე ასისის** სიტყვები გამოგონილია, თუმცა თავს ვალდებულად ვთვლით, ეს ინფორმაცია მაინც მოგაწოდოთ. მაშ ასე, გაუჩოს მენეჯერმა ასეთი რამ განაცხადა: *"ჩემს ძმას "ბარსელონასთან" არავითარი პრობლემა არ აქვს. პირიქით, ის ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა წინადადებებს არ განვიხილავთ. ერთ-ერთი ამერიკული კლუბი სერიოზულ დაინტერესებას გამოხატავს. საქმე ფანტასტიკურ შეთავაზებას ეხება. ასე რომ, მომავალში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს."*

უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ვარსკვლავმა უახლოეს წლებში "ბარსელონა" დატოვოს და შეერთებულ შტატებში გაემგზავროს. რონალდინიო ხომ ყოველთვის ხმამაღლა ამბობს, ფეხბურთის თამაში განუზომელ სიამოვნებას მანიჭებსო. მას დაძაბული მატჩები, პრესტიჟული ტურნირები და სახელოვანი გამარჯვებები იტაცებს. MLS კი საამისო საშუალებას ვერასოდეს მისცემს. ბულვარული პრესა ამ არგუმენტს არ იზიარებს და მაინც თავისას მიერეკება. გუშინ "ბარსელონის" ფინანსურმა დირექტორმა **ფერან სორიანომ** განაცხადა, რონალდინიოსთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ჯერ არ ვფიქრობთო. "ბარსასთან" ის 2010 წლამდეა დაკავშირებული და საჩქაროც არაფერიაო. აშკარად გარკვევითაა ნათქვამი, მაგრამ ტაბლოიდები თემას განავრცობენ და საზოგადოებას საკუთარ ინტერპრეტაციას სთავაზობენ. ამ ეტაპზე კონტრაქტის გახანგრძლივებისგან თავის შეკავება მათ რონალდინიოს მიერ "ბარსას" დატოვების სურვილად მონათლეს. არადა, გაუჩო მედიასთან ყოველი შეხვედრისას ამბობს, რომ "კამპ ნოუზე" უზომოდ ბედნიერად გრძნობს თავს.

სხვისი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ რონალდინიოს სხვაგან წასვლა ყურით მოთრეული თემაა. ამ კაცს, უბრალოდ, ამოსუნთქვა სჭირდება. მცირე დროში კი უწინდებურად ჯადოსნურად ათამაშდება და ახალ სასწაულებს შემოგვთავაზებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



რონალდინიო ბეტისთან უფერულად ჩატარებული მატჩის გამო გააკრიტიკეს

### კუდიჩინი, იჯარით ფულჰემში?

**კარლო კუდიჩინი**, შეიძლება, "ფულჰემში" აღმოჩნდეს. **პეტრ ჩეხის** გამოჯანმრთელების შემდეგ 33 წლის იტალიელს მუდმივად სკამზე ჯდომა ელის. ფულჰემელებს კი გამოცდილი მეკარე სჭირდებათ. მათი ძირითადი გოლკიპერი **ანტი ნიემი** დაშავებულია. სარეზერვო კარის დარაჯი **იან ლაშტუვკა** კი არასაიმედოდ ასპარეზობს. "ფულჰემის" თავკაცი **კრის კოულმენი** იმედოვნებს, რომ **ჟოზე მოურინიოსთან** მეგობრობა, რომელსაც "ჩელსიში" სტაჟირებისას ჩაეყარა საფუძველი, ტრანსფერს გაადვილებს. სწორედ ამ ურთიერთობის დამსახურება იყო მარჯვენა მცველ **უეინ ბრიჯის** იჯარით ნაყვანა.

### იუვენტუსი: ორი შესაძლო ტრანსფერი

**რობერტო აიალამ** "ვალენსიიდან" წასვლა გადაწყვიტა. ამის თაობაზე გუშინდელ ნომერში გაუწყეთ. სეზონის ბოლოს 33 წლის არგენტინელს კონტრაქტი დაუმთავრდება და თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. ამის შემდეგ მისი აგენტები ვეტერანისათვის ახალი კლუბის მოძიებას შეუდგებიან. ცნობილია, რომ აიალას გადაბირება "ვილიარეალს" სურს. გუშინდელი ინფორმაციით, მოთამაშის აყვანა "იუვენტუსმაც" მოინდომა.

"იუვენტუსში", შეიძლება, კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი ვიხილოთ. თავდამსხმელმა **ფაბრიციო მიკოლიმ** განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ ტურინში წავა, თუ "ბენფიკის" ხელმძღვანელობა მას ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებს. მიკოლი "იუვეს" საკუთრებაა და კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული. ის ლისაბონელთა შემადგენლობაში იჯარით თამაშობს.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ეშმაკებმა ფული დათვალეს

"მანჩესტერ იუნაიტედმა" 2005-06 წლების ფინანსური შედეგები გამოაქვეყნა. ეს პირველი ფინანსური დოკუმენტია, რომელიც კლუბში **გლეიზერების** მისვლის შემდეგ შედგა. საოპერაციო მოგებამ 12 თვის განმავლობაში, 2006 წლის 30 ივნისამდე, 49.7 მილიონი გირვანქა (98 მილიონი დოლარი) შეადგინა. ერთი წლით ადრე ეს რიცხვი 46.1 მილიონი იყო. მოგება შეიძლებოდა, მეტიც ყოფილიყო, ჩემპიონთა ლიგიდან "იუნაიტედის" სენსაციური გავარდნა რომ არა. მანჩესტერელთა აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ გილი** შედეგებით კმაყოფილია და მომდევნო წლებში შემოსავლების კიდევ უფრო ზრდას წინასწარმეტყველებს.

ამერიკელმა მაგნატმა **მალკოლმ გლეიზერმა** "იუნაიტედი" 2005 წელს, 790 მილიონ გირვანქად შეიძინა. მან თანხის დიდი ნაწილი საბანკო სესხებით დაფარა. 2006 წლის ივნისიდან კლუბმა შემოსავლის რამდენიმე ახალი წყარო გამონახა - გააფორმა ძალიან სარფიანი კონტრაქტი ამერიკულ სადაზღვევო კომპანია AIG-თან, რისი წყალობითაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 56.5 მილიონ გირვანქას მიიღებს; 68 ათასიდან 76 ათასამდე გაზარდა "ოლდ ტრეფორდის" ტევადობა (64 ათასმა მაყურებელმა სეზონური აბონემენტი შეიძინა). ამას გარდა, პრემიერლიგამ ხელი მოაწერა უფრო სარფიან სატელევიზიო კონტრაქტს, რომელიც წამყვანი ინგლისური კლუბების სატელევიზიო შემოსავლებს მომდევნო სამი წლის განმავლობაში 65 პროცენტით გაზრდის.

გადასახადების გადახდამდე კლუბის მოგება 30.8 მილიონი გირვანქით განისაზღვრა. წინა წლის მაჩვენებელი 10.8 მილონი იყო. თანხის ზრდას ხელი შეუწყო 12 მილიონად ნიგერიელი **ჯონ ობი მიკელის** "ჩელსიში" გაყიდვამ. "იუნაიტედის" ფინანსური ბრუნვა 157-დან 165.4 მილიონამდე გაიზარდა. 2005-06 ფინანსურ წელს "მანჩესტერმა" აგენტებს 1.8 მილიონი გირვანქა გადაუხადა. წინა წელს ეს მაჩვენებელი 2.6 მილიონი იყო.

მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ გლეიზერებმა საბანკო ვალების რესტრუქტურიზაცია მოახდინეს. მართალია, ამან სესხების მოცულობა 580-დან 660 მილიონ გირვანქამდე გაზარდა, მაგრამ "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა არწმუნებს გულშემატკივრებს, რომ კლუბი საიმედო ხელშია და მის კეთილდღეობას არაფერი ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხოაკინ სანჩესი ყოფილ თანაგუნდელებს შეხვდება

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XX ტურის წინ

# ხოაკინი სევდიანი გოლისთვის ემზადება

**დღეს**

ატლეტიკო-რასინგი
ვილიარეალი-რეალი

**ხვალ**

სარაგოსა-დეპორტივო
მალიორკა-რეკრეატივო
ლევანტე-სევილია
სოსიედადი-ბილბაო
ხეტაფე-ოსასუნა
ხიმნასტიკი-ესპანიოლი
ბარსელონა-სელტა
ბეტისი-ვალენსია

**ხოაკინი** მშობლიურ ქალაქში ბრუნდება. მოგეხსენებათ, კარიერის საუკეთესო წლები მან "ბეტისში" გაატარა, მიმდინარე სეზონის დაწყების წინ კი ანდალუსია დატოვა და ვალენსიაში გადაბარგდა. მართალია, ნიჭიერ ნახევარმცველს ბოლო დროს პრობლემები შეექმნა და ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კვირას "მანუელ რუის დე ლოპერაზე" თამაშისა და გოლის გატანის საშუალება არ მიეცემა. ხოაკინი წინასწარ იზღვევს თავს და აცხადებს: *"თუ კიკე სანჩეს ფლორესი შემადგენლობაში დამაყენებს, თავს არ დავზოგავ. ჩემს ყოფილ კლუბს მთელი ძალით შევუტევ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გოლი გავიტანო. თუმცა ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე სევდიანი გოლი იქნება. "ბეტისიდან" წავედი, მაგრამ ამ გუნდისადმი სიყვარული არ გამნელებია."*

**ლუის ფერნანდესი** "ღამურებთან" პაექრობას ოპტიმისტურად ხვდება. ფრანგი სპეციალისტი აღიარებს, რომ მის კლუბს ჯერაც მრავალი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი, თუმცა მადრიდის "რეალსა" და "ბარსელონასთან" ნაჩვენები დამაჯერებელი თამაშის შემდეგ შეგირდებს ის გამარჯვებისთვის განაწყობს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა "ანოეტაზე" გაიმართება. "სოსიედადი" და "ბილბაო" მეტისმეტად დაჩანაკებულები რომ არ იყვნენ, ბასკური დერბი გაცილებით დიდ აჟიოტაჟსა და ინტრიგას გამოიწვევდა. ესპანელი მიმომხილველები უბრალოდ აღნიშნავენ, რომ სან სებასტიანში ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართება, მაგრამ თემას აღარ განავრცობენ და მოკლე ინფორმაციებით იფარგლებიან. კერძოდ, ითქვა, რომ მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი **მიგელ ანხელ ლოტინა** ძირითად შემადგენლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს. თავის მხრივ, **ხოსე მანუელ ესნალიც** სერიოზულად ემზადება. ბილბაოელთა დამრიგებელმა გულშემატკივრებს მოახსენა, რომ "ანოეტაზე" სასიამოვნო სიურპრიზის მომსწრენი გახდებიან.

"რეალმა" პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ორი მატჩი მოიგო. ფაბიო კაპელოს შეგირდები ახლა მესამე გამარჯვებას უმიზნებენ. "ვილიარეალი" **რიკელმესა** და **პელეგრინის** კონფლიქტის გამო, კიდევ უფრო დაუძლურდა. ამის გათვალისწინებით, სპეციალისტები ფავორიტად სამეფო კლუბს მიიჩნევენ. თუ "ყვითლები" ყველა საჭირო დოკუმენტის გაფორმებას მოასწრებენ, "ელ მადრიგალზე" **იონ დალ ტომასონი** იასპარეზებს. შეგახსენებთ, ესპანურმა კლუბმა დანიელი ფორვარდი "შტუტგარტიდან" იჯარის წესით გადაიბირა. **ფაბიო კაპელოს სერხიო რამოსი** ვერ დაეხმარება. "მალიორკასთან" მატჩში მან ტარვმა მიიღო და ორკვირიან იძულებით შვებულებაში გავიდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 11 | 5 | 2 | 39-16 | 38 |
| 2. სევილია | 19 | 12 | 2 | 5 | 37-19 | 38 |
| 3. რეალი | 19 | 12 | 2 | 5 | 28-16 | 38 |
| 4. ვალენსია | 19 | 11 | 3 | 5 | 28-15 | 36 |
| 5. ატლეტიკო | 19 | 10 | 5 | 4 | 25-13 | 35 |
| 6. სარაგოსა | 19 | 9 | 4 | 6 | 30-20 | 31 |
| 7. რეკრეატივო | 19 | 9 | 3 | 7 | 28-25 | 30 |
| 8. ხეტაფე | 19 | 8 | 5 | 6 | 16-13 | 29 |
| 9. ოსასუნა | 19 | 8 | 2 | 9 | 27-24 | 26 |
| 10. ესპანიოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 18-18 | 26 |
| 11. ვილიარეალი | 19 | 7 | 5 | 7 | 18-24 | 26 |
| 12. რასინგი | 19 | 6 | 7 | 6 | 18-23 | 25 |
| 13. დეპორტივო | 19 | 5 | 7 | 7 | 14-24 | 22 |
| 14. სელტა | 19 | 5 | 6 | 8 | 21-26 | 21 |
| 15. მალიორკა | 19 | 5 | 5 | 9 | 16-27 | 20 |
| 16. ბილბაო | 19 | 4 | 7 | 8 | 21-28 | 19 |
| 17. ლევანტე | 19 | 4 | 7 | 8 | 16-26 | 19 |
| 18. ბეტისი | 18 | 4 | 5 | 9 | 18-25 | 17 |
| 19. სოსიედადი | 19 | 2 | 7 | 10 | 12-25 | 13 |
| 20. ხიმნასტიკი | 19 | 2 | 3 | 14 | 16-39 | 9 |

პრიმერა დივიზიონი
არიგო საკის თვალით

# რატომ ველარ იგებს რეალი ტიტულებს...

## ბარსელონამ ბრწყინვალება დაკარგა, რიიკაარდმა უმოტივაციო ვარსკვლავები უნდა შეცვალოს



არიგო საკი მადრიდულ პრობლემებს აანალიზებს

პრიმერა დივიზიონმა პირველი წრე დაასრულა. „ბარსელონა" პირველია, მაგრამ სულ ორი ქულით უსწრებს მადრიდის „რეალსა" და „სევილიას". რა ტიპის ჩემპიონატი აქვთ წელს ესპანეთში? იქ განსხვავებული რეალობაა და მისი ღრმად გაანალიზება შეიძლება, მთლიანად საფეხბურთო სამყაროს უკეთ გაგებაში დაგვეხმაროს. „რეალით" დავიწყებ: ამ გუნდში 2005 წლის სეზონში ვიმუშავე და მას შემდეგ დიდი ემოციით ვადევნებ თვალს მის ყველა წარმატებასა თუ წარუმატებლობას. „რეალი" მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და ყველაზე სახელგანთქმული კლუბია. ბოლო წლებში მის ღირსებას ყველაზე დიდი ვარსკვლავები და ტალანტები იცავდნენ. მაგრამ სამ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც გუნდი ტიტულების გარეშე რჩება. ვერც წლევანდელი სეზონი დაიწყო ისე, როგორც მისგან ელიან - არასტაბილური გამოსვლა, გაუთავებელი პოლემიკა და დისკუსია. ახლა შედეგები გამოასწორა, ცხრილში მეორეა, მაგრამ ისევ არადამაჯერებლად აგრძელებს თამაშს.

ყოველთვის გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ფეხბურთში მთავარი ფეხბურთელების კლასი და კლუბის ეკონომიკური სიძლიერეა. მაშინ, რატომ ვერ იმარჯვებს „რეალი"? ექვსი მწვრთნელი გამოიცვალა, მარტო ბოლო ორ სეზონში ახალი ფეხბურთელების შეძენაზე 200 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა. წარადგინა ისეთი ხალხი, როგორებიც არიან გრავესენი, ბატიშტა, სერხიო რამოსი, ოუენი, რობინიო, კანავარო, ემერსონი, დიარა, რეიესი, კასანო, ვან ნისტელროი, ბექჰემი, რონალდო, სამუელი და ა.შ. ამათ უნდა დავამატოთ ისინი, ვინც „რეალში" უკვე იყო: კასილიასი, რაული, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ზიდანი.

ინვესტიციები და ხელფასები. ვარსკვლავები და ფული საკმარისი რომ იყოს, მაშინ „რეალი" მუდამ ჩემპიონი იქნებოდა. და არ შეიძლება, რომ ყველაფერში დამნაშავე ყოველთვის მწვრთნელი იყოს. ეს უსამართლოა და რეალობას არ შეესაბამება. თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ „რეალი" საკლუბო ორგანიზაციის ეტალონია. შესანიშნავად აწარმოებს ეკონომიკურ პოლიტიკას (მარკეტინგი, ინვესტიციები ექსტრასაფეხბურთო სფეროებში), ძალიან მოქნილია კომუნიკაციისა და რეკლამის საკითხებში. მეპატრონეები და მეცენატები არ ჰყავს, ხარჯავს იმას, რასაც თვითონ ქმნის. სახელფასო ფონდი საკმაოდ მაღალ ციფრს შეადგენს, მაგრამ გასულ წლამდე ეს ციფრი იგივე იყო, რაც 2002 წლის „პარმაში".

ეს ყველაფერი თითქმის იდეალურად არის აწყობილი. მაგრამ არის წმინდა საფეხბურთო და სპორტული მხარე, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ჰარმონიაში არ მოდიოდა განხორციელებულ ინვესტიციებთან. მიმდინარე სეზონში კლუბს ახალი პრეზიდენტი, ახალი დირექტორატი და ახალი მწვრთნელები ჰყავს, თუმცა ძნელად თუ იტყვი, რომ სიტუაცია გაუმჯობესებისკენ მიდის.

ანჩელოტი და მადრიდი. სად არის მაშინ გამოსავალი? საჭიროა მოთმინება, დროა საჭირო: სიტუაცია ძალიან მძიმე იყო. ერთხელ მწვრთნელმა, ლუქსემბურგომ მკითხა: *„მართალია, რომ თქვენ ანჩელოტის „რეალში" ჩამოყვანა გინდათ?"* ვუპასუხე: *„იცით, ანჩელოტი ჩემი მეგობარია, მეგობარს კი აქ ნამდვილად არ ჩამოვიყვან..."*. ვფიქრობ, რომ დიდი შედეგების მისაღწევად დიდი პროექტი და გეგმებია საჭირო. და საჭიროა ასევე მათი განხორციელების ცოდნა. მიმაჩნია, რომ წარმატების მისაღწევად ურთიერთპატივისცემა კლუბის შიგნით და ჰარმონიული გარემო გადამწყვეტი ფაქტორებია.

მთელი ცხოვრება ამას ვიმეორებ: იმისთვის, რომ ფეხბურთელებისგან (და არა მხოლოდ ფეხბურთელებისგან) მონდომება და თავდადება მოითხოვო, აუცილებელია, რომ ხელმძღვანელობა თავისი პროფესიონალიზმითა და სიმშვიდით მათშიც სიმშვიდისა და თავდაჯერებულობის განცდას ბადებდეს. კლუბის ხელმძღვანელობა, ერთი მხრივ, უნდა იყოს ყველა საკითხში კომპეტენტური და მეორე მხრივ, არ უნდა ართმევდეს მწვრთნელს ავტორიტეტსა და ფანტაზიას. მეჩვენება, რომ ჩემი ეს ძველი მოსაზრება ახლა დასტურდება.

უხალისო ბარსა. „ბარსელონა" ორი სეზონის განმავლობაში დომინირებდა, მაგრამ ახლა ცოტა უცნაური, განსაკუთრებული პერიოდი უდგას. კვირას გამარჯვება გაიხსენა და აუტსაიდერს მოუგო, მაგრამ ჩვეული სანახაობის გარეშე. მანამდე სევილიაში „ბეტისთან" ფრე ითამაშა, მას შემდეგ, რაც პირველი ტაიმი ამაზრზენად ჩაატარა. ახლა 39 ქულით პირველ ადგილზეა, მაგრამ გასულ წელთან შედარებით ნაკლებად ბრწყინვალე გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაკლებად მონდომებული და ნაკლებად თავდადებულია, დაკარგა ბრწყინვალება და მოეშვა პრესინგს. სისწრაფე და უბურთოდ მოძრაობის უნარი აღარ აქვს ისეთი, როგორც წინა წლებში. თითქოს გაქრა ხალისი და სურვილი, რომ ყველა გააოცო, რონალდინიოს ხუთი თამაშია გოლი ველარ გააქვს. ერთი სიტყვით, აღარ ჩანს თანაგუნდელებთან ერთად და თანაგუნდელებზე თამაშის სიხარული, და რაც მთავარია, დაიკარგა გუნდურობის შეგრძნება. ყველა ეს ელემენტი იყო, რაც რონალდინიოს, დეკუს, ჩავისა და ინიესტას საკუთარი ნიჭის მაქსიმალურად წარმოჩენის საშუალებას აძლევდა. გაუფერულებული მეჩვენება ჩემი მეგობარი რიიკაარდის „ბარსა", ფეხბურთელებში ველარ ვხედავ სირბილის, ბრძოლისა და ფიქრის სურვილს. ამბობენ: გამარჯვებული შემადგენლობა არ იცვლება. ეს სტერეოტიპია და უნდა დაიმსხვრეს. თუ ზოგიერთმა ფეხბურთელმა მოტივაცია და თავმდაბლობა დაკარგა, ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ მათ ახალი მოთამაშეებით შეცვლი.

უნდა აღინიშნოს, რომ „ბარსელონას" ბევრი პრობლემა ჰქონდა, ტრავმების გამო ბევრი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გამოაკლდა, მაგრამ ანალოგიური მოვლენა წარსულშიც მოხდა და მაშინ ეს გუნდსა და შედეგებს დიდად არ დატყობია. ნუ დაგვავიწყდება, რომ საკონტინენტთაშორისო თასსა და ევროპის სუპერთასზე უკვე წააგო, და პრიმერა დივიზიონშიც არაერთხელ გაუჭირდა. პირველი წრე ერთპიროვნულ ლიდერად დაასრულა, მაგრამ აღარ არის ის ბუმბერაზი, დაუმარცხებელი „ბარსელონა".

სევილია. „ბარსა"-„რეალის" დუელში მოულოდნელად ჩაერთო „სევილია" - ერთსულოვნებით, კომპენტენტურობითა და დიდი შრომით შექმნილი გუნდი. მთლიანობაში ძალიან კარგად გამოდის. ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს და შედეგსაც აღწევს. ჯერ უეფას თასი მოიგო, მერე ევროპის სუპერთასი. 38 ქულა აქვს და „რეალთან" მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. მოულოდნელია, რადგან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის მაღალი კალიბრის. ჰყავს ახალგაზრდა, საინტერესო ფეხბურთელები – კანუტე, რენატო, ნავასი, ალვესი. გასულ წელს ორი საუკეთესო მოთამაშე მადრიდის „რეალს" მიყიდა: ბაპტიშტასა და სერხიო რამოსში დაახლოებით 50 მილიონი ევრო აიღო.

ძალიან მოკრძალებული ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, „სევილია" ბრწყინვალე ჩემპიონატს ატარებს, რაც უდავოდ კლუბის სერიოზულობის, კომპეტენტურობისა და მაღალი პროფესიონალიზმის დამსახურებაა. შეიძლება, ერთ დღესაც მისი ფეხბურთელები მსოფლიოში ცნობილები გახდნენ, დღეს კი ასეთები არ არიან, სხვებზე ნაკლებ ხელფასებს იღებენ, კლუბი მდიდარი არ არის, ვფიქრობ, რომ მისი ბიუჯეტი „რეალის" ბიუჯეტის 30 პროცენტსაც ვერ აღწევს. ალბათ, ფული და მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები საკმარისი არ არის გამარჯვებისთვის. ალბათ, არსებობს ასევე ფასეულობები, როგორებიცაა კომპენტენცია, სწავლა, შრომა და მოთმინება. ამის გარეშე, ფული და დიდი შენაძენები ბევრს არაფერს ნიშნავს.

**გოგა ახალაძე**

ატლეტიკო

# მადრიდელთა ბრაზილიური პერსპექტივა

## ენრიკე სერესომ 18 წლის ამომავალი ვარსკვლავი სულ რაღაც ორ მილიონად შეიძინა

რამდენიმე დღის წინათ "ატლეტიკომ" "ტრაბზონსფორიდან" ბრაზილიელი **ელერი** გადაიბირა. მიმომხილველები იმთავითვე ამბობდნენ, რომ მადრიდელები ამით არ დაკმაყოფილდებოდნენ და შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვას არ შეწყვეტდნენ. ასეც მოხდა...

გუშინ, "როხიბლანკოს" პრესსამსახურმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ პორტუგალიური "ბრაგადან" **დიეგუ და სილვა კოშტა** გადაიბირა. აღსანიშნავია, რომ მის შესაძენად "ბენფიკა", "პორტუ" და "სპორტინგი" იბრძოდნენ. თუმცა პორტუგალიური გრანდები სიწუნკის გამო, მწარედ დაისაჯნენ. ისინი მხოლოდ 1.5 მილიონ ევროს იმეტებდნენ. "ატლეტიკომ" კი ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე ორი მილიონი გადაიხადა და ბრაზილიელი ნახევარმცველი ხუთი წლით ჩაიგდო ხელში. დიეგუს სპეციალისტები საუკეთესოდ ახასიათებენ და უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ის 1988 წელს დაიბადა. პროფესიული კარიერა სან პაულუს "ბარსელონაში" დაიწყო. ეს ამბავი 2005 წელს მოხდა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი ის "ბრაგამ" შეიძინა. ახალგაზრდა ფეხბურთელი პორტუგალიელებმა პრაქტიკის შეძენის მიზნით მეორე დივიზიონის ერთ-ერთ უსახურ კლუბს ათხოვეს. დიეგუ იქ ფანტასტიკურად ათამშდა და "ბრაგას" მესვეურთა ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო. ის უმალ უკან დაიბრუნეს. და სილვა კოშტა პრიმერა დივიზიონშიც დამაჯერებლად გამოიყურებოდა. "ატლეტიკოს" სკაუტებმა ის სწორედ ამ დროს აღმოაჩინეს.

**ხავიერ აგირე** უაღრესად კმაყოფილია, თუმცა მისი რეკომენდაციით დიეგუს სეზონის ბოლომდე "ბრაგაში" დატოვებენ. პორტუგალიში მას გაცილებით მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება. ივნისში კი "ატლეტიკოში" ჩავა და ახალ თავგადასავლებში ჩაებმება.

ამასობაში, "ვისენტე კალდერონზე" ფაბიანო ელერის პრეზენტაცია მოაწყვეს. სამედიცინო შემოწმება მან წარმატებით გაიარა და გულშემატკივრებსაც წარუდგა. ბრაზილიელმა ახალწვეულმა ინჩასებს პირობა მისცა, რომ "ატლეტიკოს" კეთილდღეობისთვის თავს არ დაზოგავს.

ინტერვიუ რუუდ ვან ნისტელროისთან

# ფერგიუსონი რონალდოს ძალით ვერ დააკავებს

## კრისტიანო ახალგაზრდულ ჟინს შეგვმატებსო...

**"რეალში" მიმდინარე მოვლენების გამო ამ გუნდისადმი ინტერესი ერთი-ორად გაიზარდა. საზოგადოებას ყველაზე უმნიშვნელო დეტალებიც კი აინტერესებს. ესპანელი ჟურნალისტები გაცხოველებულ ცნობისმოყვარეობას ინტენსიური მუშაობით და საინტერესო მასალების მოპოვებით აკმაყოფილებენ. სამეფო კლუბში შექმნილ ატმოსფეროზე სასაუბროდ "დიარიო ასმა" ამჯერად რუუდ ვან ნისტელროი დაითანხმა. ჰოლანდიელ ფორვარდს მრავალ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. ის დევიდ ბექჰემისა და რონალდოს წასვლის საკითხს შეეხო. გარდა ამისა, "რეალის" ბოლოდროინდელი შეხვედრებიც გაიხსენა.**

**- დღე ისე არ გაივლის, თქვენი გუნდის შესახებ სენსაციური სიახლე არ შევიტყოთ. საინტერესოა, ამ პირობებში როგორ გრძნობთ თავს. საზოგადოების ინტერესი და ჟურნალისტების გააქტიურება პრობლემას ხომ არ გიქმნით?**

- სიმართლე გითხრათ, მირჩევნია სრულ სიმშვიდეში ვიმუშაო, მაგრამ, ამავდროულად, ვაცნობიერებ, რომ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელისთვის სრული სიმშვიდე მიუღწეველი ფუფუნებაა. უემოციო გარემო მხოლოდ მაჩანჩალა გუნდებშია. სამეფო კლუბი ხალხს ბუზებივით იზიდავს. "მანჩესტერშიც" ანალოგიური სიტუაცია იყო, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არც მიკვირს, მცირე ჩავარდნის გამო გულშემატკივრების წყრომა დავიმსახურე. მასმედიაც გაგვინაწყენდა და ჩვენს გარშემო უამრავი ადამიანი აღმოჩნდა.

**- კიდევ ერთი კურიოზი ის არის, რომ ბოლო მატჩებში უკიდურესად ცოტა გოლი გაგაქვთ.**

- გეთანხმებით, პროდუქტიულობა გვაკლია, თუმცა ახლა მთავარი შედეგია. "რეკრეატივოსა" და "დეპორტივოსთან" განცდილი მარცხის შემდეგ ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს. გულწრფელად გეტყვით, პრაგმატულობამ ესთეტიზმი გადაწონა. გულშემატკივრებს ვთხოვ, ნუ გვიწყენენ, ზოგჯერ რთული სიტუაციიდან გამოძრომა იმაზე უფრო ძნელია, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. რამდენიმე მატჩის მოგებით საკუთარი შესაძლებლობების რწმენა გაგვიმყარდა. სამომავლო წარმატებებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- რონალდოს "მილანში" წასვლის შესახებ რას გვეტყვით?**

- დარწმუნებული ხართ, რომ "მილანში" გადავა? ბოლო ვარჯიში მან ჩვენთან ერთად ჩაატარა და არც დაგვმშვიდობებია. რონალდო გენიალური ფეხბურთელი და დიდებული ადამიანია. ის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. თუ მართლაც დაგვტოვებს, გული ძალიან დამწყდება.

**- ბექჰემის კონტრაქტის შესახებ რას ფიქრობთ?**

- სამწუხაროდ, დევიდი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ის მიჩვეული არ არის. ახალ გარემოსთან შეგუება ძალიან უჭირდა. რეალობისთვის თვალის გასწორება ჩვენთვისაც ძნელია. პირადად მე, ბექჰემის "რეალიდან" აზარგება არ მინდა. თუმცა მეორე მხრივ, როგორც მეგობარი, ვალდებული ვარ, ყოველივე საუკეთესო ვუსურვო. დევიდმა "გალაქსიში" წასვლა გადაწყვიტა. ისღა დამრჩენია, მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს პატივისცემით მოვეკიდო.

**- როგორ ფიქრობთ, "რეალს" კიდევ ერთი ფორვარდი სჭირდება?**

- მე ფეხბურთელი ვარ და არა პრეზიდენტი. ამ საკითხზე მწვრთნელებმა და ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნონ.

**- ბოლო დღეების წამყვან თემად კრისტიანო რონალდოს შესაძლო ტრანსფერი იქცა.**

- ფანტასტიკური ფეხბურთელია. წელს "მანჩესტერში" გენიალური სეზონი აქვს. კრისტიანო ჯერაც ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ ისე თამაშობს, როგორც უდიდესი გამოცდილების მქონე ვეტერანი. ამასთან, მას ახალგაზრდული ჟინი და ენერგია გამოარჩევს. მიუხედავად იმისა, რომ რონალდო გარემარბია, გოლები ხშირად გააქვს, ცენტრფორვარდსაც კი შემშურდებოდა.

**- სად დაუგროვდა მას ეს გამოცდილება?**

- ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მუნდიალსა და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა მოასწრო. გარდა ამისა, "მანჩესტერის" ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად თამაშობს.

**- "რეალში" მისი გადასვლა, ალბათ, ძალიან გაგიხარდათ.**

- რა თქმა უნდა. ასეთი მაღალი დონის მოთამაშეთა შეძენა ყოველთვის მისასალმებელია. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ "მანჩესტერი" ყველაფერს გააკეთებს, რათა რონალდო არ დაგვითმოს. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს, ალბათ, მისი პოზიცია შეასრულებს. თუ კრისტიანო "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშს მოისურვებს და პრინციპულობას გამოიჩენს, ფერგიუსონი ძალით ვერ დააკავებს.

**- გასაოცარია, კრისტიანო რონალდოზე ისე საუბრობთ, თითქოს თქვენი ძმა იყოს, არადა, ცნობილია, რომ "მანჩესტერში" თამაშისას მასთან სერიოზული პრობლემები გქონდათ.**

- სულელური ჭორია, ყველაფერი ბრიტანულმა ტაბლოიდებმა მოიგონეს. ყვითელ პრესას ჭორაობის მეტი არაფერი სურს, თემა გამოელიათ და სრულიად უსაფუძვლოდ განაცხადეს, რონალდომ და ვან ნისტელროიმ იჩხუბესო.

**- "სანტიაგო ბერნაბეუზე" დამაჯერებლად რატომ ვერ თამაშობთ, რა გიშლით ხელს?**

- "სარაგოსასთან" მატჩმა ახალი გარემოებები გამოავლინა. ყველამ ნახეთ, რომ არაგონელებს ვაჯობეთ. დიდებული მატჩი ჩავატარეთ. გულშემატკივრები სტადიონიდან ჩინებული განწყობით წავიდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ მეორე წრეში "სანტიაგო ბერნაბეუზე" ბევრად უკეთ ვიასპარეზებთ.

**- "რეალისა" და "ბარსელონის" პრობლემების გამო ხშირად აღნიშნავენ, რომ პრიმერა დივიზიონი, წინა წლებისგან განსხვავებით, საგრძნობლად გაუფერულდა. იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

- არა. პრიმერა დივიზიონი უძლიერესი ლიგაა. ჩემპიონობის შანსს ერთბაშად ხუთი გუნდი ფლობს. სხვა ქვეყანაში მსგავს ვერაფერს იხილავთ. ჩემპიონის ტიტულის მოპოვება უდიდეს სირთულეებთანაა დაკავშირებული.

**- ამას წინათ ჰოლანდიის ნაკრებში დაბრუნება შემოგთავაზეს, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადეთ. მიზეზებს ხომ არ გაგვიმხელთ?**

- "სიუდად რეალში" მარკო ვან ბასტენი გვესტუმრა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ კაპელოს სთხოვა, მცირე ხნით ბუფეტში გავიყვან და დაველაპარაკებიო. იტალიელს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. დაახლოებით ვხვდებოდი, რა მიზეზითაც მოვიდა. მითხრა, ეროვნულ გუნდში დაბრუნებას გთავაზობო. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და რებუსების გარეშე ვკითხე, ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას თუ მაძლევ-მეთქი. ვან ბასტენმა ვერანაირი გარანტია ვერ მომცა. ამიტომ ფიქრისთვის დრო არც მთხოვია და პირდაპირ უარი ვუთხარი. მარკომ ჩემი პოზიცია კარგად იცის. ასე რომ, თუ რაიმეს შეცვლის, აქ ვარ და ახალ წინადადებას ყოველთვის გულდასმით მოვისმენ.

**- ახალ წინადადებაში რას გულისხმობთ?**

- განსაკუთრებულს არაფერს. უბრალოდ, ვან ბასტენმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა თამაშზე დამითანხმოს. ეს მისი ინიციატივა იყო. მოკლედ, ძირითადში თუ არ მათამაშებენ, ნაკრებში დაბრუნებას აზრი არ ექნება.

**- პრიმერა დივიზიონში 10 გოლი გაიტანეთ. რა თქმა უნდა, ეს ურიგო მონაგარი არ არის, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგეთა კარი მხოლოდ ხუთ შეხვედრაში დალაშქრეთ.**

- იძულებული ვარ, თქვენი კრიტიკული სულისკვეთება უხმოდ მივიღო. 10 გოლი ცოტა მართლაც არ არის, მაგრამ სამწუხაროდ, დაახლოებით 14 მატჩში ბურთის შეგდება ვერ შევძელი. იმედია, მეორე წრეში უფრო მეტად გამიმართლებს.

**- "ბარსელონის" კრიზისი ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსს გიუმჯობესებთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ კატალონიურ გრანდს კრიზისის პერიოდი დაუდგა. ისინი გარკვეულ პრობლემებს წააწყდნენ, თუმცა უდავოა, რომ "ბარსა" პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად რჩება. ჩვენ შორის მხოლოდ ერთქულიანი სხვაობაა. წინ კი 19 ტური გველის. გულშემატკივრები უშელავათო, დაუნდობელ და საინტერესო დაპირისპირებებს იხილავენ.

**- "სევილია" მარათონს ბოლომდე გაუძლებს?**

- საფრთხეს არა მარტო "სევილიისგან" არამედ "ვალენსიისა" და "ატლეტიკოსგანაც" ველი. პრიმერა დივიზიონი წელს გაცილებით უფრო დაძაბული და საინტერესოა. როგორც უკვე მოგახსენეთ, საჩემპიონო ამბიციები ერთბაშად ხუთ გუნდს გააჩნია.

**- ესპანეთის სამეფო თასიდან გამოვარდნა მტკივნეულად აღიქვით?**

- "ბეტისს" ჩვენზე კარგად რომ ეთამაშა და დავეჩაგრეთ, გული ოდნავადაც არ დამწყდებოდა. უბრალოდ, გავბრაზდებოდი და საკუთარ თავში ჩავიკეტებოდი. მაგრამ ახლა სულ სხვა გრძნობები მეუფლება. ანდალუსიელებთან ჩინებულად ვიასპარეზეთ. გუნდმა მრავალი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო. იღბალთან ერთად მსაჯიც ჩვენ წინააღმდეგ განეწყო. მან 100-პროცენტიანი 11-მეტრიანი არ დანიშნა. არადა, ეს მაშინ მოხდა, როცა შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთი იყო დარჩენილი. ორი გოლი თამაშგარეს ბრალდებით არ ჩაგვითვალეს. მოკლედ, ფატალური დღე გვქონდა.

**- დრო მალე გადის. ცოტაც და ჩემპიონთა ლიგა განახლდება. "ბაიერნთან" დუელზე რას გვეტყვით?**

- ზოგადად, ტრაბახი არ მიყვარს, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ მიუნხენელები სერიოზულ პრობლემებს ვერ შეგვიქმნიან. "ბაიერნი" ძლიერი კლუბია, მაგრამ ჩვენ სულ სხვა დონისანი ვართ.

**- გულწრფელად მიპასუხეთ, წლევანდელ "რეალს" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების უნარი თუ გააჩნია?**

- უცნაური კითხვაა. თუ წინასწარ გსურთ უტყუარი პასუხის მიღება, იმედები უნდა გაგიცრუოთ. იანვარში გამარჯვებულის ვინაობას ვერავინ დაგისახელებთ. უამრავი პრობლემის მიუხედავად, "რეალი" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უპირველეს გრანდად რჩება. გრანდებს კი დიდ ტურნირზე გამარჯვება ყოველთვის შეუძლიათ. მთავარია, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვამჟღავნოთ და ფორტუნამაც გაგვიღიმოს.

**- ბექჰემი და რონალდო კაპელოს ჭირვეულობას შეეწირნენ?**

- მე ერთი რამ ვიცი, კაპელოს, ბექჰემსა და რონალდოს საერთო ინტერესები ამოძრავებდათ. ისინი "რეალის" კეთილდღეობისთვის იღვწოდნენ. სამწუხაროდ, ურთიერთობებში გარკვეული პრობლემები წარმოიქმნა. მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. სხვების ცხოვრებაში ხელის ფათური არ მახასიათებს.

ილია ნიკოლაიშვილი



რუუდ ვან ნისტელროი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმცროსი ფერგი პიტერბოროს მწვრთნელად

**დარენ ფერგიუსონი** მამის კვალს გაჰყვა. სერ ალექსის უმცროსმა ვაჟმა მეოთხე დივიზიონის აუტსაიდერი "პიტერბოროს" განვრთნა ითავა. 34 წლის ფერგიუსონი მოთამაშე-მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს. პიტერბოროელთა მფლობელ **დარაგ მაკენტონისთან** შეთანხმება მიღწეულია. აპირებს თუ არა მამამისის შედეგების გამეორებას? დარენი ამ კითხვას ღიმილით პასუხობს: *"ასეთი რამ შეუძლებელია. ვაპირებ ვიყო ის, ვინც ვარ და გუნდსაც ისე გავუძღვე, როგორც მე წარმომიდგენია. იმედია, რაღაც წარმატებას მივაღწევ."*

იმ დროს, როცა მამამისი ინგლისის ჩემპიონობისათვის იბრძვის, ფერგი-უმცროსის ამოცანა წაგებათა შვიდმატჩიანი სერიის დასრულება იქნება. მისი დებიუტი "ლინკოლნთან" დღევანდელ მატჩში შედგება.

## უეფამ 32 მილიონი იშოვა

2005-06 წლების სეზონში უეფას მოგებამ 32 მილიონი ევრო შეადგინა. მოგების უმეტესი წილი ჩემპიონთა ლიგის შემოსავალზე მოდის. ორგანიზაციის ფინანსურმა ბრუნვამ 700 მილიონ ევროს გადააჭარბა. სოლიდარობის ფონდი, საიდანაც ზოგიერთი პატარა ეროვნული ფედერაცია და კლუბი ფინანსურ დახმარებას იღებს, 123 მილიონ ევრომდე გაიზარდა. სატელევიზიო უფლებების გაყიდვით მიღებული შემოსავალი 481 მილიონ ევრომდე ავიდა. სპონსორებმა უეფას ბიუჯეტში 117 მილიონი ევრო შეიტანეს. 2006 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ბილეთების რეალიზაციიდან 1.622 მილიონი ევრო შემოვიდა.

არსენალი

# გაიცვლება ბაპტიშტა რეიესში?

## ბეილი და დუშერი, ვენგერის ორი სამიზნე

**ჟულიო ბაპტიშტას** "არსენალში" დარჩენა სურს. ბრაზილიელი თავდამსხმელი "რეალის" საკუთრებაა და ლონდონში ერთწლიანი იჯარით თამაშობს. "არსენალიდან" მადრიდშია განათხოვრებული **ხოსე ანტონიო რეიესი**. რეიესს ლონდონში დაბრუნება არ უნდა. ამიტომ ფეხბურთელების გაცვლა ყველაზე ლოგიკური გამოსავალი იქნებოდა.

ოთხშაბათს ბაპტიშტამ ლიგის თასის პირველ ნახევარფინალში დუბლი შეასრულა. იქამდე, თასის მეოთხედფინალში, მან "ლივერპულს" ოთხი გოლი შეუგდო. თუ 25 წლის ფორვარდი პრემიერლიგაშიც დაიწყებს გატანას, ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება.

"არსენალს" ბელორუსი ნახევარმცველი **ალექსანდრ გლები** დაუშავდა. მან მუხლის მყესი დაიზიანა და ოთხ კვირას დაისვენებს. გლებმა ტრავმა "ტოტენჰემთან" ზემოთხსენებულ შეხვედრაში მიიღო. იმავე მატჩში თავდამსხმელი **ჟერემი ალიადიერი** და მარჯვენა მცველი **ემანუელ ებუეც** დაშავდნენ. ამათ დავუმატოთ **რობინ ვან პერსი**, რომელიც გასულ უქმეებზე, "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში დაიმტვრა, და აღმოვაჩენთ, რომ "არსენალი" ძირითადი შემადგენლობის ოთხი წევრის გარეშეა დარჩენილი. ვან პერსის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, ის ექვსი კვირა ვერ ითამაშებს. ზოგიერთი სააგენტოს თანახმად, მას სეზონის ნაადრევად დასრულება არ ასცდება.

"არსენალზე" საუბარს მოსალოდნელი ტრანსფერებით გავაგრძელებთ. "მეთოფეები" მზად არიან, "საუთჰემპტონს" 10 მილიონი გირვანქა გადაუხადონ მარცხენა მცველ **გარეთ ბეილის** სანაცვლოდ. 17 წლის ყმაწვილს "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ტოტენჰემიც" ეპატიჟებიან, მაგრამ "მანჩესტერს" 10 მილიონის გადახდა არ სურს. ჩამოთვლილი სამი კლუბიდან ბეილს მხოლოდ ერთი, "ტოტენჰემი" აძლევს ძირითადში მოხვედრის გარანტიას. "საუთჰემპტონი" კი ყმაწვილის შენარჩუნებას ცდილობს. "წმინდანებს" პირველ დივიზიონში მეხუთე ადგილი უკავიათ და პრემიერლიგაში დასაბრუნებლად იბრძვიან.

და კიდევ, "არსენალი" "დეპორტივოს" ნახევარმცველ **ალდო დუშერითაც** დაინტერესდა. ბეილისა არ იყოს, ამ ბიჭის შეძენაც "იუნაიტედს" სურს. 7 თებერვალს, როცა საფრანგეთი არგენტინასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, პარიზში ინგლისური გრანდების სკაუტებიც ჩავლენ. ხუთი წლის წინ დუშერმა იმით გაითქვა სახელი, რომ ჩემპიონთა ლიგაში "მანჩესტერი"-დეპორტივოს" მატჩისას **დევიდ ბექჰემს** ფეხი მოსტეხა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს თასი

# ოთხკაცა კალათბურთი და ანეკდოტი ზიდანზე

26 იანვარი, ვერის პარკი

**A ჯგუფი**

**თსუ-დინამო 81:76**

19:24, 15:28, 20:11, 27:13

თსუ: არნივიძე (4 ქ), ბ. ბერიშვილი (3 ქ. 9 პ. 8 მ. 4 ჩ), ფანჩულიძე (3 ქ), ლეჟავა (32 ქ. 4 პ), ვეფხვაძე (4 პ), შანიძე (2 ქ), მათიაშვილი (8 ქ. 10 მ), სანიკიძე (1 ქ), იმნაძე (7 ქ. 6 მ), მ. ბერიშვილი (21 ქ)

დინამო: გულისაბედაშვილი (11 ქ. 7 მ), ბადრიძე (8 ქ. 7 პ), ლაფანაშვილი (4 ქ. 6 მ), სიგუა (2 ქ. 4 პ), ბოლქვაძე (4 ქ), მურჯიკნელი (8 ქ. 4 პ), კეშელავა (28 ქ. 6 მ. 8 მ), ფაიქრიძე (7 ქ), კოლუაშვილი (4)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. არეშიძე

**B ჯგუფი**

**ავიამშენი-მაკაბი 104:93**

18:25, 28:27, 24:16, 34:25

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (18 ქ. 7 პ), ბაბიაშვილი (33 ქ. 7 მ), ხოშტარია (16 ქ. 11 მ. 6 პ), ნიკოლაძე (14 ქ. 5 პ), ნინიაშვილი (15 ქ), კეიდია, როდუმტა (1 ქ), სუხიშვილი (1 ქ. 6 მ), ბარბაქაძე (6 ქ)

მაკაბი: დოლიძე (10 ქ. 8 მ. 9 პ), გ. შერმადინი (46 ქ. 16 მ), ვაშაკიძე (7 ქ. 8 მ), კორკოტაძე (1 ქ), ს. შერმადინი (7 ქ. 5 მ), პირველაშვილი (10 ქ. 8 პ), ბარსეგიანი (3 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა, გ. მიქელაძე

**დღეს**

14:00. ავიამშენი-სტუ

16:00. თსუ-აზოტი

**ხვალ**

14:00. აზოტი-დინამო

16:00. სტუ-მაკაბი

**ფინალი ორშაბათს, 16:00**



გიორგი შერმადინმა ავიამშენთან 46 ქულა დააგროვა

საქართველოს თასის მე-5 გათამაშების პირველი დღე საინტერესო მოვლენებით დაიტვირთა: მაკაბელმა **გიორგი შერმადინმა** 46 ქულა ჩააგდო და სათასო გათამაშების რეკორდი დააფიქსირა. გიორგი 50 ქულამდეც ავიდოდა, მოედანი ნაადრევად, 5 პერსონალური შენიშვნის გამო რომ არ დაეტოვებინა. სწორედ მისი გასვლის შემდეგ იშვიათი ამბის მომსწრენი გავხდით - "მაკაბიმ" მატჩი 4 კალათბურთელით განაგრძო და დარჩენილ ორწუთნახევარში **ვაშაკიძე, ბარსეგიანი, პირველაშვილი** და **დოლიძე** მაქსიმალურად ფრთხილობდნენ, რათა სამნი არ დარჩენილიყვნენ.

...ასეთია ქართული სინამდვილე, ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა ხომ დღითიდღე კლებულობს, იმ ექვს კლუბშიც მაქსიმალურად შემჭიდროებულია შემადგენლობა. ფული არ აქვთ და რა ქნან? სხვათა შორის, გუშინ "მაკაბის" სასტარტ-სათადარიგოიანად სულ 7 კალათბურთელი მოუგროვდა, რომელთაგან სამმა - **ზურაბ კორკოტაძემ, სოსო და გიორგი შერმადინებმა** 5-5 ფოლის გამო მატჩი სათადარიგოთა სკამზე დაასრულეს.

ამაზე უარესი იცით რა არის? - ჩემპიონატის ფავორიტი ამ შვიდკაციან გუდსაც რომ ვერ უგებდა. ტრიბუნებზე მყოფმა ერთმა ჟურნალისტმა სიტუაციის შესაფერისი ანეკდოტი გაიხსენა: ზინედინ ზიდანმა საფრანგეთის ნაკრების დანარჩენ 10 წევრს რესტორანში წასვლა ურჩია - ლიხტენშტაინს მარტოც მოვუგებო. ფეხბურთელები ასეც მიქცნენ, კარგადაც შეზარხოშდნენ და მე-80 წუთისთვის (ზიდანი 1:0-ს უგებდა) მატჩის ყურებას თავი მიანებეს. რესტორანში ზიზუ თავჩაღუნული დაბრუნდა - თამაში 1:1 დასრულდა. ფრანგებმა გაიკვირვეს - ანგარიში როგორ გაგითანაბრესო? კაპიტანმა თავი იმართლა: 81-ე წუთზე მსაჯმა მოედნიდან გამაგდოო...

სათანადოდ ვერგანწყობის, თუ სხვა მიზეზის გამო "ავიამშენის" კალათბურთელებმა უპირატესობა პირველივე წუთებიდან ხელიდან გაუშვეს და მესამე პერიოდამდე მდევრის როლით დაკმაყოფილდნენ.

მაკაბელი გიორგი შერმადინი კი ქულას ქულაზე აგდებდა და ანგარიშში სხვაობაც იზრდებოდა. საწყისი 10 წუთის შემდეგ შერმადინის მონაგარი 18 ქულას შეადგენდა, 20 წუთის შემდეგ - 29 ქულასა და 10 მოხსნას...

"მაკაბიმ" კი მეორე მეოთხედში 14-ქულიან უპირატესობას მიაღწია, მაგრამ თითქმის შეუცვლელად მოთამაშე **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდებს მესამე ათწუთეულში დაღლა დაეტყოთ და "ავიატორებმა" 12:0 სპურტის შემდეგ სხვაობა ერთამდე შეამცირეს (**ნიკოლაძის** საჯარიმოების წყალობით). ამის მერე, შერმადინის მოედნიდან გასვლამდე თანაბარი თამაში გაჩაღდა.

როგორც უკვე გითხარით, მატჩის სნაიპერმა მეხუთე ფოლი სირენამდე ორწუთნახევრით ადრე მიიღო. იმ ეპიზოდში "მაკაბი" 90:89-ს იგებდა, მაგრამ ქანცგაწყვეტილ ოთხეულს "ავიამშენის" ხუთეულმა თავბრუ დაახვია - 104:93.

*"მეტოქის დამარცხება შევძელით, მაგრამ გამძლეობა არ გვეყო".* - ასეთი კომენტარი გააკეთა **გიორგი შერმადინმა**. "ავიამშენის" გამთამაშებელი **დავით ბერიშვილი** კი მშვიდად საუბრობდა: *"მოედანზე თავდაჯერებულები გამოვედით, გვეგონა იოლად მოვიგებდით, მაგრამ შერმადინის ბრწყინვალე თამაშის წყალობით "მაკაბიმ" სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწია. თუმცაღა, ბოლოს მაინც დავამტკიცეთ, რომ მეტოქეზე ძლიერები ვართ."*

"დინამო"-თსუ-ს დაპირისპირების სცენარიც "მაკაბი"-"ავიამშენის" მსგავსი იყო. თუმცა, შეიძლება დავამატოთ, რომ "დინამო" უფრო ახლოს იყო სენსაციასთან, ვიდრე "მაკაბი".

პირველ ტაიმში ექსბასკოელმა დინამოელმა **ლაშა კეშელავამ** სნაიპერული თვისებები გაიხსენა და საწყის 20 წუთში თანაგუნდელებს 18-ქულიანი ფორმა მოაპოვებინა (52:34).

ძნელი სათქმელია რა ხერხით, მაგრამ ფაქტია, რომ დიდ შესვენებაზე **ნუგზარ ქეიშვილმა** შეგირდები საბოლოოდ გამოაფხიზლა და თსუ-ც პრესინგზე გადავიდა. დინამოელებს რიგ ეპიზოდებში ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანაც უჭირდათ, თუმცა გამარჯვების შანსს ბოლო წუთამდე ინარჩუნებდნენ და საკვანძო ეპიზოდებში სტუდენტ **ბესიკ ლეჟავას მიხეილ ბერიშვილთან** ერთად თავი რომ არ გამოედო, ეგებ წელს პირველი სენსაციაც დაფიქსირებულიყო. ბესომ საბოლოოდ 32 წუთში ამდენივე ქულა ჩააგდო, ხოლო მიშამ თსუ-ში პირადი რეკორდი დაამყარა - 21 ქულა.

*"ვინც ეს მატჩი ვერ იხილა, ბევრი დაკარგა. ორივე გუნდმა განსხვავებული ტაიმი ითამაშა და დაძაბულობა ბოლო წამებამდე გაჰყვა. ჩემს მონაგარზე რას ვიტყვი? ოქმში ჩავიხედავ და... კარგად მისვრია".* - გახარებული იყო **ბესიკ ლეჟავა.**

"დინამოს" მწვრთნელმა **ზაზა ცაგარეიშვილმა** წაგება გამოუცდელობას დააბრალა: *"პირველი ტაიმი იდეალურად ვითამაშეთ, მაგრამ მეორეში გამოუცდელობის გამო ბავშვური შეცდომები დავუშვით. მეტოქის პერსონალური პრესინგის წინააღმდეგ სწორი ტაქტიკა გვქონდა შერჩეული, მაგრამ მისი განხორციელება ვერ შევძელით. გუნდი ახალგაზრდულია და ყველას ჰგონია, რომ ინდივიდუალურად შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. სინამდვილეში ასე არ არის. მოედანზე ხუთი კაცი იმიტომაა, რომ შედეგის მიღწევა მხოლოდ ხუთივეს სინქრონიზაციით შეიძლება. ასეა თუ ისე, მაინც კმაყოფილი ვარ. აშკარაა, რომ "დინამო" პროგრესის გზაზეა."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ევროლიგა

# მანუმ კარი გაიჯახუნა, ელისმა მარტომ მოიგო



ტაირონ ელისი სტამბოლში

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურში **მანუჩარ მარკოიშვილის** "ოლიმპიამ" ისრაელის "მაკაბის" უმასპინძლა. სლოვენიელთა მწვრთნელის, **გასპერ ოკორნის** სიტყვებს თუ ვიხმართ, "მაკაბის" ძლევა ევროლიგასთან ხმაურიანად გამოსამშვიდობებლად იდეალური საშუალება იყო. ჩვენებურად რომ ვთქვათ, "ოლიმპიამ" კარი გამოიჯახუნა - 77:75.

ევროლიგის ოფიციალური ვებგვერდი გამარჯვებაში ორ ოლიმპიელს "ადანაშაულებს" - **მანუ მარკოიშვილსა და ტეემუ რანიკოს**: *"ებრაელი სტუმრები უპირატესობას იოლად დაეუფლნენ და პირველი ტაიმი 42:32 მოიგეს. მესამე მეოთხედში სლოვენიელებმა თამაში გამოასწორეს, თუმცა, გადამწყვეტი მეოთხე ათწუთეული გამოდგა, რომლის დასაწყისში რანიკომ და მარკოიშვილმა "მაკაბის" კალათა შორეული ტყორცნებით დაბომბეს და 14:0 სპურტის წყალობით 70:60 დაწინაურდნენ. სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა."*

17 ქულით მატჩის სნაიპერი **დომენ ლორბუკი** იყო, მას ერთით ჩამორჩა რანიკო, ხოლო მანუმ 36 წუთში 7-დან 3 ორიანი, 4-დან 2 სამქულიანი გამოიყენა და ანგარიშზე 13 ქულა ჩაიწერა, რასაც თითო ჩაჭრა-მოხსნა და 3 პასი წაუმატა.

B ჯგუფი. XIII ტური. 1. პანათინაიკოსი-11 მოგება, 2. მაკაბი-7, 3. ხუვენტუდი-7, 4. პარტიზანი-6, 5. ციბონა-6/ 6. უნიკახა-6 / 7. რომა-5, 8. ოლიმპია-4. ბოლო ტური: 1 თებერვალი, მაკაბი-პანათინაიკოსი, რომა-ციბონა, ხუვენტუდი-ოლიმპია, პატიზანი-უნიკახა.

თუ მარკოიშვილმა ევროლიგის ფავორიტი თანაგუნდელების დახმარებით დაამარცხა, **ტაირონ ელისმა** სტამბოლში "ფენერბაჰჩეს" ფაქტობრივად მარტომ მოუგო - 93:88.

ამჯერადაც ევროლიგის მიმოხილვაში ჩავიხედოთ: *"ნეაპოლელებმა თურქეთში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და ბოლო ტურის წინ საქმე გაიიოლეს - მომდევნო ეტაპზე გასასვლელად შინ "ბენეტონს" უნდა სძლიონ.*

"ფენერი"-"ნაპოლის" თურქულ-იტალიურ დაპირისპირებას ამერიკელ-ქართველი გმირი ჰყავდა - ტაირონ ელისი, რომელმაც ჯერ 15-ქულიანი ჩამორჩენა ამოქაჩა (20:35), შემდეგ სირენამდე 42 წამით ადრე ორი ზუსტი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა (73:73) და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით დროში ისევ ელისის სამქულიანმა ჩაუყარა საფუძველი "ნაპოლის" 14:0 სპურტს..."

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა შესაშური სიზუსტით ისროლა: 37 წუთში 7-დან 6 სამქულიანი გამოიყენა და 29 ქულით მატჩის სნაიპერი გახდა. მან ეს არ იკმარა და მონაგარი 6 მოხსნით, 5 პასითა და 2 ჩაჭრით გაამდიდრა.

ქართველ მკითხველს ტაირონის მატჩისშემდგომი კომენტარიც დააინტერესებს: *"გუნდური თამაში ვუჩვენეთ. "ფენერის" ფანები მსოფლიოში საუკეთესონი არიან. მათ იმ დროიდან ვიცნობ, როცა "ბეშიქთაშში" ვთამაშობდი. "ფენერბაჰჩე" მართლა კარგი გუნდია, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ჩვენ უკეთესები ვართ. სხვა გზა არ გვქონდა, სტამბოლში უნდა მოგვეგო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროლიგის მეორე ეტაპზე გასვლის შანსი მინიმუმამდე შემცირდებოდა. შეტევაშიცა და დაცვაშიც კარგად გავისარჯეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ."*

C ჯგუფი. XIII ტური. 1. ცსკა-12 მოგება, 2. ბარსელონა-8, 3. ბენეტონი-7, 4. პო ორტეზი-6, 5. არისი-6 / 6. ნაპოლი-6 / 7. ფენერბაჰჩე-5, 8. ჟალგირისი-2. ბოლო ტური: 31 იანვარი, ნაპოლი-ბენეტონი, პო ორტეზი-ჟალგირისი, არისი-ბარსელონა, ცსკა-ფენერბაჰჩე

შეგახსენებთ, მეორე ეტაპზე თითო ჯგუფიდან 5-5 გუნდი გადის და ერთიც - ჯგუფებს შორის საუკეთესო მეექვსეადგილოსანი.

**ვაჟა სიმონიშვილი**



მანუჩარ მარკოიშვილი მაკაბისთან

## რაგბი



პაატა ნარიმანაშვილი

3 თებერვალი. რუმინეთი-საქართველო

# ორს ვამბობთ, ერთს ვიმახსოვრებთ

### ერთა თასი, ანთიმოზის თასი, მსოფლიო თასი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 3 თებერვალს, ერთა თასის გათამაშების 2007 წლის სეზონს გახსნის. ამ დღეს, "ბორჯღალოსნები" ბუქარესტის "სტიაუას" სტადიონზე, ტრადიციულ, პრინციპულ მეტოქეს, რუმინეთს დაუპირისპირდებიან.

საქართველო-რუმინეთის დაპირისპირება ცხრამატჩიან ისტორიას ითვლის. აქედან, "ვლახებს" შვიდჯერ ერთა თასზე შევხვედრივართ, ორჯერ კი მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირის ფარგლებში. შვიდჯერ "სტეუარმა" გვაჯობა, ჩვენ კი მხოლოდ ორჯერ მოვუგეთ და ორივეჯერ ერთა თასზე - 2001 წელს ბუქარესტში და 2005 წელს თბილისში.

საქართველო-რუმინეთის მატჩები მუდამ დაძაბული და პრინციპულია. ბოლო წლებში, ინტრიგა იმანაც გააძლიერა, რომ "ბორჯღალოსნებისა" და "მუხის ფოთლების" შეხვედრებში, რუმინელთა ქართველი განმანათლებლის, **ანთიმოზ ივერიელის** სახელობის თასი დაწესდა, რომელიც ახლა რუმინელთა ხელშია, ჩვენ კი გამოხსნა გვმართებს.

თუმცა წლევანდელ შეხვედრას, ისევე როგორც ერთა თასის დანარჩენ მატჩებს, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა უფრო საშემოდგომო მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელ ეტაპებად განიხილავს. ჩვენი მორაგბეები წლეულს ზედიზედ მეორედ იასპარეზებენ პლანეტის უდიდეს სარაგბო ფორუმზე და, ვინძლო, წლეულს მაინც გაახერხონ პირველი სამუნდიალო გამარჯვება.

**საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ, საქართველო-რუმინეთის მატჩისა და ნაკრების სამომავლო გეგმებზე, გუშინ პრესკონფერენცია გამართა.**

**პაატა ნარიმანაშვილი,**
**საქართველოს ნაკრების მწვრთნელი**

- იქიდან გამომდინარე, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს, მორაგბეები კარგ ფორმაში არიან. სამწუხაროდ, გვაქვს დანაკლისიც. ტრავმებისა და სხვა მიზეზთა გამო, რუმინეთთან მატჩისთვის ვერ დაგვეხმარებიან **მამუკა გორგოძე, გოდერძი შველიძე, რატი ურუშაძე, ბესიკ ხამაშურიძე** და **მალხაზ ურჯუკაშვილი**. მათ ნაცვლად გამოვიძახეთ **დავით გასვიანი, გიორგი ჩხაიძე** და **მერაბ კვირიკაშვილი**. საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და ასევე დაგვეხმარება **ირაკლი მაჩხანელიც**.

ჩვენი სპონსორების, "სევენ სქაის", "ბი-თი-ეი ბანკისა" და საქაერონავიგაციის დახმარებით, საქართველოს ნაკრები შეკრებას დაიწყებს 29 იანვარს, ბუქარესტში. საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერებთან ერთად ჩამოვლენ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მალხაზ ჭეიშვილი** და მისი თანაშემწე **დავით ჩავლეიშვილიც**, რომლებიც საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ "კლერმონში" არიან სტაჟირებაზე.

რუმინეთთან შეხვედრა ჩვენთვის მუდამ მნიშვნელოვანი და პრინციპულია. რა თქმა უნდა, ამჯერადაც ასე იქნება, მაგრამ წლეულს აქცენტს უფრო მსოფლიო თასისთვის ღირსეულად მომზადებაზე ვაკეთებთ. თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს ერთა თასზე უმოტივაციოდ ვიქნებით და მხოლოდ თამაშს დავხვეწთ. რაგბის ნახევარი ძალით ვერ ითამაშებ, ვაპირებთ ახალგაზრდების გამოცდასაც, რომლებსაც ნაკრებში ადგილის დაკავების ამბიცია აქვთ და გამოცდილ თანაგუნდელებთამ ერთად, ძალას არ დაიშურებენ, რათა მსოფლიო თასზე წამსვლელ შემადგენლობაში მოიპოვონ ადგილი.

**ირაკლი გვენეტაძე,**
**რაგბის კავშირის სანაკრებო განყოფილების თავმჯდომარე:**

- ამჟამად რუმინეთის შემადგენლობაზე დეტალური ინფორმაცია არ გვაქვს. თუმცა მათაც ჰყავთ ლეგიონერები საფრანგეთში და ამ გაგანია სეზონში ალბათ მათაც დააკლდებათ საკლუბო პრობლემების გამო რამდენიმე მორაგბე. რა თქმა უნდა, წლეულს მთავარი მსოფლიო თასია, მაგრამ არც ერთა თასზე ვაპირებთ რამის დათმობას.

დავით ჩავლეიშვილი და მალხაზ ჭეიშვილი "კლერმონში" საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობენ ცნობილ ზელანდიელ მწვრთნელ **ვერნ კოტერთან**. მათ საშუალება აქვთ, დაესწრონ ზელანდიელის ვარჯიშებს, მატჩებს და თამაშის გარჩევებს. რაც შეეხება კოტერის საქართველოს ნაკრების კონსულტანტად დანიშვნას, ამაზე საქართველო-რუმინეთის მატჩის შემდეგ ვისაუბრებთ. არის ამ საკითხზე გარკვეული მოლაპარაკებები, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ჭეიშვილსა და ჩავლეიშვილს ეკუთვნით.

ერთა თასის შემდეგ, მსოფლიო თასამდე კიდევ გვინდა რამდენიმე ტესტ-მატჩის ჩატარება. ამ მხრივ, ყველაზე რეალური რუმინელების წინადადებაა, რომლებიც 2-17 ივნისს, ექვსგუნდიანი ტურნირის ჩატარებას აპირებენ და ჩვენც გვეპატიჟებიან. ჯერ არ ვიცით, კიდევ ვის ჩამოიყვანენ, მაგრამ როგორც გავიგეთ, საკმაოდ სერიოზულ გუნდებთან, მათ შორის არგენტინისასა და იტალიის A ნაკრებებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. 99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ამ ტურნირზე ვითამაშებთ, მაგრამ აქაც ჭეიშვილმა და ჩავლეიშვილმა უნდა გადაწყვიტონ ყველაფერი. ერთადერთი პრობლემა ალბათ ის იქნება, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი იმ დროისათვის დასრულებული არ იქნება და, შესაძლოა, ლეგიონერების ჩამოყვანა გაგვიჭირდეს.

წლეულს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეროვნული ნაკრებით არ შემოვიფარგლებით. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე იასპარეზებენ ჩვენი 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებიც. სხვათა შორის, ეს გუნდები ხვალ, 13 საათზე ერთმანეთს ეთამაშებიან ამხანაგურად ვარკეთილის "მეურნეობის" სტადიონზე.

**რუმინეთი-საქართველოს მატჩი, დაიწყება ბუქარესტის დროით 13:30 საათზე (თბილისის დროით - 15:30). პირდაპირ რეპორტაჟს გადასცემს ტელეკომპანია "მზე".**

**კობა ხატისაშვილი**

**საქართველო (22)**

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბურგუენი), **ავთანდილ კოპალიანი** (მონტობანი), **დავით გასვიანი** (ექსი); მეორე ხაზი: **ილია ზედგინიძე** (ოში), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი); მესამე ხაზი: **გია ლაბაძე** (ტულონი), **ილია მაისურაძე** (ნანტი), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **გიორგი ჩხაიძე** (მასი)

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული); 10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო); 12-13: **ირაკლი გიორგაძე** (ბურგუენი), **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **დავით კაჭარავა** (ყოჩები); 11-14: **გიორგი ელიზბარაშვილი** (მატორ..უ), **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ირაკლი მაჩხანელი** (ბეზიე); 15: **პალიკო ჯიმშელაძე** (არასი)

**რუმინეთი (28)**

პირველი ხაზი: **პეტრუ ბალანი, ნიკოლაე ნერე, ჩეზარ პოპესკუ, რაზვან მავროდინი, მარიუს ტინკუ, პეტრიშორ ტოდერაშკი, იონ პაულიცა, ბოგდან ბალანი**; მეორე ხაზი: **სორინ სოკოლი, ქრისტიან პეტრე, ვალენტინ ურსაკე**; მესამე ხაზი: **ოვიდიუ ტონიცა, ფლონირ კოროდიანუ, კოსტიცა მერსოიუ, მიჰალ მაკოვეი, სტელიან ბურჩა**

9: **ლუჩან სირბუ, ვალენტინ კალაფეტიანუ**; 10: **იონუც ტოფანი**; 12-13: **ჩაბა გალი, რომეო გონტინიაკი, ვლად დანი, ქრისტიან საუანი**; 11-14: **კატალინ ფერკუ, გაბრიელ ბრეზოიანუ, ფლორინ ვლაიკუ**; 15: **დანუც დუმბრავა, იულიან დუმიტრაში**

## ძიუდო

თბილისის მსოფლიო თასი

# ფრანგები არ ჩამოდიან

დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში 34-ედ ჩატარდება ძიუდოისტთა მსოფლიო თასი. სამწუხაროდ, გუშინ გაირკვა, რომ ტურნირი ფრანგების გარეშე ჩაივლის. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჩამოუსვლელობის მიზეზად მათ უამინდობა დაასახელეს. უცნაური განმარტებაა, მით უფრო, რომ წუხელ გვიან ღამით პარიზი- თბილისის რეისით ერთ-ერთი მსაჯი მოფრინავდა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ფაქტია - წლევანდელი ტურნირი ერთ-ერთი სტაჟიანი მონაწილისა და მსოფლიოში გამორჩეული გუნდის გარეშე ჩაივლის.

ფრანგების გარდა, თავდაპირველად შეპირებულთაგან ყირგიზებიც დაგვაკლდებიან, მაგრამ უფრო დიდი დანაკლისი ცალკეულ ფალავნებშია - არ იჭიდავებენ ებრაელი **არიელ ზეევი** და იაპონელი **ტაკამასა ანაი** (ორივე - 100). ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი ზეევი, როგორც მისმა ქართველმა მწვრთნელმა **რამაზ მამისთვალოვმა** განაცხადა, გაციებულა, ანაის გეგმებში კი თურმე აქ ჭიდაობა არ შედიოდა. შეგახსენებთ, რომ ანაიმ შარშან ჯერ კანოს ტურნირი მოიგო, რამდენიმე დღეში ჩვენთანაც დამაჯერებლად იმარჯვა, ერთ კვირაში კი პარიზში მესამეზე გავიდა.

რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი ფალავანი კიდევ დაგვაკლდა, თუმცა მანამ მონაწილე გუნდები ჩამოთვალოთ - იაპონია, რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, ესტონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ტუნისი, თურქეთი, საბერძნეთი, ისრაელი, ირანი, კანადა, სერბეთი და საქართველო.

ბერძნები გადახალისებული გუნდით ჩამოვიდნენ. მათ შემადგენლობაში არც ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისია** (90), არც **გიორგი ვაზაგაშვილი** (66) და **რუსლან გედენიძე** (60). სუსტია უკრაინელთა გუნდიც. მათ არათუ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რომან გონტიუკი** (81), ქართველი **გიორგი ზანთარაიაც** (60) არ ჰყავთ. ზეევის გარდა, ებრაელებს **იოელ რაზვოზოვი** (73) და **როსტისლავ ლისიც** (მძიმე) აკლიათ. სამაგიეროდ, არიან **იეკუტილ გალი** (60), **ანსარ შოემანი** (81) და ნაკრების სხვა ამჟამინდელი ლიდერები. შესუსტებული, მაგრამ საკმაოდ ძლიერია რუსეთის ნაკრებიც - **რუსლან კიშმახოვი** და **შამილ ნეში** (60), **აშხაბ კოსტოევი** (100). ესტონელთა რიგებშიც ევროპის ორივე პრიზიორი იჭიდავებს - **მარტინ პადარი** (მძიმე) და **კინტერ როტბერგი** (66). მსოფლიო ჩემპიონები - ირანელი **არაშ მირესმაილი** (66) და ტუნისელი **ანის ლუნიფი** (60) რომ არ გვეწვეოდნენ, ადრევე ვიცოდით.

სტუმართაგან ტურნირის უძლიერესი გუნდი - იაპონია ბოლოსთვის შემოვინახეთ. ოპტიმალურისგან მათი შემადგენლობაც ძალიან შორსაა, მაგრამ თასის ფავორიტად მაინც ესენი მიგვაჩნია. **ჰიროაკი ჰიროაკა** (60), **ტორილ ტომოო** (66), **მასატო ინაზაკი** (73), **ჰიოტაკა კატო** (81), **იუტა იაზაკი** (90) და **კატაბუჩი შინია** (მძიმე). ამათგან ჰიროაკა შარშანდელიდან გვახსოვს - მეორეზე გავიდა (ერთ კვირაში პარიზშიც მეორე იყო), ტომოო, იაზაკი, შინია და კატო წინა წლებში სტაბილურად გამოდიოდნენ საერთაშორისო ტურნირებში. კატომ შარშან კანოს ტურნირიც მოიგო.

სტუმრებს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან მასპინძლები, რომელთა შემადგენლობაც უკვე გაგაცანით.

**დღეს შეხვედრები 11 საათიდან დაიწყება და სამი წონითი კატეგორიის - 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ. ბილეთის ფასია 2 ლარი.**

**ირაკლი თავაძე**



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი

# გენაცვალე, ელენე!

*პირველი გვერდიდან*

მიუხედავად მესამე ადგილისა, ელენეს აშკარად ეტყობოდა, რომ მოსამზადებელი ეტაპი ჩაუვარდა. სწორედ ამ მომენტზე ვთხოვეთ ყურადღების გამახვილება გედევანიშვილის პირველ მწვრთნელს.

### თამარ ანჯაფარიძე

- ელენეს ნამდვილად შეუძლია მეტი და რომ არა ცნობილი პრობლემები, რამაც მას მომზადებაში ხელი შეუშალა, დარწმუნებული ვარ, პირველობისთვისაც იბრძოლებდა. გედევანიშვილის უმთავრესი კოზირი ხტომებია - მაღალი ამპლიტუდით. ელენე ამას ტექნიკურად კარგად ასრულებს. შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე სწორედ ამით გავიდა ფონს. ამჯერად ხტომები უფრო დაბალი იყო და, ცხადია, ხარისხიც ცოტათი უარესი.

ამას ნამდვილად ველოდით. მოგეხსენებათ, ელენეს ამერიკაში გამგზავრება გვიან, გასული წლის 24 დეკემბერს გადაწყდა, ვარჯიში 30-ში დაიწყო და 20 იანვარს უკვე ვარშავაში ჩავიდა. თავი დავანებოთ იმას, რომ ახალ პროგრამას, რომელიც ახალმა მწვრთნელმა დადგა, შესწავლა და გათავისება სჭირდება, კიდევ ერთი პრობლემა კი სასაათო სარტყელის ხშირი ცვლაა, რაც სპორტსმენზე ძალიან ცუდად მოქმედებს. მადლობა ღმერთს, ელენემ კარგად გადაიტანა ყველაფერი.

**- და მაინც, მისი გამოსვლის პროფესიული შეფასება გვსურს, - მოგეწონათ თუ არა?**

- ნამდვილად მომეწონა, - მცირე ხარვეზების მიუხედავად სამუშაო კარგად შეასრულა და ამიტომაც მიიღო კარგი შეფასება. მთავარი აქ ფსიქოლოგიური ფაქტორია - მოკლე პროგრამა ყველაფერს არ წყვეტს, მაგრამ როცა თავისუფალი პროგრამის დროს ხელსაყრელი სასტარტო პოზიცია გაქვს - ძალზედ მნიშვნელოვანია. ელენე უძლიერესთა ჯგუფში, ტურნირის ბოლოს გამოვა.

**- აქამდე ელენეს თავისუფალი პროგრამა შედარებით სუსტად გამოსდიოდა. როგორ ფიქრობთ, ამჯერად შეძლებს უკეთ სრიალს და თუ შეინარჩუნებს მესამე პოზიციას?**

- გეთანხმებით, რომ თავისუფალი პროგრამა ჯერჯერობით არ არის მისი ძლიერი მხარე - ამისათვის ის ძალიან პატარაა. იმედი კი მაქვს, რომ მესამე ადგილს შეინარჩუნებს, მაგრამ თუკი ექვსეულში დარჩება, ჩავთვლი, რომ ძალიან კარგი შედეგი იქნება. ღმერთმა ქნას, მეტიც შეძლოს, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ შიშის გრძნობა მაქვს: საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკაში ელენე ყივანახველით გაემგზავრა და სუნთქვა უჭირდა. ბოლომდე არც ახლაა გამოჯანმრთელებული. გუშინ შევატყვე, რომ ბოლოსკენ ოდნავ კი შეაწუხა სუნთქვამ, მაგრამ გაუძლო. არის საშიშროება, რომ თავისუფალ პროგრამაში უფრო გაურთულდეს. თუ ამასაც სძლია, მაშინ კარგ ადგილს დაიკავებს. ესეც არის: იტალიელი კაროლინა კოსტნერი ძალიან კარგი მოციგურავეა, მაგრამ არასტაბილური. არის შანსი, მას ხელი მოეცაროს და გედევანიშვილმა დაიკავოს მისი ადგილი, - მოთელვაზე კოსტნერი თითქმის სულ ცდებოდა და ამან მაფიქრებინა, რომ გადამწყვეტ მომენტში შეიძლება შეცდომა მოუვიდეს.

**- ქალბატონო თამარ, შარშან, ევროპის ჩემპიონატზე, ელენემ მოკლე პროგრამაში 60 ქულა მიიღო, ოლიმპიადაზე - 57, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე - 54. ამჯერადაც - 54. კლება აშკარაა, მაგრამ ადგილი ყველა ადრინდელზე უკეთესი...**

- ეს ბუნებრივია. ოლიმპიადების შემდეგ, ძალზე ხშირად უძლიერესი სპორტსმენები სპორტიდან მიდიან, აქედან გამომდინარე კლასიც კლებულობს და კონკურენციაც. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზეც ასეთივე სიტუაციაა - არ გამოდის 7-გზის ევროპის ჩემპიონი რუსი ირინა სლუცკაია. სარა მაიერი და კოსტნერი უმაღლესი დონის მოციგურავეები არიან, მაგრამ დანარჩენებზე უფრო საშუალო თუ ითქმის. ამიტომაც მოახერხა ელენემ უარესი შედეგით უკეთესი ადგილის დაკავება.

**- დიდი მადლობა საუბრისთვის, იმედია, ელენე კვლავ გაგვახარებს, თქვენს კომენტარს კი ისევ იხილავს ჩვენი მკითხველი.**

- მეც მაქვს ამის იმედი! ნებისმიერ შემთხვევაში, სამსახურს არ დაგზარდებით.

**რედაქციისგან:** ცალკე სასაუბრო თემა შეიძლებოდა ყოფილიყო "ევროსპორტის" რუსული რედაქციის "კომენტატორთა" "კომენტარი" ელენეს გამოსვლაზე, რომელიც თავისი გესლიანობით ყოველგვარ საზღვარს გასცდა, მაგრამ, თქვენი ნებართვით, თავს შევიკავებთ. ეგ რუსების პრობლემაა...

**ქალები. მოკლე პროგრამა**

**38 მონაწილე**

**26 იანვარი. ვარშავა (პოლონეთი)**

| | |
|---|---|
| 1. სარა მაიერი (შვეიცარია) | 60,49 |
| 2. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 60,46 |
| 3. ელენე გედევანიშვილი (საქ.) | 54,62 |
| 4. იულია შებეშტიენი (უნგრეთი) | 53,87 |
| 5. კიირა კორპი (ფინეთი) | 53,84 |
| 6. ალექსანდრა იევლიევა (რუსეთი) | 50,28 |
| 7. სიუზანა პოიკიო (ფინეთი) | 49,47 |
| 8. ელენა სოკოლოვა (რუსეთი) | 48,85 |
| 9. ალისა დრეი (ფინეთი) | 48,78 |
| 10. ელენა გლებოვა (ესტონეთი) | 47,35 |
| 11. თამარ კაცი (ისრაელი) | 47,15 |
| 12. ვალენტინა მარკეი (იტალია) | 46,43 |

რეპორტაჟი ევროსპორტზე: პირდაპირი ტრანსლაცია თბილისის დროით 15:45 საათზე დაიწყება და 19:30-მდე გასტანს. შემდეგ რეპორტაჟი წყდება, ხოლო უძლიერესთა გამოსვლის ჩანაწერს 23:30-დან ვიხილავთ. უძლიერესთა ჯგუფში მონაწილეთა მიმდევრობა ასეთი იქნება: შებეშტიენი, კოსტნერი, კორპი, მაიერი, გედევანიშვილი, იევლევა.









## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# ჯანჯღავა შეუამხანაგდა

მეშვიდე ტური მიილია ქალთა პირველ ლიგაში, მაგრამ ერთპიროვნული ლიდერი ჯერაც არ გამოვლენილა. უკვე მერამდენე ტურია, ორ-ორი ლიდერი გვყავს, საინტერესო კი ისაა, რომ **სოფიკო ხუხაშვილი** მუდმივი წევრია ტანდემის, მხოლოდ მეორე წევრი იცვლება: თავიდან, რამდენიმე ტური **ინგა ჭარხალაშვილი** უწევდა ამხანაგობას, ინგა **ბელა ხოტენაშვილმა** ჩაანაცვლა, ხოლო გუშინდელს აქეთ **ნათია ჯანჯღავა** გახდა ხუხაშვილის კომპანიონი.

ჯანჯღავას შესაძლებლობებზე ორიოდ დღეს წინ მოგახსენეთ - ის თავისი თაობის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა, მერე რამდენიმე წელია არ უთამაშია და ახლა საკმაოდ შთამბეჭდავი დაბრუნება გამოსდის: შეიძლება ითქვას; ნათიას ექვსიდან ერთ-ერთი საგზური განაღდებული აქვს - დარჩენილ ორ ტურში ნახევარი ქულაც უნდა ეყოს, რადგანაც კოეფიციენტი აქვს კარგი. გუშინ ჯანჯღავამ შავებით მეტად რთულ ბრძოლაში, რთულ პოზიციაში ბელა ხოტენაშვილზე უკეთ შეძლო გარკვევა და შავებით გაიმარჯვა. ნაგებით ხოტენაშვილს შანსი არ დაუკარგავს - მას 5 ქულა აქვს.

პირველ დაფაზე სოფიკო ხუხაშვილი და **მაკა ფურცელაძე** თამაშობდნენ. ქულები ორივეს სჭირდებოდა, მაგრამ არ გარისკეს, დებიუტის შემდეგ გამოკვეთილი უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ მოიპოვა და სპორტსმენები ყაიმზე შეთანხმდნენ. არც მაკა ფურცელაძეა შორს საგზურისგან, მაგრამ მას მეტი გარჯა მოუწევს - დღეს ჯანჯღავას ხვდება თეთრებით და გამარჯვების შემთხვევაში საგზურს ალბათ გაინაღდებს...

მეშვიდე ტური: **ხუხაშვილი-ფურცელაძე-0.5:0.5; ხოტენაშვილი-ჯანჯღავა-0:1; ჭარხალაშვილი-ბაციაშვილი-0.5:0.5; მიქაძე-ნიკოლაძე-1:0; ბუცხრიკიძე-წერეთელი-0.1; ჟორჟოლიანი-გურამიშვილი-0:1; ზარქუა-ვახანია-0:1**

დღეს თამაშობენ: **ხუხაშვილი (5.5)-მიქაძე (5); ფურცელაძე (5)-ჯანჯღავა (5.5); წერეთელი (4.5)-ხოტენაშვილი (5); გურამიშვილი (4.5)-ჭარხალაშვილი (5); ვახანია (4.5)-ბაციაშვილი (4.5); ჯალაბაძე (4)-ნიკოლაძე (4); ბოკუჩავა (3.5)-ნანალაშვილი (4).**

**ზვიად შათირიშვილი**

**ბევრი მსმენია საქართველოსა და ისრაელის საჭადრაკო ურთიერთობაზე. ვიცი, რომ საქართველოდან არაერთი მოჭადრაკე გადასახლდა ამ ქვეყანაში. საერთოდ, მაინტერესებს ისრაელის საჭადრაკო ისტორია, ვინ არიან საქართველოდან წასული მოჭადრაკეები...**

**კახა ნიკურაძე,**
**ახალბედა მოჭადრაკე. სამტრედია**

მკითხველის თხოვნით

# სოფია და იონა

1970-იანი წლების ბოლოს ისრაელში დასახლდა თბილისელი დიდოსტატი **რომან ჯინჯიხაშვილი** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. იგი ისრაელის ჩემპიონიც გახდა. მერე რომანი საცხოვრებლად აშშ-ში გაემგზავრა. აქ ჯერ ნიუ იორკის, მერე ქვეყნის ჩემპიონი იყო, საჭადრაკო ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის ნაკრების პირველ დაფაზეც უთამაშია. 62 წლის ვეტერანი ახლაც ამერიკაში ცხოვრობს.

მოგვიანებით თავი გამოიჩინა ნიჭიერმა დიდოსტატმა **იონა ქოსაშვილმა**, მან ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. 1998 წელს მე მას შევხვდი ელისტაში, საჭადრაკო ოლიმპიადაზე. მაშინ ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ იონას რომანი ჰქონდა დიდოსტატ **სოფია პოლგართან**. დამაინტერესა და, როცა გავიცანი იონა, ვკითხე - მართალია თუ არა-მეთქი. გაეღიმა და კარგი ქართულით მიპასუხა: - მართალია, მაგრამ გთხოვთ, ამის თაობაზე არაფერი დაწეროთ პრესაში - ხომ შეიძლება არაფერი გამომივიდესო? დიდი დრო არ გასულა და იონა და სოფია დაქორწინდნენ, შეეძინათ ვაჟი და ახლა ისრაელში ცხოვრობენ.



სოფია პოლგარი



იონა ქოსაშვილი

იონა ქოსაშვილი თბილისელია. იგი ორი წლის იყო, როცა ოჯახი ისრელში გადასახლდა. *"ქართული დედამ მასწავლა, მისი მონაყოლით თბილისს კარგად ვიცნობ. დაუძლეველი სურვილი მაქვს, თბილისში ჩამოვიდე, მაგრამ როდის მოხდება ეს, არ ვიცი, რადგან თბილისში რატომღაც შეწყდა დიდი საერთაშორისო ტურნირების გამართვა. მე და ჩემმა მეუღლემ გავხსენით საჭადრაკო სკოლა და იქ ვმუშაობთ. - მითხრა იონა ქოსაშვილმა".*

**თენგიზ გიორგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დალასი ჯოგმა გადათელა

**ჩიკაგო-დალასი 96:85**

27:13, 20:28, 20:15, 29:29

**ჩიკაგო:** გორდონი (30 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), დენგი (21 ქ. 9 მ), ჰაინრიხი (15 ქ. 8 მ. 5 პ), პი. ჯეი. ბრაუნი (12 ქ. 9 მ), ბ. უოლასი (5 ქ. 17 მ. 4 დ. 3 პ).

**დალასი:** ნოვიცკი (28 ქ. 11 მ. 2 დ), სტექჰაუზი (16 ქ), ტერი (12 ქ. 6 პ. 2 ჩ).

ადრე თუ გვიან, ყველაფერი სრულდება. სერია, რომლის მსვლელობისას **დირკ ნოვიცკის** "დალას მავერიქსმა" ზედიზედ 8 გამარჯვება მოიპოვა, "ბულზთან" დაპირისპირებაში დამთავრდა, ტეხასელთა გერმანელმა მეგავარსკვლავმა კი მიმდინარე რეგულარულში თავისი ერთ-ერთი უსუსტესი მატჩი ჩაატარა.

წელს რამდენჯერმე ისეც მომხდარა, რომ "მავერიქსში" საუკეთესო მექულე დირკი არ ყოფილა, მაგრამ მის გუნდს მაინც მოუხერხებია გამარჯვების გამოჭედვა, თუმცა არა ამჯერად და არა მშიერ ილინოისელებთან მატჩში, როდესაც **ბენ უოლასი** ერთ-ერთი საუკეთესო იყო, **ბენ გორდონმა** კი, სტუმართა დაბლებს ყველა სათამაშო კომპონენტში აჯობა.

გორდონმა 30 ქულა მოიმკო, უოლასმა საამსეზონო პირად რეკორდს სულ მცირედით ვერ მიუკაკუნა, მაგრამ "დალასის" მთავარი მწვრთნელის - **ეივერი ჯონსონის** თქმით, "ჩიკაგოში" მთავარი გმირი მაინც **პი. ჯეი. ბრაუნი** გახლდათ, რომელმაც დირკს კისერზე ლასო ისე წაუჭირა, რომ ნოვიცკიმ 40 წუთში, 22 სროლიდან 15 გააფუჭა. მერე რა, რომ ბებერ ბრაუნს რამდენჯერმე სისწრაფის ელემენტარული დეფიციტის გამო, მოუხდა დირკთან ბრძოლაში ფოლების აკიდება. მთავარი მაინც საბოლოო შედეგია, რომელიც "ბულზისთვის" დადებითი გამოდგა.

"დალასი" ლიგის ერთ-ერთი გრანდია, "ჩიკაგო" კი ელიტას უახლოვდება. უფრო სწორად, **სკოტ სქაილზის** გუნდს საამისოდ ყველანაირი რესურსი გააჩნია, მაგრამ სტაბილურობა ჯერაც "ბულზის" აქილევსის ქუსლად რჩება. გუნდი უგებს "სან ანტონიოს", "დეტროიტს", "დალასს", მაგრამ ამავე დროს აგებს შარლოტებთან და ნიუ ორლეანებთან, რაც ასეთი შემადგენლობის ფონზე დაუშვებელია.

ჩააგდო მატჩი "დალასის" კიდევ ერთმა წამყვანმა ფიგურამ - **ჯოშ ჰოვარდმა**, რომელმაც 20 "ცოცხალი" სროლიდან მხოლოდ 4 შეასრულა ზუსტად და ხუთივე სამქულიანი გააფუჭა.

მასპინძლები მესამე მეოთხედში 17 ქულასაც კი იგებდნენ, მაგრამ როგორც სჩვევიათ, მეტოქეს ეს სოლიდური ჰანდიკაპი ლამის მთლიანად გააბათილებინეს და შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნეს.

ძირითადის დასრულებამდე 4 წუთითა და 31 წამით ადრე, დირკმა "ჩიკაგოს" სამიანი ჩაუსვა და ანგარიშში სხვაობა 3 ქულამდე (76:79) დაიყვანა, რასაც სქაილზის იძულებითი წუთშესვენება მოჰყვა.

თამაშის განახლებას ბრაუნის ნახევარკაუჭი, დირკის არაზუსტი საშუალო სროლა და **კირკ ჰაინრიხის** 9 მეტრიდან "ნატყორცნი" მოჰყვა და "ბულზიც" 84:76 გაიჭრა წინ, რის მერეც სტუმრებმა მაქსიმუმი მხოლოდ ის მოახერხეს, რომ **ერიკ დემპიეს** (7 ქულა, 6 მოხსნა, 2 დაფარება) ჩატენვით ჩამორჩენა 5 ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ საბოლოოდ "ბულზმა" დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

*"ძალიან ცუდად ვითამაშეთ. იმედგაცრუებული ვარ, რადგან მთელი გუნდი ბოლოში მე მიყურებდა და რამდენიმე უიოლესი სროლა ვერ გამოვიყენე. "ბულზის" დაცვა როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შესანიშნავი იყო"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ნოვიცკი.

"ჩიკაგომ" კი საკუთარ მოედანზე 25-ე შეხვედრაში მე-19 გამარჯვება მოიპოვა.

**კლიპერსი-ნ. ჯერსი 102:101**

31:24, 26:16, 24:30, 21:31

**კლიპერსი:** მაგეტი (18 ქ. 6 მ. 5 პ), ბრენდი (18 ქ. 8 მ. 3 დ. 3 პ), მობლი (17 ქ. 2 ჩ. 2 დ), კასელი (15 ქ. 10 პ), ტიმ ტომასი (12 ქ. 5 მ. 4 ჩ. 3 პ), კამანი (11 ქ. 7 მ. 3 დ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (33 ქ. 3 მ. 3 პ), ნახბარი (17 ქ. 7 მ), უ. უილიამსი (16 ქ. 5 მ. 4 პ), კიდი (12 ქ. 8 პ. 5 მ. 2 დ).

"ნიუ ჯერსის" ამჯერადაც არ გაუმართლა. გუნდმა "კლიპერსთან" პირწმინდად წაგებული პირველი ნახევრის მერე გადაწყობა მოახერხა, მაგრამ ბოლო წამზე, დაცვისას ელემენტარული შეცდომა დაუშვა და დაისაჯა კიდეც. **კუტინო მობლიმ** ძირითადის დასრულებამდე 0.6 წამით (!) ადრე სამქულიანით კალიფორნიელებს გამარჯვება მოუტანა, "ნეტსმა" კი დარჩენილ დროშიც მოასწრო ერთი სროლის განხორციელება, მაგრამ **ვინს კარტერმა** სულ მცირედით ააცილა.

წინა ორი შეხვედრა "ნიუ ჯერსიმ" ანალოგიურად წააგო. **მაიკ ბიბიმ** "საკრამენტოს" საფინალო სირენასთან ერთად ნატყორცნით მოაგებინა, ხოლო "გოლდენ სტეიტთან" შეხვედრაში კი, ისტრუზერფორდელებს თავი **მონტა ელისმა** აწყევლინა, როდესაც 10 მეტრიდან და ვინსის ხელებს ზემოდან ჩაუშვა ბურთი მეტოქის კალათში.

11 დეკემბრის მერე, "კლიპერსი" მოგება-წაგების გრაფაში პირველად გავიდა 50-პროცენტიან მაჩვენებელზე.

**ზურაბ თალაკვაძე**



კუტინო მობლის გამარჯვების ტყორცნა

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკის ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ტორონტო* | 43 | 21 | 22 | 48.8 |
| ნიუ ჯერსი* | 43 | 20 | 23 | 46.5 |
| ნიუ იორკი | 44 | 18 | 26 | 40.9 |
| ფილადელფია | 43 | 13 | 30 | 30.2 |
| ბოსტონი | 41 | 12 | 29 | 29.3 |

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დეტროიტი* | 40 | 24 | 16 | 60.0 |
| კლივლენდი* | 42 | 24 | 18 | 57.1 |
| ჩიკაგო* | 44 | 25 | 19 | 56.8 |
| ინდიანა* | 42 | 22 | 20 | 52.4 |
| მილუოკი | 42 | 17 | 25 | 40.5 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი* | 41 | 24 | 17 | 58.5 |
| ორლანდო* | 43 | 23 | 20 | 53.5 |
| მაიამი | 42 | 19 | 23 | 45.2 |
| ატლანტა | 40 | 14 | 26 | 35.0 |
| შარლოტი | 41 | 14 | 27 | 34.1 |

**დასავლეთი**

**სამხრეთ-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დალასი* | 44 | 35 | 9 | 79.5 |
| სან ანტონიო* | 44 | 30 | 14 | 68.2 |
| ჰიუსტონი* | 42 | 26 | 16 | 61.9 |
| ნიუ ორლეანი | 41 | 16 | 25 | 39.0 |
| მემფისი | 43 | 11 | 32 | 25.6 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა* | 43 | 28 | 15 | 65.1 |
| დენვერი* | 39 | 22 | 17 | 56.4 |
| მინესოტა | 41 | 20 | 21 | 48.8 |
| პორტლენდი | 43 | 18 | 25 | 41.9 |
| სიეტლი | 42 | 16 | 26 | 38.1 |

**წყნარი ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი* | 42 | 34 | 8 | 81.0 |
| ლეიკერსი* | 42 | 27 | 15 | 64.3 |
| კლიპერსი* | 42 | 21 | 21 | 50.0 |
| გ. სტეიტი | 43 | 20 | 23 | 46.5 |
| საკრამენტო | 40 | 17 | 23 | 42.5 |

*შენიშვნა*: * - ფლეი ოფის ზონა

**ქულები**

| | |
|---|---|
| ენტონი (დენ) | 31.6 |
| არენასი (ვაშ) | 29.7 |
| აივერსონი (ფილ) | 29.0 |
| უეიდი (მაი) | 28.3 |
| ბრაიანტი (ლეი) | 28.3 |
| რედი (მილ) | 27.7 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 27.1 |
| რ. ალენი (სიე) | 26.1 |
| ნოვიცკი (დალ) | 25.1 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| კემბი (დენ) | 12.6 |
| გარნეტი (მინ) | 12.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.5 |
| ბუზერი (იუტ) | 11.9 |
| ოკაფორი (შარ) | 11.2 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 11.0 |
| ლი (ნ-იორკ) | 10.7 |
| დანკანი (ს-ანტ) | 10.5 |
| ჯ. ონილი (ინდ) | 10.5 |
| ზ. რენდოლფი (პორ) | 10.3 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.6 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 9.1 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 9.1 |
| პოლი (ნ-ორლ) | 9.0 |
| ა. მილერი (დენ) | 8.7 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.6 |
| უეიდი (მაი) | 7.9 |
| ბილაპსი (დეტ) | 7.9 |
| ტ-ჯ. ფორდი (ტორ) | 7.7 |
| ფელტონი (შარ) | 7.6 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.2 |
| კ. ბატლერი (ვაშ) | 2.1 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.1 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 2.1 |
| მერიონი (ფინ) | 2.1 |
| არენასი (ვაშ) | 2.0 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| ჯ. ონილი (ინდ) | 3.0 |
| მოურნინგი (მაი) | 3.0 |
| ოკაფორი (შარ) | 2.9 |
| კემბი (დენ) | 2.9 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.7 |
| მინი (ჰიუ) | 2.2 |
| დანკანი (ს-ანტ) | 2.2 |
| ბრენდი (კლი) | 2.1 |



გილბერტ არენასი

ყველა ვარსკვლავის მატჩი

# არენაზე გილბერტი გაიყვანეს

ესეც ასე, მორიგი საილსტარო გამოკითხვა მოვილიეთ და იქამდე, სანამ ორივე გუნდის მწვრთნელები 12-კაციან განაცხადს კიდევ 7-7 მოთამაშით შეავსებენ, სასტარტოს წევრებს გავეცნოთ და პარალელურად, მათი (და სხვების) საბოლოო მონაგარიც ვნახოთ.

ლას ვეგასში გასამართი შოუს მონაწილეთაგან, რამდენიმე წევრის დასახელება წინასწარ შეიძლებოდა. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ **ლებრონ ჯეიმსი, იაო მინი, კობი ბრაიანტი, შაკილ ონილი, ტიმ დანკანი** და **კევინ გარნეტი** სასტარტოებში მოხვდებოდნენ, დანარჩენი ადგილებისთვის კი მართლაც საინტერესო ბრძოლა მიდიოდა.

ლებრონმა საბოლოოდ 2 516 049 ხმა დააგროვა, რაც საინტერნეტო გამოკითხვების ისტორიაში მეორე საუკეთესო შედეგია, რეკორდი კი იაო მინს ეკუთვნის, რომელმაც შარშან 2 558 278 ხმა აიღო. ჩინელი გიგანტის წლევანდელი მონაგარიც შთამბეჭდავია, თუმცა არა ისეთი, როგორც შარშან. იაოს ორნახევარ მილიონამდე მთელი 49 ათასი ხმა დააკლდა.

ყველაზე დაძაბული ორთაბრძოლა კი აღმოსავლეთის უკანახაზელებში მიდიოდა. "მაიამის" **დუეინ უეიდს** ლიდერობა და სასტარტოში მოხვედრა გარანტირებული ჰქონდა, მეორე-მესამე ადგილებისთვის კი "ნიუ ჯერსის" **ვინს კარტერი** და "ვაშინგტონის" **გილბერტ არენასი** იბრძოდნენ. საბოლოოდ, წლევანდელი რეგულარულის ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურამ, ანუ არენასმა ფინიშის სწორზე უკან მოიტოვა "მფრინავი რეპტილია" და მისი უპირატესობა სულ რაღაც 3 ათას ხმაში აისახა.

ზედიზედ მე-14 "ოლ სტარზე" ითამაშებს შაკი, რომელსაც აღმოსავლეთში მთავარ კონკურენტად "მომავლის ცენტრი" - **დუაიტ ჰოვარდი** ჰყავდა. ონილი "მეჯიქის" თანაამპლუელს, თავიდან 400 000 ხმასაც კი უგებდა, თუმცა საბოლოოდ, მისი უპირატესობა განახევრდა, მესამე ადგილზე კი "ბულზის" 60-მილიონიანი **ბენ უოლასი** გავიდა.

შოუთაიმში მეცხრედ მიიღებს მონაწილეობას კობი, რომელიც 1998-ში, ამ მატჩების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა "ვარსკვლავი" გახდა. ტიმ დანკანი ლიგაში 1997 წელს შემოიჭრა და მას მერე "ოლ სტარის" უცვლელი მონაწილეა, ერთხელ კი, "სპურსის" ფორვარდ-ცენტრმა, შაკილთან ერთად უძვირფასესი მოთამაშისთვის დაწესებული ჯილდოც გაიყო.

გარნეტს იდენტური აღიარება, ანუ MVP-ის პრიზი 2003-ში აქვს მიღებული, **ტრეისი მაკგრეიდისთვის** კი ეს მეშვიდე ასეთი შეხვედრა იქნება.

შაკს დავუბრუნდეთ. ონილი "ოლ სტარში" ზედიზედ შესვლით, ლეგენდარულ **ჯერი უესტსა** (1961-74) და "იუტა ჯაზის" არანაკლებ დიად წევრ **კარლ მელოუნს** (1988-2002) გაუტოლდა, აბსოლუტური რეკორდსმენი კი **ქარიმ აბდულ-ჯაბარია**, რომელიც "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილედ 19-ჯერ (!) აირჩიეს. ამ შედეგის გამეორება ურთულესი საქმე იქნება.

არენასისა და "ტორონტო რეპტორზის" ფორვარდ **კრის ბოშისთვის** ეს პირველი "ოლ სთარია", უეიდი კი სასტარტოში ზედიზედ მეორედ მოახვედრეს.

ბოლოს კი გამოკითხვის სრულ შედეგებს გთავაზობთ.

**აღმოსავლეთი**

**უკანა ხაზი:** 1. **დუეინ უეიდი (მაიამი)** – 2 029 591 ხმა, 2. **გილბერტ არენასი (ვაშინგტონი)** – 1 454 166, 3. ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) – 1 451 156, 4. ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) – 838 486, 5. ჩონსი ბილაპსი (დეტროიტი) – 499 670, 6. სტეფონ მარბერი (ნიუ იორკი) – 458 181, 7. მაიკლ რედი (მილუოკი) – 351 277, 8. ბენ გორდონი (ჩიკაგო) – 316 428, 9. სტივ ფრენსისი (ნიუ იორკი) – 307 287, 10. რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) – 306 547.

**ფორვარდები:** 1. **ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)** – 2 516 049, 2. **კრის ბოში (ტორონტო)** – 1 091 263, 3. ჯერმეინ ონილი (ინდიანა) – 934 749, 4. გრანტ ჰილი (ორლანდო) – 677 423, 5. პოლ პირსი (ბოსტონი) – 615 911, 6. რაშიდ უოლასი (დეტროიტი) – 549 693, 7. ანდრე იგუოდალა (ფილადელფია) – 459 139, 8. ტაიშონ პრინსი (დეტროიტი) – 408 936, 9. კეირონ ბატლერი (ვაშინგტონი) – 404 489, 10. ემეკა ოკაფორი (შარლოტი) – 388 170.

**ცენტრები:** 1. **შაკილ ონილი (მაიამი)** – 1 622 446, 2. დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) – 1 464 613, 3. ბენ უოლასი (ჩიკაგო) – 788 950, 4. ალონზო მურნინგი (მაიამი) – 338 904, 5. ენდრიუ ბოგუტი (მილუოკი) – 256 579, **6. ზაზა ფაჩულია (ატლანტა) – 244 507**, 7. ნაზრ მოჰამედი (დეტროიტი) – 217 067, 8. ედი კარი (ნიუ იორკი) – 202 010, 9. ჟიდრუნას ილგაუსკასი (კლივლენდი) – 196 000, 10. პრიმოჟ ბრეჟეცი (შარლოტი) – 164 734.

**დასავლეთი**

**უკანა ხაზი:** **კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)** – 2 138 777, 2. **ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი)** – 1 942 796, 3. ალენ აივერსონი (დენვერი) – 1 813 638, 4. სტივ ნეში (ფინიქსი) – 1 504 826, 5. მანუ ჯინობილი (სან ანტონიო) – 541 341, 6. ტონი პარკერი (სან ანტონიო) – 501 429, 7. კრის პოლი (ნიუ ორლეანი) – 462 206, 8. რეი ალენი (სიეტლი) – 444 443, 9. ჯეისონ ტერი (დალასი) – 421 924, 10. ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) – 354 412.

**ფორვარდები:** 1. **კევინ გარნეტი (მინესოტა)** – 1 616 575, 2. **ტიმ დანკანი (სან ანტონიო)** – 1 436 584, 3. კარმელო ენტონი (დენვერი) – 1 309 945, 4. დირკ ნოვიცკი (დალასი) – 1 276 304, 5. შეინ ბეტიე (ჰიუსტონი) – 1 025 643, 6. შონ მერიონი (ფინიქსი) – 551 173, 7. ლამარ ოდომი (ლეიკერსი) – 438 824, 8. ჯოშ ჰოვარდი (დალასი) – 412 102, 9. პაუ გასოლი (მემფისი) – 237 828, 10. კარლოს ბუზერი (იუტა) – 228 882.

**ცენტრები:** 1. **იაო მინი (ჰიუსტონი)** – 2 451 718, 2. ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი) – 1 209 333, 3. ერიკ დემპიე (დალასი) – 385 179, 4. მარკუს კემბი (დენვერი) – 373 382, 5. მეჰმეთ ოქური (იუტა) – 339 247, 6. ფრანსისკო ელსონი (სან ანტონიო) – 252 622, 7. ტაისონ ჩენდლერი (ნიუ ორლეანი) – 202 531, 8. ბრედ მილერი (საკრამენტო) – 186 230, 9. მარკ ბლაუნტი (მინესოტა) – 175 322, 10. კრის კამანი (კლიპერსი) – 160 234.

**ზურაბ თალაკვაძე**

# კალათბურთი

## ევროლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური

### A ჯგუფი

**ლე მანი-კიოლნი 69:60**

20:25, 14:13, 15:8, 20:14

**ლე მანი:** კოფი (13 ქ), ე. კემპბელი (13 ქ), გფრეგორი (12 ქ. 5 მ. 4 პ), ნიჩევიჩი (10 ქ. 8 მ).
**რაინენერგი:** გორტატი (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), მალეტი (14 ქ. 4 მ. 4 პ).

**დინამო-ოლიმპიაკოსი 84:69**

22:18, 23:15, 11:16, 28:20

**დინამო:** ჰანსენი (27 ქ. 3 ჩ), ფოცისი (13 ქ. 12 მ. 3 ჩ), პაპადოპულოსი (11 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ), ედი გილი (11 ქ. 4 ჩ), ბ. პოპოვიჩი (10 ქ. 2 ჩ).
**ოლიმპიაკოსი:** აკერი (17 ქ. 5 მ. 3 ჩ. 2 დ), ბურუსისი (15 ქ. 7 მ), დომერკანტი (12 ქ. 5 ჩ).

**კლიმამიო-ეფესი 74:76**

16:23, 18:15, 15:13, 25:25

**კლიმამიო:** ბლუტენტალი (26 ქ. 5 მ. 3 ჩ), ედნი (11 ქ. 6 პ), ბელინელი (10 ქ. 7 მ).
**ეფეს პილზენი:** ჰეისლიპი (17 ქ), კოუგო (16 ქ. 7 მ), ჯენკინსი (15 ქ. 4 მ), ნიკოლასი (13 ქ. 5 მ. 4 პ).

**ტაუ-პროკომი 76:64**

28:20, 14:19, 12:9, 22:16

**ტაუ:** რაკოჩევიჩი (20 ქ. 3 მ. 3 პ), ტელეტოვიჩი (13 ქ. 6 მ), პრიჯიონი (13 ქ. 9 პ. 7 მ), სკოლა (12 ქ. 9 მ).
**პროკომი:** მ. ანდერსენი (15 ქ. 9 მ), სლანინა (11 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 11-2 | +108 |
| 2. დინამო (მ) | 9-4 | +64 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 9-4 | +49 |
| 4. ეფეს პილზენი | 8-5 | +54 |
| 5. პროკომი | 5-8 | -36 |
| 6. კლიმამიო | 4-9 | -67 |
| 7. ლე მანი | 4-9 | -24 |
| 8. კიოლნი | 2-11 | -148 |

### B ჯგუფი

**ოლიმპია-მაკაბი 77:75**

18:20, 14:22, 24:16, 21:17

**ოლიმპია:** ლორბეკი (17 ქ), რანიკო (16 ქ. 4 პ), **მარკოიშვილი (13 ქ. 3 პ. 1 მ. 1 ჩ)**, იურკოვიჩი (13 ქ. 4 ჩ), იურაკი (12 ქ. 6 მ).
**მაკაბი:** შარპი (18 ქ. 7 მ), ვუიჩიჩი (13 ქ. 11 მ. 4 პ), ელიაჰუ (12 ქ).

**უნიკახა-რომა 68:66**

19:18, 15:15, 25:21, 9:12

**უნიკახა:** სანტიაგო (13 ქ. 2 დ), ველში (12 ქ. 4 მ), კაბეზასი (11 ქ. 8 მ), ტუშეკი (10 ქ).
**რომა:** ბოდიროგა (17 ქ. 4 პ. 3 მ. 2 ჩ), დ. ჰოკინსი (15 ქ), აშკრაბიჩი (12 ქ. 6 მ), ჩეტმენი (10 ქ. 8 მ. 3 პ. 3 ჩ).

**პანათინაიკოსი-პარტიზანი 80:93**

19:22, 15:24, 29:23, 17:24

**პანათინაიკოსი:** დელკი (23 ქ), ბეჩიროვიჩი (16 ქ. 4 პ), შიშკაუსკასი (14 ქ), ტომაშევიჩი (10 ქ. 5 მ).
**პარტიზანი:** პეროვიჩი (19 ქ. 7 მ), კამინგსი (16 ქ), დრობნიაკი (15 ქ. 9 მ), კეჩმანი (15 ქ. 7 მ), ტრიპკოვიჩი (11 ქ), ტეპიჩი (10 ქ).

**ციბონა-ხუვენტუდი 77:74**

28:19, 22:16, 9:25, 18:14

**ციბონა:** კუსი (23 ქ. 5 პ. 4 მ), უორენი (19 ქ. 3 ჩ), ვიშნევსკი (14 ქ).
**ხუვენტუდი:** რ. ფერნანდესი (16 ქ. 7 ჩ), არჩიბალდი (14 ქ. 9 მ), ბარტონი (11 ქ. 6 მ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 11-2 | +95 |
| 2. მაკაბი | 7-6 | +50 |
| 3. ხუვენტუდი | 7-6 | +67 |
| 4. პარტიზანი | 6-7 | -5 |
| 5. ციბონა | 6-7 | -5 |
| 6. უნიკახა | 6-7 | -88 |
| 7. რომა | 5-8 | -40 |
| 8. ოლიმპია | 4-9 | -90 |

### C ჯგუფი

**ბენეტონი-პო-ორტეზი 87:66**

16:21, 32:12, 20:12, 19:21

**ბენეტონი:** ლიდეი (31 ქ. 6 პ. 4 ჩ), ზისისი (11 ქ. 4 პ).
**პო-ორტეზი:** მ. რაიტი (14 ქ. 4 მ), სანდერსი (14 ქ), ჯონსენი (11 ქ. 3 ჩ).

**ფენერბახჩე-ნაპოლი 88:93 (ო)**

29:16, 18:20, 13:22, 13:15, 15:20

**ფენერბახჩე:** კუთლუაი (17 ქ), კამბალა (14 ქ. 12 მ), მრშიჩი (14 ქ).
**ნაპოლი:** ელისი (29 ქ. 6 მ. 5 პ), მორანდაისი (17 ქ. 16 მ), სესეი (12 ქ).

**ბარსელონა-ცსკა 70:78 (ო)**

24:17, 19:10, 7:21, 15:17, 5:13

**ბარსელონა:** ლაკოვიჩი (13 ქ), ნავარო (11 ქ. 5 მ), ბაზილე (10 ქ. 5 მ), კაკიუცისი (6 ქ. 10 მ).
**ცსკა:** ჰოლდენი (18 ქ), ანდერსენი (15 ქ. 5 მ), პაპალუკასი (14 ქ. 7 მ. 9 პ), ლენგდონი (12 ქ. 7 მ), ვან დენ შპიგელი (10 ქ. 8 მ).

**ჟალგირისი-არისი 77:66**

29:18, 21:12, 14:23, 13:13

**ჟალგირისი:** მაციულისი (16 ქ), იანკუნასი (14 ქ. 11 მ), ბერდი (12 ქ. 11 მ), კოლინზი (11 ქ. 5 პ).
**არისი:** უილკინსონი (18 ქ. 9 მ), მესი (17 ქ. 9 მ. 6 ჩ), კასლი (13 ქ. 5 მ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 12-1 | +148 |
| 2. ბარსელონა | 8-5 | +54 |
| 3. ბენეტონი | 7-6 | +30 |
| 4. პო-ორტეზი | 6-7 | -23 |
| 5. არისი | 6-7 | -35 |
| 6. ნაპოლი | 6-7 | -59 |
| 7. ფენერბახჩე | 5-8 | -25 |
| 8. ჟალგირისი | 2-11 | -90 |

# კრივი

## დიდი ბრძოლის წინ

# უფროსი მეივეზერი თამაშგარეში



უფროსი ფლოიდ მეივეზერი

**ოსკარ დე ლა ჰოია** იძულებულია, უარი თქვას თავისი ძველი მწვრთნელის, **ფლოიდ მეივეზერ უფროსის** სამსახურზე და **ფლოიდ მეივეზერ უმცროსთან** ბრძოლისთვის მოსამზადებლად, სხვა მწვრთნელის მოწვევას აპირებს. ოღონდ, აქ არაფერ შუაშია უნდობლობა, უბრალოდ, უფროსმა მეივეზერმა ამჯერად უსაშველოდ დიდი ჰონორარი მოითხოვა.

დე ლა ჰოიას საპრომოუტერო კომპანია "გოლდენ ბოი პრომოუშნის" მთავარი აღმასრულებელი **რიჩარდ შეფერი** ამბობს, რომ უფროსმა მეივეზერმა თავის შვილთან საბრძოლველად ოსკარის მოსამზადებლად 2 მილიონი დოლარი მოითხოვა, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ მას ამჯერად არ სურდა თავისი მოვალეობის შესრულება.

*"ჩვენ კარგად ავწონ-დავწონეთ სიტუაცია და გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ სხვა მწვრთნელს მოვიწვევთ. ოსკარი ყოველთვის ჯეროვნად აფასებდა მწვრთნელების გარჯას, მაგრამ ორი მილიონი იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ოდესმე საუკეთესოთა შორის საუკეთესო მწვრთნელებს აუღიათ. ამ თანხას რომ მოითხოვდა, ფლოიდ უფროსმა ალბათ იმაზეც მიგვანიშნა, რომ მას ამჯერად მწვრთნელის მოვალეობის შესრულება არ სურდა"*, - ამბობს შეფერი.

სხვათა შორის, სანამ მისი შვილი დე ლა ჰოიასთან ბრძოლას დათანხმდებოდა, უფროსი მეივეზერი ამბობდა, რომ მას არ სურდა თავისი შვილის წინააღმდეგ თუნდაც ისეთი ახლობელი ადამიანისთვის დახმარება, როგორიც ოსკარია. თავად ოსკარსაც ესმის უფროსი ფლოიდის გრძნობები და გაგებით ეკიდება მწვრთნელის საქციელს. ცნობისთვის, უმცროს მეივეზერს ავარჯიშებს მისი ბიძა, უფროსი ფლოიდის ძმა **როჯერ მეივეზერი**.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: დე ლა ჰოიას ადრე ნათქვამი აქვს, რომ ბრძოლაში არასოდეს გამოიწვევდა უმცროს მეივეზერს - ჩემს მწვრთნელს იმდენ პატივს ვცემ, რომ მისი შვილის წინააღმდეგ არ ვიბრძოლოო. მაგრამ შემდეგ, მამაშვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა და "ოქროს ბიჭმაც" თავისი პოზიცია შეცვალა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# სხვადასხვა

### ფორმულა 1

## ჰამილტონმა ბოლიდი დაამტვრია

"მაკლარენ-მერსედესის" ახალწვეულმა **ლუის ჰამილტონმა** ვალენსიაში მიმდინარე ტესტებისას თავისი ბოლიდი დაამტვრია.

თავად 22 წლის ბრიტანელი პილოტი არ დაშავებულა, თუმცა, ბოლიდი - MP4-22 სერიოზულად დაზიანდა და აღდგენას არ ექვემდებარება. ავარიის მიზეზები გუნდის შიდა გამოძიების შემდეგ დადგინდება.

## ჰონდას პრეზენტაცია

ბარსელონას "მონტმელოს" ტრასაზე "ჰონდამ" ახალი ბოლიდის პრეზენტაცია გამართა. გუნდის დირექტორმა **ნიკ ფრაიმ** განაცხადა, რომ ბოლიდი - RA107 ინგლისელი და იაპონელი ინჟინრებისა და დიზაინერების ერთობლივი შრომის ნაყოფია და იმედია, მათი მონდომება 2007 წლის სეზონში გამოიღებს ნაყოფს.

მაგრამ, ახალ ბოლიდს პირველივე ტესტისას შეექმნა პრობლემები. **ჯენსონ ბატონმა** ერთი წრის გავლა ვერ მოასწრო, რომ მანქანა გაჩერდა და ვარჯიშიც ამით დასრულდა. "ჰონდას" წარმომადგენლებს მიზეზი არ დაუსახელებიათ, მაგრამ როგორც ჩანს, ბოლიდს ელექტრომოწყობილობებმა უღალატეს.

### ტრამპლინიდან ხტომა

## მაზოჰი სიკვდილს ებრძვის

კვლავინდებურად მძიმე რჩება ჩეხი ტრამპლინიდან მხტომელის, **იან მაზოჰის** მდგომარეობა. კრაკოვის საავადმყოფოს პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ სპორსტმენი ხელოვნური კომიდან უკვე გამოიყვანეს, მაგრამ მისი სიცოცხლე კვლავაც საფრთხეშია.

შეგახსენებთ, რომ 21 წლის მაზოჰი ზაკოპანეში გამართული მსოფლიო თასის ეტაპის დროს დაეცა და თავის ტრავმა მიიღო

### მძლეოსნობა

## გრინი რეკორდს უმიზნებს

100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა **მორის გრინმა,** "როიტერთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ 2007 წელს ამ დისტანციაზე ახალი რეკორდის დამყარებას აპირებს. როგორც იცით, დღეისთვის სპრინტში მსოფლიო რეკორდსმენი იამაიკელი **ასაფა პაუელია.**

*"დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე არ ამომიწურავს,* - განაცხადა 32 წლის მორბენალმა, რომელმაც შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა. - *ეს წელი ერთ-ერთი საუკეთესო უნდა გახდეს ჩემს კარიერაში."*

მორის გრინი მსოფლიო რეკორდსმენი 1999 წელს გახდა, როცა 100 მეტრი 9.79 წამში დაფარა. 2005 წელს, ასაფა პაუელმა ამ დროს ორი მეასედი ჩამოაჭრა და 9.77 წამი დააფიქსირა.

### ფიგურული ციგურაობა

## მეორე ოქრო ფრანგს დარჩა

ვარშავაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მედლების მეორე კომპლექტი გათამაშდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მამაკაცებს შორის პირველობა არავის დაუთმო ფრანგმა **ბრაიან ჟუბერმა,** რომელმაც 227.12 ქულა დააგროვა.

ჩემპიონს 15 ქულით ჩამორჩა ვერცხლის მედლის მფლობელი - ჩეხი **ტომაშ ვერნერი.** მესამე ადგილი ბელგიელმა **კევინ ვან დერ პერენმა** დაიკავა.

# TV სპორტი

## 27 იანვარი. შაბათი

### I არხი

17:00 ძიუდო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:15 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1973 წელი. ფინალი. სანდერლენდი-ლიდსი.
10:00 სპორტინფორმი.
10:12 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხიმნასტიკი.
12:00 სპორტინფორმი.
12:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
13:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ლეირია-პორტუ.
16:14 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ბაფალო.
17:59 სპორტკლუბი.
18:08 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შალკე (LIVE).
20:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა.
22:42 სპორტკლუბი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ლაციო (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.
03:10 მძლეოსნობა. Golden High Jump Gala. ბელგია.
04:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
06:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ბაფალო.

### EUROSPORT

11:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
12:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ობერჰოფი. გერმანია.
12:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
13:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
13:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. სან სიკარიო. იტალია (LIVE).
15:45 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
21:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. ფინალი.
22:00 ბოულსი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი.
23:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი.
01:00 მულტისპორტი.
01:45 ბრძოლა წესების გარეშე.
03:45 ბოულსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროლიგა.
13:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
14:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-გერმანია. გუანგჟოუ. ჩინეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:15 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი.
16:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ლააქსი. შვეიცარია (LIVE).
17:15 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. ტურინი. იტალია (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
21:00 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. ფინალი. ტურინი. იტალია (LIVE).
00:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. ფინალი. ტურინი. იტალია.
03:15 ახალი ამბები.

## 28 იანვარი. კვირა

### I არხი

18:10 ძიუდო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სელტა (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ლეირია-პორტუ.
10:00 მძლეოსნობა. Golden High Jump Gala. ბელგია.
11:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რასინგი.
13:20 ფიტნესი.
13:45 მძლეოსნობა. Norwich Union International. გლაზგო. შოტლანდია.
16:15 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-იტუანო.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პარმა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰანოვერი (LIVE).
21:57 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ავსტრალია.
23:21 სპორტკლუბი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ინტერი (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვალენსია.
03:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ლეირია-პორტუ.
04:55 მძლეოსნობა. Norwich Union International. გლაზგო. შოტლანდია.
07:30 ფიტნესი.

### EUROSPORT

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. ფინალი (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერ-გიგანტი. სან სიკარიო. იტალია (LIVE).
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
17:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
21:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
21:30 ბოულსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
23:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ვარშავა. პოლონეთი.
01:30 კრივი. WBO-ს მსოფლიო ჩემპიონატი. ს. ლიაზოვიჩი (ბელ)-შ. ბრიგსი (აშშ). ფინიქსი. აშშ.
03:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.

### EUROSPORT-2

09:30 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-გერმანია. გუანგჟოუ. ჩინეთი (LIVE).
11:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი (LIVE).
14:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-გერმანია. გუანგჟოუ. ჩინეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ლააქსი. შვეიცარია.
15:45 ველოსპორტი. კატარის ტური. I ეტაპი. (LIVE).
17:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გრანადა. ესპანეთი.
18:00 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. ფინალი. ტურინი. იტალია.
19:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-გერმანია. გუანგჟოუ. ჩინეთი.
20:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი.
21:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ხუვენტუდი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ლაკროსი.
24:30 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-გერმანია. გუანგჟოუ. ჩინეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჯილინგემი-ბრენტფორდი | 2:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბური-გრიმსბი | 4:1 |

### იტალია

**სერია B**

| | |
|---|---|
| პესკარა-ლეჩე | 2:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| ბორუსია (დ)-ბაიერნი | 3:2 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-კარლ ცაისი | 1:0 |
| ბურგჰაუზენი-კიოლნი | 1:3 |

### საფრანგეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აიაჩო-ტური | 0:1 |
| ბრესტი-ბასტია | 3:1 |
| გრენობლი-შატორუ | 0:1 |
| გენიონი-კრეტეი | 1:1 |
| ისტრი-მონპელიე | 1:2 |
| რეიმსი-დიჟონი | 1:0 |
| სტრასბური-ნიორი | 1:0 |
| კაენი-ამიენი | 3:1 |
| ლიბურნი-მეცი | გადაიდო |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ჰერენვენი-ჰერაკლესი | 5:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კამბური-ტოპ ოსი | 2:1 |
| დორდრეხტი-აპელდორნი | 4:1 |
| ომნივორლდი-ვენლო | 2:3 |
| ცვოლე-ეინდჰოვენი A | 4:1 |
| ფორტუნა-მაასტრიხტი | 0:0 |
| ჰელმონდი-ვოლენდამი | 1:1 |
| ტელსტარი-გრააფსხაპი | 0:0 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| შარლერუა-სტანდარდი | 2:5 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ლეირია-პორტუ | 1:0 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ერჩიესი-ფენერბაჰჩე | 1:1 |

## კალათბურთი

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ორლეანი-ვილერბანი | 66:63 |

## ჰოკეი

### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 6:3 |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 4:0 |
| დუისბურგი-ფრანკფურტი | 2:3 |
| კიოლნი-კრეფელდი | 1:4 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| პოპრადი-მიქულაში | 6:1 |
| ჟილინა-ტრენჩინი | 0:2 |
| სლოვანი-მარტინი | 1:2 |
| კოშიცე-ზვოლენი | 2:2, პენ. 2:3 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ქლინი-კლადნო | 3:1 |
| ტრშინეცი-სლავია | 0:7 |
| პლზენი-ლიტვინოვი | 2:5 |
| ბუდეიოვიცე ვსეტინი | 7:2 |
| კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 2:4 |
| სპარტა-პარდუბიცე | 3:6 |
| ლიბერეცი-ზნოიმო | 2:0 |

## ხელბურთი

გერმანია 2007. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები

**II ჯგუფური ტურნირი**

| I ჯგუფი | |
|---|---|
| ტუნისი–გერმანია | 28:35 |
| პოლონეთი–ისლანდია | 35:33 |
| საფრანგეთი–სლოვენია | 33:19 |

| II ჯგუფი | |
|---|---|
| ჩეხეთი–რუსეთი | 26:30 |
| ხორვატია–უნგრეთი | 25:18 |
| დანია–ესპანეთი | 27:23 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 88-73 |
| 2. ისლანდია | 2 | 0 | 1 | 101-89 |
| 3. გერმანია | 2 | 0 | 1 | 95-84 |
| 4. პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 84-89 |
| 5. სლოვენია | 1 | 0 | 2 | 82-95 |
| 6. ტუნისი | 0 | 0 | 3 | 85-105 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 3 | 0 | 0 | 85-71 |
| 2. ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 91-85 |
| 3. უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 76-79 |
| 4. დანია | 1 | 0 | 2 | 82-81 |
| 5. რუსეთი | 1 | 0 | 2 | 86-91 |
| 6. ჩეხეთი | 0 | 0 | 3 | 80-93 |

## ჩოგბურთი

# რუსებმა შემადგენლობა დაასახელეს

9-11 თებერვალს, სტარტს აიღებს დევისის თასის 2007 წლის გათამაშება - მსოფლიო ჯგუფში მერვედფინალური მატჩები გაიმართება.

მოქმედი ჩემპიონი - რუსეთის ნაკრები ჩილეს ქალაქ ლა-სერენაში ადგილობრივ გუნდს დაუპირისპირდება. გუშინ, რუსების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** თავისი გუნდის შემადგენლობა დაასახელა. ამჯერად, თასის მფლობელები **ნიკოლაი დავიდენკოსა** და **მიხაილ იუჟნის** გარეშე იასპარეზებენ. ამ ჩოგბურთელებმა პირადი მოსაზრებების გამო თქვეს უარი ჩილეში გამგზავრებაზე.

ტარპიშჩევის გუნდის შემადგენლობაში შემდეგი ჩოგბურთელები შედიან: **მარატ საფინი, იგორ ანდრეევი, თემურ გაბაშვილი, დმიტრი ტურსუნოვი** და **იური შჩუკინი.**

# არგენტინას ნალბანდიანი დააკლდება

მსოფლიო ლიგაში ასპარეზობს არგენტინის ნაკრებიც, რომელიც რუსეთის მსგავსად, თავისი ლიდერის გარეშე ითამაშებს. მუხლის ტრავმის გამო, დევისის თასზე თამაში იუარა **დავიდ ნალბანდიანმა.**

მერვედფინალში შარშანდელი ფინალისტების მეტოქე ავსტრიის ნაკრები იქნება. შეხვედრა ქალაქ ლინცში გაიმართება და იქ არგენტინა შემდეგი შემადგენლობით ითამაშებს: **გილერმო კანიასი, ხოსე აკასუსო, მარტინ დელ პოტრო** და **სებასტიან პრიეტო.**

## ველოსპორტი

# ჯირომ მოსაწვევები დაარიგა

მსოფლიო ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ველორბოლის - "ჯირო დ'იტალიას" დირექტორატმა სუპერმარათონში მონაწილეობის მისაღებად პრო-ტურის ყველა, 18 გუნდს გაუგზავნა მიწვევა.

გარდა ამისა, ე.წ. უაილდ-ქარდს კიდევ ოთხი ველოსაჯინიბო მიიღებს. ისინი რანგით დაბალი, "ევროპა-ტურიდან" იქნებიან მიწვეულები. სავარაუდოდ, უაილდ-ქარდის ერთ-ერთი მფლობელი რუსული გუნდი "ტინკოფი" გახდება, რომლის შემადგენლობაშიც, წელს ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი **ტაილერ ჰამილტონი** გადავიდა.

## კალათბურთი

# ლებრონის ტრავმა სერიოზული არ არის

როგორც უკვე გაცნობეთ, "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** ბოლო ტურებში ტრავმით თამაშობს - მას ფეხის ცერა თითი აქვს დაზიანებული.

გუშინ ჩატარებულმა რენტგენულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ლებრონს თითი მოტეხილი არ აქვს და ამიტომაც, არ მოუწევს უახლოესი მატჩების გამოტოვება.

# სიეტლს ბრაუნი მოეწონა

"სიეტლ სუპერსონიქსმა" ფორვარდ **ანდრე ბრაუნთან** სეზონის ბოლომდე მოაწერა კონტრაქტს ხელი.

ეს კალათბურთელი კლუბში 5 იანვარს მივიდა და მას შემდეგ, ორჯერ გააფორმა 10-10-დღიანი კონტრაქტები. საბოლოოდ, "სიეტლს" ბრაუნი მოეწონა და ის სეზონის ბოლომდე თავისთან დაიტოვა.

ამ სეზონში, ანდრე ბრაუნი საშუალოდ მატჩში 5 ქულასა და 2.9 მოხსნას აგროვებს.

## ჰოკეი

# მარკ მესიემ კროსბი დააფასა

**მარკ მესიეს** სახელობის პრიზის მეორე ლაურეატი "პიტსბურგ პინგვინზის" ბომბარდირი **სიდნი კროსბი** გახდა. როგორც იცით, ეს პრიზი სულ ახლახანს დაარსდა და ის ჰოკეისტებს ლიდერის თვისებების გამოვლენისთვის გადაეცემა. ლაურეატს მარკ მესიე თავად ირჩევს.

*"სიდნი თანამედროვე კანადური ჰოკეის ლიდერად ყალიბდება. ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ის ობიექტურად საუკეთესო იყო"*, - განაცხადა მესიემ.

შეგახსენებთ, მარკ მესიეს პრიზის პირველი მფლობელი, "ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდი **ბრენდან შენეჰანი** გახდა.

# ფორსბერგი არსად არ მიდის

"ფილადელფია ფლაიერზის" გენერალურმა მენეჯერმა **პოლ ჰოლმგრენმა** უარყო ჭორი იმის შესახებ, თითქოს **პიტერ ფორსბერგი** გუნდის დატოვებას გეგმავდეს.

პრესის ინფორმაციით, "ფილადელფიაში" შვედი ფორვარდის მომავალი ჯერაც ბუნდოვანია და მასთან კონტრაქტის გაგრძელების შესახებ მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. თუმცა, ჰოლმგრენმა ყველაფერ ამას სასულელე უწოდა და განაცხადა, რომ "ფლაიერზი" ფორსბერგთან გამოთხოვებას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ შვედის კონტრაქტი კლუბთან ამა წლის 1 ივლისს იწურება, რის შემდეგაც ფორსბერგი თავისუფალი აგენტი გახდება.

## თხილამურებით რბოლა

# შვედები უმწვრთნელოდ დარჩნენ

შვედეთის მამაკაცთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ტომას ალსგაარდმა** პოსტი დატოვა. *"გადადგომის მიზეზი სამუშაოსადმი ინტერესის დაკარგვა და არასაკმარისი მოტივაცია გახდა. გარდა ამისა, ალსგაარდს უთანხმოება ჰქონდა შვედეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან"*, - განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა **პერ-ოკე უტერგორდმა.** თავად ალსგაარდმა თავის გადაწყვეტილებას კომენტარი არ გაუკეთა.

ალსგაარდმა შვედეთის ნაკრები ერთი წლის წინათ ჩაიბარა და იქიდან მოყოლებული, მას ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, სანვრთნელ შეკრებებს აცდენდა და ნაკლები ურთიერთობა ჰქონდა ნაკრების წევრებთან.



Australian Open



გონსალესი ჯერჯერობით შეუჩერებელია

ავსტრალიის ღია პირველობა

# როჯერ, უფრთხილდი გონსალესს!

მაშ ასე, ავსტრალიის ღიაზე ყველა ფინალისტის ვინაობა გაირკვა. ფინალის ბოლო საგზურს ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** მას შემდეგ დაეუფლა, რაც მან შავი დღე აყარა გერმანელ **ტომი ჰაასს**. გონსალესმა კარიერაში პირველად ითამაშა დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში და პირველივე ცდაზე გავიდა ფინალში.

ფინალში კი გონსალესის მეტოქე იქნება მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, ვინც ჩილელ მეჩოგნეს აქამდე ცხრაჯერ შეხვედრია და ყველა შემთხვევაში, მოგებულს დაუტოვია კორტი. თუმცა, შესაძლოა, გონსალესმა ამჯერად გატეხოს ნავსი - ამ სეზონში ის ჯერჯერობით, წაუგებელია და რაც მთავარია, მნიშვნელოვნად უკლო უნებლიე შეცდომებს, რაც მისი ერთგვარი სამარკო ნიშანი იყო.

ოფიციალურ შეხვედრებში ფედერერსაც ზედიზედ 35 თამაში აქვს მოგებული. ცუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლახანს, კოოიონგის საჩვენებელი ტურნირის ფინალში, ამერიკელი **ენდი როდიკისგან** იწვნია მარცხი, იმ როდიკისგან, ვინც ნახევარფინალში სასტიკად დაამარცხა. იმასაც შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის დასაწყისში, ასევე საჩვენებელ ტურნირზე, ფედერერმა ჰაასთან წააგო.

*"ძალიან კმაყოფილი ვარ მელბურნში ჩემი გამოსვლით. რაც მთავარია, თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებს და როცა ასეა, ბევრის მიღწევა შეიძლება. დიდი სლემის ტურნირის ფინალში პირველად ვითამაშებ. ასე რომ, კარგად თამაში მმართებს. მით უმეტეს, რომ ჩემი მეტოქე როჯერი იქნება. რა თქმა უნდა, ის საუკეთესოა მსოფლიოში, მაგრამ თითო თამაშს ყველა აგებს. თანაც, ფინალში გასვლა უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობასაც იმსახურებ. მასთან ბევრი წაგება მაქვს, მაგრამ გარწმუნებთ, ახლა გაცილებით მაღალ დონეზე ვთამაშობ, ვიდრე ადრე. ასე რომ, სტატისტიკა შეგიძლიათ დაივიწყოთ"*, - განაცხადა გონსალესმა, ვინც ფინალის გზაზე, ტურნირს გამოთიშა ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**, ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** და ესპანელი **რაფაელ ნადალი** (ჰაასზე უკვე ვთქვით).

ჰაასთან შეხვედრაში, გონსალესმა თამაშიდან 42 ქულა მოიპოვა და მხოლოდ სამჯერ დაუშვა უნებლიე შეცდომა(!). გერმანელ მეჩოგნეს ერთხელაც არ ჰქონია ბრეიკის შანსი, როცა ჩილელმა 12-დან 7 გამოიყენა. მთლიანობაში კი მან თითქმის ორჯერ მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე ჰაასმა.

გუშინვე ტურნირის პირველი ჩემპიონები გამოვლინდნენ - ქალთა წყვილების ფინალში, ზიმბაბველი **კარა ბლეკსა** და სამხრეთაფრიკელი **ლაიზელ ჰუბერის** დუეტმა სამსეტიან პაექრობაში აჯობა ტურნირის სენსაციას - მელბურნში უაილდ ქარდით მოთამაშე **იუნ-იან ჩანისა** და **ჩიაძუნ ჩუანის** დუეტს.

თამაშის მოგების შემდეგ, ბლეკმა კორტზევე ქების სიტყვები არ დაიშურა თავისი მეტოქეებისადმი: *"ვინ იფიქრებდა, რომ დიდი სლემის ტურნირზე დებიუტისთანავე ფინალში ითამაშებდით. თქვენ ეს შეძელით და ფინალშიც ნამდვილი ჩემპიონებივით ითამაშეთ. დარწმუნებული ვარ, რომ წინ დიდი მომავალი გაქვთ"*.

ჩუანმა და ჩანმა ფინალში გასვლითაც დიდი გმირობა ჩაიდინეს. თანაც ნახევარფინალში მათ ტურნირის შარშანდელი ჩემპიონები, ჩინელების, **იან ჯისა** და **ჭენ ძის** დუეტი დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ 17 წლის ჩანმა ქალთა ტურნირის პირველივე წრეში წააგო ავსტრალიელ **ალისია მოლიკთან**, შემდეგ კი გოგონათა ტურნირზეც იასპარეზა, მაგრამ იქ მეორე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. 21 წლის ჩუანმა ერთეულების პირველივე წრეში წააგო. სამაგიეროდ, ერთეულების ტურნირიდან გამოთავისუფლებულებმა, დიდი მონდომებით ჩაატარეს წყვილთა ტურნირი.

პირველი სეტი აფრიკელთა წყვილმა მოიგო, რომელიც მეორეშიც 4:2 დაწინაურდა. მაგრამ 6:5-ზე, როცა ბლეკი მატჩზე აწოდებდა, ტაივანელებმა ბრეიკის აღება და ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, რის შემდეგაც არც ტაიბრეიკის მოგება გასჭირვებიათ.

ტაივანელთა გამოუცდელობამ თავი გადამწყვეტ სეტში იჩინა, როცა მათ ზედიზედ ხუთი გეიმი წააგეს. ეს უკვე პრაქტიკულად, წაგების ტოლფასი იყო. ამჯერადაც მატჩზე ბლეიკ აწოდებდა, რომელმაც დასვა კიდეც საჩემპიონო წერტილი. ამ გამარჯვებით, ბლეკმა და ჰუბერმა მეორედ მოიგეს დიდი სლემის ტურნირი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**კაცები. 1/2 ფინალი**

ფერნანდო გონსალესი (10) - ტომი ჰაასი (12) 6:1, 6:3, 6:1

**ქალები. წყვილები. ფინალი**

კარა ბლეკი/ლაიზელ ჰუბერი (3, ზიმბაბვე/სამხ.აფრიკა) - იუნ-იან ჩანი/ჩია-ძუნ ჩუანი (ტაივანი) 6:4, 6:7(4), 6:1

# სამთო თხილამურები

## მსოფლიო თასი

**სან სიკარიო/სესტრიერე (იტალია). ქალები. სუპერგიგანტი**

1. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:24.90; 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) 1:24.99; 3. კრისტინ შპონრინგი (ავსტრია) 1:25.80; 4. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:25.83; 5. კელი ვანდერბეეკი (კანადა) 1:25.84; 6. ფრანცი აუფდენბლატენი (შვეიცარია) 1:26.06; 7. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:26.11; 8. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:26.26; 9. ნადა ფანკინი (იტალია) 1:26.36; 10. ნიკე ბენტი (შვედეთი) 1:26.53...

**აბსოლუტური კლასიფიკაცია**

1. მარლის შილდი (ავსტრია) 894; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 852; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 826; 4. რენატე გიოჩლი (ავსტრია ) 821; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 658; 6. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 568; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 529; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 403; 9. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 399; 9. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 399...


ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1985)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995.32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა